

52 /
172 /2



1 , 7 2 1

မြန်မာ

ပါယံ ဒေသရုံး — ကျောစိုး

လှုပ်စီရာတွင်းလုပ်-မနာတွင်းလုပ်

ပုဂ္ဂန်ပါဒ် မြန်မာ

3

၁၆. နေ့စာရွေ့ — လူမှု ဘေးလွှာ-

ပို့ဆောင် ပေါ်လိုက်တော်မလွှာ

မြတ်စွာဝေး

8

၁၇. နေ့စာရွေ့ — လျှော့ချို့

26

၁၈. နေ့စာရွေ့ — မြန်မာ စုံလွှာ

ပြ. စုံလွှာ စာအုပ် နှု-

နာရိုးရွေ့

31

၁၉. နေ့စာရွေ့ — ဓာတ်ရုပ် ရာဇ်

အလောအော်လွှာ စာအုပ်

လျှော့ချို့

48

၂၀. နေ့စာရွေ့ — မပို့ရန် တို-

မို့ရာ နာရိုးရွေ့ ပို့ဆောင်

50

၂၁. နေ့စာရွေ့ — လျှော့ချို့

63

က ရ ဗ ဗ ဗ ဗ ဗ ဗ ဗ

က ဗ ဗ ဗ ဗ ဗ ဗ ဗ

၂၃. နှုတ်ချောင်းလွှာ — အကျိုး

လွှာ ပေါ်လိုက်အောင်

65

ဗ ဗ ဗ ဗ ဗ ဗ ဗ

၂၄. တာဇ်လွှာ — ဗုဒ္ဓရှင် ပြဂ-

ဖောက် လျှော့ချို့

71

မြန်မာ မြန်မာ မြန်မာ

၂၅. နာမ်လွှာ — ရှာရှိလွှာ

ပေါ်လိုက် ရှာရှိလွှာ

83

လှုပ်စီရာတွင်းလုပ်-မနာတွင်းလုပ် နှု

စာမျက်နှာလွှာ ပုဂ္ဂန်ပါဒ်-ဒုက္ခလိုဂိုဏ်

ရုံးရှင်း

စာမျက်နှာလွှာ စာမျက်နှာ


ပုဂ္ဂန်ပါဒ် ပုဂ္ဂန်ပါဒ် နှု

အနာဂတ် ပုဂ္ဂန်ပါဒ်

ကမာရ်

၁၁၃၇ မေ 1972

ပြည်ထဲရေး ပုဂ္ဂန်ပါဒ်



1977

რედაქტორი ა. შონია

სარედაქციო კოლეგია: ხ. ახვლედიანი, მ. ვარშანიძე (პ. მგ.
მდიგარი), პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.

ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდიგნის — 33-72.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.II.1972 წ., საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბაზი.

შეკვეთის № 304, ემ 01360. ქაღალდის ზომა 60×90 , ტირუ 2.040.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფიკური ბათუმის სტამბა № 9
(ლუქსემბურგის, 22).

სკპპ ცენტრალურ კომიტეტი

ლიტერატურულ - მხატვრული კრიტიკის გასახელ

სკპპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ“. დადგენილებაში ორი შესრულებულია, რომ პარტიული კომიტეტები, კულტურის დაწესებულებანი, შემოქმედებითი კავშირები, პრესის ორგანოები აქტიურ ღონისძიებებს მიმართავენ, რომ შესრულდეს სკპპ XIV ყრილობის მითითებანი ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის ღონის ამაღლების შესახებ. კრიტიკის ამოცანები განიხილეს მხატვრული ინტელიგენციის ყრილობებზე, პლენურებზე, კრებებზე. მეტი იბეჭდება შინაარსიანი სტატიები, რომლებიც გამსჭვალულია ზრუნვით სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის.

ამასთანავე სკპპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ორი შესრულებულია, რომ კრიტიკის მდგომარეობა ჯერ კიდევ არ შეესაბამება მთლიანად მოთხოვნებს, რომლებსაც განსაზღვრავს კომუნისტურ შენებლობაში მხატვრული კულტურის სულუფრო მზარდი როლი. საქმაოდ ღრმად არ აანალიზებენ საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების, სოციალისტური ერების კულტურების ურთიერთგამდიდრებისა და დაახლოების პროცესებს. ბევრ სტატიას, მიმოხილვას, რეცენზიას, ზერელე ხასიათი აქვს, დაბალია მათი ფილოსოფიური და ესთეტიკური ღონე, მოწმობებ ცხოვრებასთან ხელოვნების მოვლენების დაკავშირების არცოდნას. კრიტიკაში დღემდევლინდება შემრიგებლური დამოკიდებულება იდეური და მხა-

ტვრული წუნისადმი, სუბიექტივიზმი, ძმაბიჭური და გვუფური მიკერძოებანი. ზოგჯერ იბეჭდება ისეთი მასალებიც, რომ-ლებშიც მოცემულია საბჭოთა და რევოლუციამდელი ხელოვნების ისტორიის მცდარი სურათი, წინასწარ აკვირატებული შეფასება ეძღვათ ცალკეულ ხელოვანთ და ნაწარმოებებს. კრი-ტიკა ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ აქტიური და თანმიმდევრული სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების რევოლუციური, პუმანური იდეალების დამკვიდრებაში, ბურუუაზიული „მასობრივი კულტურის“ და დეკადენტურ მიმდინარეობათა რეაქციული არსის მხილებაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაზე სხვადასხვაგვარი არამარქესისტული შეხედულებების, რევიზიონისტული ესთეტიკური კონცეპციების წინააღმდეგ ბრძოლაში.

პარტიული კომიტეტები, სამინისტროები და უწყებები, შემოქმედებითი კავშირები ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფენ ჯეროვან კონტროლს პრესის საქვეუწყებო ორგანოების, გამო-მცემლობების, ტელევიზიისა და რადიოს შესაბამისი რედაქციების კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული საქმიანობისადმი, სუსტად იყენებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, მშრომელთა მიზანმიმართული იდეურ-ესთეტიკური აღზრდისათვის, მრავალეროვნული საბჭოთა ხელოვნების საუკეთესო მიღწევათა პროპაგანდისათვის.

მთელი რიგი გაზეთებისა და უურნალების რედაქციები ყოველთვის როდი იჩენენ მომთხოვნელობას კრიტიკული სტატიების იდეურ-თეორიული დონისადმი. არსებითი ნაკლოვანებანია რეცენზირების პრაქტიკაში. გამოქვეყნებულ რეცენზიებს ხშირად აქვთ ცალმხრივი ხსიათი, შეიცავენ დაუსაბუთებელ კომპლიმენტებს, სჯერდებიან ნაწარმოების შინაარსის ზერელ გადმოცემას, წარმოდგენას ვერ გვიქმნიან მის რეალურ მნიშვნელობასა და ღირებულებაზე. ბევრი წიგნი, სპექტაკლი, ფილმი, სამხატვრო გამოფენა, მუსიკალური ნაწარმოები, საკონცერტო პროგრამა საერთოდ კრიტიკის თვალთახედვის მიღმარება. ნაკლებად იზიდავენ პრესაში სამუშაოდ მარქესისტულ-ლენინური ესთეტიკის, ხელოვნების თეორიისა და ისტორიის. დარგის წამყვან სპეციალისტებს, საბჭოთა კულტურის ოსტატებს; რედაქციები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ იმას, რომ კრიტიკული მასალები უანრულად მრავალფეროვანი და გასაგები იყოს.

სკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშ-
ჲლია, რომ შემოქმედებითი კაშირების ხელმძღვანელი ორ-
განოები იშვიათად აწყობენ მხატვრული შემოქმედების მომ-
წიფებული პრობლემების კოლექტიურ განხილვებს, ნელა გა-
რდაქმნიან კრიტიკის კომისიებისა და საბჭოების მუშაობას,
ყოველდღიურად არ ზრუნავენ კრიტიკოსთა იდეური აღზრდი-
სა და პროფესიული მომზადებისათვის, იმისათვის, რომ ლიტე-
რატურისა და ხელოვნების მუშაკთა წრეში იყოს მაღალი მო-
მთხოვნელობის, კრიტიკის გამოსვლებისადმი სწორი დამოკი-
დებულების ვითარება.

ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის ნაკლოვანებებს,
აღნიშნულია დადგენილებაში, ბევრად განაპირობებს კვალიფი-
ციური კადრების ნაკლებობა. ამავე დროს უნივერსიტეტებსა
და ჰუმანიტარულ უმაღლეს სასწავლებლებში არ არის შექმ-
ნილი კრიტიკის დარგში სტუდენტთა და სპირანტთა სპეცია-
ლიზაციისათვის საჭირო პირობები, დამაქმაყოფილებლად არ
არის დაყენებული ეს მუშაობა არც ლიტერატურისა და ხე-
ლოვნების სასწავლებლებში. კრიტიკის ვანვითარებაზე უარ-
ყოფითს გავლენას ახდენს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის
სერიოზული ნაკლოვანებანი, მეცნიერთა და შემოქმედებითი
კადრების უწყებრივი დაქსაქსვა, შეუთანხმებლობა სამეცნიე-
რო დაწესებულებათა საქმიანობაში.

სკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოკავშირე რესპუბლიკების
კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, სკპ სამხარეო და
საოლქო კომიტეტების, სამინისტროებისა და უწყებების, შე-
მოქმედებითი კაშირების, პრესის, გამოცემლობების, ტელე-
ვიზიისა და რადიოს ორგანოების ხელმძღვანელთა ყურადღება
მიაპყრო იმას, რომ საჭიროა ამაღლეს ლიტერატურულ-მხატ-
ვრული კრიტიკის იდეურ-თეორიული დონე, მისი აქტივობა
და პრინციპულობა მხატვრული შემოქმედების დარგში პარტი-
ის ხაზის გასატარებლად.

კრიტიკის ვალია, ხაზგასმულია დადგენილებაში, ღრმად გაა-
ანალიზოს თანამედროვე მხატვრული პროცესის მოვლენები,
ტენდენციები და კანონზომიერებანი, ყოველნაირად შეუწყოს
ხელი პარტიულობისა და ხალხურობის ლენინური პრინციპე-
ბის განმტკიცებას, იბრძოლოს საბჭოთა ხელოვნების მაღალი
იდეურ-ესთეტიკური დონისათვის, თანამიმღევრულად გაიღაშ-
ქროს ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ. ლიტერატუ-
რულ-მხატვრული კრიტიკა მოწოდებულია ხელი შეუწყოს

ხელოვანის იდეური პორიზონტის გაფართოებას და მისი ოს-
ტატობის დახვეწას. ავითარებს რა მარქსისტულ-ლენინური ეს-
თეტიკის ტრადიციებს, საბჭოთა ლიტერატურულ-მხატვრულმა
კრიტიკამ ზუსტი იდეური შეფასება, ღრმა სოციალური ან-
ლიზი უნდა შეუხამოს ესთეტიკურ მომთხოვნელობას, ტალან-
ტისადმი, ნაყოფიერი შემოქმედებითი ძიებისადმი გულისხმიერ-
დამოკიდებულებას.

შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს, შემოქმედებითს
კავშირებს წინადაღება ეძლევათ შემუშაონ და განახორციე-
ლონ საქვეუწყებო უურნალების, გაზეთების, გამომცემლობე-
ბის, ტელევიზიისა და რადიოს რედაქციების კრიტიკულ-პიბ-
ლიოგრაფიული საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებანი;
განამტკიცონ სარედაქციო კოლეგიები, გამომცემლობათა საბ-
ჭიოები, რედაქციები კვალიფიციური, პოლიტიკურად მომწიფე-
ბული კადრებით, შექმნან შტატგარეშე აქტივი ავტორიტეტია-
ნი კრიტიკოსებისაგან; გაითვალისწინონ ლიტერატურულ-მხა-
ტვრული კრიტიკის, ლიტერატურათმცოდნებისა და ხელოვ-
ნებათმცოდნეობის დარგის საუკეთესო ნაშრომთა წახალისების
ფორმები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ურჩია შემოქმედებითს
კავშირებს ყველდღიურად იზრუნონ ლიტერატურულ-მხატვ-
რული კრიტიკის იდეურ-თეორიული და პროფესიული დონი-
სათვის, აამაღლონ მისი როლი კომუნისტური მშენებლობის
ამოცანების გადაწყვეტაში, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყა-
ლიბებაში, უცხო შეხედულებათა და კონცეფციათა წინააღმ-
დებ ბრძოლაში. შემოქმედებითი კავშირები, ნათესავია დაღგე-
ნილებაში, უნდა იყვნენ მხატვრული შემოქმედების აქტუალუ-
რი საკითხების, ლიტერატურისა და ხელოვნების ცალკეული
ნაწარმოებების განხილვის ინიციატორები და ორგანიზატორე-
ბი, თავიანთი წვლილი უნდა შეჰქმნდეთ სოციალისტური რე-
ალიზმის თეორიული პრობლემების შემუშავებაში. უნდა გაუ-
მჯობესდეს კრიტიკის კომისიებისა და საბჭოების საქმიანობა.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას, სამინისტროებს,
უწყებებს წინადაღება ეძლევათ მათდამი დაქვემდებარებული
ინსტიტუტების ყურადღება მიაყრონ ლიტერატურულ-მხატვ-
რული კრიტიკის თეორიისა და მეთოდოლოგიის პრობლემების
ღრმა შესწავლას, გაააქტიურონ მეცნიერთა მუშაობა თანამე-
დროვე მხატვრული პროცესის, სოციალისტური თანამეგობრო-
ბის ქვეყნების კულტურათა ურთიერთმოქმედების კვლევაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება შეიცავს რეკომენდაციებს, რომ გუმჯობესდეს ლიტერატურის, კინოს, თეატრის, მუსიკის, სახვითი ხელოვნების, ისტორიისა და თეორიის დარგის სპეციალისტთა მომზადება. მხედველობაშია, რომ უნივერსიტეტების, პედაგოგიური ინსტიტუტებისა და სპეციალური უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო გეგმებში გაითვალისწინონ ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის პრობლემებზე სტუდენტთა და ასპირანტთა ფაკულტატიური სპეციალიზაციისათვის საჭირო პირობები. სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არ სებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიას ევალება გაუმჯობესოს და გააფართოოს ლიტერატურისა და ხელოვნების და ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის თეორიის დარგის კვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადება აკადემიის ბაზაზე.

კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული საქმის შემდგომი გაუმჯობესებისა და მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის მიზნით მიზანშეწონილად არის მიჩნეული შეიქმნას მასობრივი ლიტერატურულ-კრიტიკული და ბიბლიოგრაფიული უურნალი.

პარტიული კომიტეტების დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა, ნათევამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, სამინისტროებსა და უწყებებს, შემოქმედებითს კავშირებს, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს ორგანოებს მეტი დახმარება გაუწიონ კრიტიკოსთა კადრების აღზრდის, შერჩევისა და განაწილების საქმეში, განამტკიცონ კრიტიკოსთა კავშირი კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან, სრულყონ მათი მარქსისტულ-ლენინური თეორიული მომზადება.

შეიძლო ხადვაში

დღე გეგმიძიებების სიგლიზმათადე

ალბათ ადვილი მისახვედრია, რომ ამ ორ სახელს წარმოოქმისას ერთმანეთთან არა მარტო სასიამოვნო პოეტური ალიტერაცია ათანხმოვნებს, არამედ, სიტყვებს თითქოს რაღაცნაირი შინაგანი ნათესაობაც აკავშირებს.

გეგლიძეები ჩემი სოფელია ქართული ზღვისპირეთიდან რამდენიმე ათეული კილომეტრის დაშორებით, აჭარის მთებში, ხოლო სიგლი გეთი შორსაა, უნგრეთში, ბალატონის ტბის დასავლეთ სანაპიროზე.

რა საერთო აქვს ამ ორ სოფელს ერთმანეთთან?

მაინცდამაინც არავითარი.

მხოლოდ მე ვარ მიზეზი.

შარშანდელი შემოდგომის ერთმა ჩვეულებრივმა დღემ ეს ორი სახელი, ეს ორი სოფელი, ყოველ შემთხვევაში ჩემთვის, ერთმანეთთან გააერთიანა. ერთსაც გაგიმხელ, პირველად რომ სიგლიგეთი გავიგონე, მეგონა ეს ჩემი სოფლის სახელია უნგრულად თარგმნილიშეთქი.

სწორედ ამიტომ წამომცდა წელან: „ამ ორ სიტყვას შინაგანი ნათესაობაც აკავშირებს“.

ასე თუ ისე, შარშანდელი შემოდგომის იმ ერთი დღის ამბავს გეტყვი.

მომისმენ?

სიამოვნებითო, მეუბნები?

ოჲ, გმაღლობთ, ჩემო ზატონო.

არა, ღმერთმანი, არ გეხუმრები. ისე ეზარებათ დღეს ჩემს მეგობ-

რებს ახალი ლიტერატურული ნაწარმოების მოქმედს, ან წაკითხვებს, სასცენტო ამნაირი შესავალით, რომ შენი თანხმობა ჩემთვის ძალიანაც დასაფასებელია.

ჰოდა, გმაღლობთ, ჩემო ბატონო.

ისე, გულახდილად თუ ვაღიარებთ, მე და შენაც ამ წუთისოფლის კარგი ბედოვლათები ვართ.

გვირჩევნია მთელი დღი ყალბი ქებაღიდებით გასიებულ საღლე-გრძელოებს ვუსმინოთ, ვიღიე ერთმანეთის ჭეშმარიტი განცდაგანწყობილებანი და ფიქრები გავიზიაროთ, გუშინდელ თუ ხვალინდელ დღე-ზე ვიმსჯელოთ, ანდა, ჩვენი ლიტერატურული სიახლენი მოთმინებით გავიცნოთ, განვსაჯოთ.

* * *

ახლა. რადგან წამოვიწყე, ამ ორმხრივი საყვედურებით ორივენი კარგა გვარიანად გავიროზგებოდით, მაგრამ სწორედ იმ ღილას, როცა ჩემი მოგზაურობა დაიწყო, გეგელიძებიდან მომავალს, ცხმორისის ხილთან ერთი ისეთი უცნობი დამემგზავრა და მთელი გზა ზღვისპირამდე თავი ისე ამომიყორა გაუთავებელი ლაპარაკით და սთასნაირი საყველურებით ყველასა და ყველაფრის მიმართ, რომ ჭობია ის გავიზენო, რადგან ამაში ჩემი სათქმელიცა.

თავიდან იგი ძალიან ახალგაზრდა მოშეჩვენა. უმაღვე შევატყვე ენა ექავებოდა სალაპარაკოდ.

ვიფიქრე, ეს ვიღაცა ქაქინა და ქარაფშუტა ავიკიდე მეთქი.

სულ ერთიანად მომაყარა ცისა და მიწის, ზეგნელების და ბარელების, სოფლელების, ქალაქელების, გლეხების, ინტელიგენტების.

მაგრამ ვიტანდი. ნახევრად ვუსმენდი და მხოლოდ კანტი კუნტად თავს ვუქნევდი. რა მენაღვლებოდა, საჭესთან ვიჯექი და პირდაპირ მაინც ვერ ხედავდა სახეზე ჩემს განწყობილებას.

ეს ჩვენი დალოცვილი შარაგზა კი, ხომ კარგად მოგეხსენება, როგორ ღობის წირეხივით დაგრეხილია. კარგი, ამას აღარ იჩივლებ, მთავრელიეფს დააბრალებ, მაგრამ გზა რომ ვიწროა, ხოლო ზედაპირი მრავალგან ჩატეხილი, უსწორმასწორო და თითქმის გაუვალიც კი, ეს ხომ ნაშდვილად ჩვენი ბრალია.

ასეთ გზაზე მიმავალი, საჭესთან თუ ზინარ, რა ოქმა უნდა გვერდით ვერ გაიხედავ. ერთ-ორჯერ მაინც მოვახერხე ჩემი ისე უსშველოდ გაშინაურებული უცნობი მეზობლისათვის თვალი მომექრა.

იგი ჩემზე მეტი გაფაციცებით აკვირდებოდა წინ გამოჩენილ გზის ყოველ მონაკვეთს და მანქანა რომ ახალ მოსახვევს მიადგებოდა, შიშით ადგილიდან ოდნავ წამოიწევდა ხოლმე. ეტყობოდა, დილით გაპარსვა

ვერ მოესწორო, პერანგზე კი მუდმივნასკვიანი შავი ჰალსტუხი ეკეთა, მუხლებზე ედო საქმაოდ შელახული ტყავის ყდა, რომელშიც აღბათ ქალალდებს გარდა, საჭიროებისას, სხვა მრავალი ნივთიც პოულობდა აღგილს.

— ამ იალუნზე მაინც რად აჩქარდით? — მკითხა.

დღეს მოსკოვში მივფრინავ, ხოლო იქიდან პირდაპირ ბუდაპეშტში მეთქი, ვუბასუხე.

გაიოცა, ჩაფიქრდა, აზრი მოიკრიბა და გააგრძელა:

— მით უმეტეს საწყენია, რომ ასეთი გახედული ჩვენებურები აქაურობის გასაუკეთესებლად მაინცდამაინც არ ზრუნავთ. შეხეთ რა გზაა, ჰანქანა მარც არ ვეცოდებათ? რატომ არ დაწერთ ამაზე და არაფერს რტყვით უფროსებთან?

— ხომ ხედავთ, აფართოებენ. — ვუთხარი.

— აბა, ასე აფართოებენ ათი წელიწადია. ჯერ კიდევ გასულ ხუთწლედში უნდა დაემთავრებიათ... გზა არა და გზის გაყოლებაზე აქაური მასალებით ბევრი სახლი კი წამოიჭიმა. არა, არა, ძმაო, ვერ იქცევით ახლინდელი მოლვაწენი გაბედულად. გაჩუმებულხართ, კმაყოფილად სხედხართ კაბინეტებში და მარტო საკუთარ საქმეებს აჭახრავებთ. ყველაზე საშიში ისაა, რომ ყველანი თითქოს ყველაფრით კმაყოფილები ვართ.

მე ვინ რას მეკითხება. ძალა თქვენს სიტყვას აქვს... ძალიან კარგად გიცნობ და კიდეც მეამაყება, რომ ამ ჩვენს მივიწყებულ და ჩამორჩენილ ხეობაში წიგნის მწერალი ხალხიც გამოჩნდა.

— რაზე ხარ გულმოსული? — ვკითხე შეწუხებულმა, მაგრამ მგონი ჩემი შეკითხვა არ გაუგონია. ერთხანს იყუჩა, მერე ისევ მომიბრუნდა. მივხვდი დიდ სასიამოვნოს არც ახლა მეტყოდა.

— ამ უცხოეთში რომ დადიხართ, რომელიმე იქაური ენა თუ იცით მაინც? — თავი დამნაშავესავით გავაქნი და თანაც ვიგრძენი, რომ ახლა მასაც მოერიდა, უკავე შევებრალე, მეტს აღარას მკითხავდა.

— გულმოსული რაზე ხარო, მკითხეთ? რაზე არ ვიქნები გულმოსული — ცალი ხელი ნერეიულად ჩამოისვა ცხეირპირზე და, მგონი, გადაფურთხება მოუნდა, მაგრამ ეტყობოდა კვლავ მომერიდა, გადაიცერა. — რაც წელს პამიდორში ფარა ავიღე აგერაა, მიმაქვს...

— მიგაქვთ? რისთვის, სად?.. — ვკითხე სულმოუთმელად.

— ერთი ძმისშვილი მყავს, ომში დაღუპული ძმის შვილი, შოთერი კაცია, გარდა წელიწადია ტყვილა ეხეტება აქეთიქით. „ატეკას“ მმართველს ათასი თუ არ მიაშავე, თურმე გარაუში ტყვილა ჯორჯოზეც არ დაგაჯენს.

ნაღვლიანად ჩავაქნი თავი, ამაში ჩემი თანხმობაც იყო, გულისტყვილიც და უძლურებაც.

— ძალიან გთხოვ ამაზე არ, დაწეროთ. სულერთია, მაინც არაფერი

გამოვა, ძმისშვილი კი მიდღემში ველარსად იმუშავებს... რა გროვნა, იცით?

— ჰა.

— დაწერა თუ გინდათ, ჩემზე და ჩემს ბალნებზე დაწერეთ.

— რა ბავშვები გყავთ ასეთი?

— შვიდი გოგო, არც ერთი ვაჟი... მაინც არ მოვეშვები, სანამ ბიჭი არ იქნება. ძალიან კი დაგვცინიან აქარლებს მრავალბალნიანობას, მაგრამ რამდენიც უნდა გვცინონ, მე მაინც არ მოვეშვები, სანამ ბიჭი არ გამიჩნდება, — თქვა და ხმამაღლა ჩაიცინა — ხომ ვარ სალექსო კაცი? წერეთ, რა გენალვლებათ. მაგ ლექსებით ქვეყანას რა მიემატება არ ვიცი. პოდა, ჩემისთანები რომ საქართველოს გავამრავლებთ ამაში კარგად ვარ დარწმუნებული. არა, ნუ გეწყინებათ, მე აშკარად მთქმელი კაცი ვარ.

ხეობა თანდათან გაიშალა.

კახაბრის დაბლობებს ვუახლოვდებოდით. მზე ჯერ კარგად არც ამოწვერილიყო, დიდი გვალვების შემდეგ ჭოროხი საცოდავად დაწვრილებულიყო და ფართო კალაპოტში ტოტებად დანაწვრებული დილის შუქში საოცრად სუფთად და უხმაუროდ მიწიწილებდა.

თუთუნს თუ ეწევითო, მკითხა. არა მეთქი, ვუპასუხე.

მცირე ხნის მერე ქალალდების ყდა გახსნა და შიგნიდან შუშის პატარა თავდახურული ქილა ამოიღო.

— აჲა, ეს წაიღეთ. ჩენებური აჯიყაა შიგ. დაგჭირდებათ, ამაში ჩვენი ბალჩა-ბოსტნის სურნელია. აქაურობას გაგახსენებს. — ისევ ხმამაღლა ჩაიცინა და თვალებში ჩამხედა, — მეც აჯიყას ვგავარ, არა? — მწარე ვარ, მაგრამ გემრიელიც ვარ, ჩვენი ცხოვრებაც ამ აჯიყასავით კარგი საკაზმებითაა შეზელილი, ცეცხლს მოგიყიდებს ისე გემწარება, მაგრამ მერე რავა გეგემრიელება ოხერი, აა?

* * *

თვითმფრინავი რომ მოწყდა მიწას და კურსი ჩრდილოეთისაკენ აიღო, ფიქრებში წასულს უნებურად ისევ ჩემი ზეგნელი უცნობი თანამგზავრი გამახსენდა, ახლა თითქოს კიდეც მომინდა მისი გვერდით ყოლა, მისი დაულაგებელი, შფოთიანი, საყვედურებით აღსავს ლაპარაკი, რომელშიც ხანდახან უსაზღვრო სიკეთე და ჯაფით გამოწვართული ჭკუა გამოანათებდა.

დომოდედოვოში რომ დავეშვით და აეროპორტში შევედი, ჩემსაზე უკვე თერთმეტი საათი იყო, მოსკოვის დროით კი — ათი. სად ვიყავი



წელან და სადა ვარ ახლა, — გავიფიქრე ერთი წამით. ტაქსებთან უძივეს კარგი გამოიყენოთ და, ოდნავ წვიმა ცრიდა, შეუჩეველ სამხრეთელს სიცივით გამაჟ-რეოლა, პალტო ჩავიცვი და დედაქალაქისაკენ გავწიო. მანქანა სწრაფად გაქანდა, მაგრამ ვოროვსკის ქუჩამდე საათნახევარი მაინც დაიხარჯა. შელოდნენ.

საბუთები და ავიაბილეთი მზად, დამახვედრეს... აღარ დამისვენია, ბარგა ხელი წამოვატანე და ახლა ტაქსმა შერემეტიევის აეროპორტისაკენ გამაქროლა.

დღის პირველ საათზე ჩვენი „ტუ“ უკვე ცაში იყო. ბუდაპეშტის აეროპორტის შესასვლელში მზერა დიდ საათზე შევაყენე. უცებ გამიკვირდა, ისარი პირველს, უჩვენებდა. შევცბი, დაბნეულად შევდექი, უკან მოვიხედე, პირველივე მგზავრს შევჩივლე, რაა, აქაური საათი ალბათ არ მუშაობს მეთქი. უცნობმა დინჯად ჩაიღიმა და არც კი შეჩერებულა ისე მიპასუხა: სამი საათი სხვაობაა დროში.

სად ვიყავი დილით და სადა ვარ ახლა, — გავიმეორე გულში. აღამიანი ყველაფერს ეჩვევა, — დავასკვენი ფილოსოფიურად.

დარბაზში ბაგაუს უკვე ეზიდებოდნენ, უცნობი გარემოს სუნი მეცა. მარტოობა ვიგრძენი, ოდნავ გული შემეკუმშა და, თითქოს მოვიწყინე კიდეც. საიდანლაც ვიღაცამ ჩემი გვარი წამოიძახა, ბაგაუი ავიღე და ხალხს მეორე დარბაზში შევყევი.

კარებში ქველ ნაცნობივით პირდაპირ მომადგა სახეცქრიალა ქალი-შვილი. მომესალმა და წინ გამიძღვა. „უიგულში“ რომ ჩაგსხედით, ქალი-შვილი მომიბრუნდა და სხაპასხუპით ამიხსნა, რომ იგი მხოლოდ აქ შემხვდა, თორებ ჩემი მთარგმნელი სხვა იქნება. რაც, მართალი გითხრა, მაინც და მაინც დიდად არ მსიამოვნება.

— გაისად უსათუოდ საქართველოს ვეწვიო მინდა. საქართველო ჩემი ნატვრაა, ბევრი რამ წამიკითხავს და ვიცი თქვენზე. „სულიკოს“ ქართული სიტყვებით ვმღერი, — მომხარა ქალიშვილმა. პო, სახელი აეროპორტში შეხვედრისას მითხრა, მაგრამ ვერ დავიმახსოვრე, მეორედ კითხვისა კი მომერიდა, ამიტომ გამოსავალი ამნაირი ვიპოვე:

— სულიკო! დიახ, თქვენ სულიკოს გარქმევ. სულიკო, დიდად გმაღლობთ.

— რისთვის? — გაიკვირვა და სველი თვალები მომანაო.

— ასეთი სიყვარულისათვის, — ვუპასუხე უაზროდ, მაგრამ საკმაოდ მოხდენილად და მგონი ზუსტადაც.

მკერდზე დიდი მედალიონი უჩანდა, ზედ ხევსური გოგო ვიცანი. პო, ეს თქვენებურია, თვალებით მანიშნა. ჩვენს ქალაქში კობა გურულის გამოფენააო, გუშინ იქ ვიყავი და ეს თავად მხატვარმა მაჩუქაო, კისკისით მითხრა და მედალიონი ხელში შეათამაშა.

— სულიკო, როცა ჩამოხვალ, მე გეგელიძეებში მიგიპატიუებ.

— ეს რომელი ქალაქია?

— ეს ჩემი სოფელია.

— მაგი თქვენი გეგელე... გეგელითებ... თუ რაღაც ჩემს სიგლიგეთ-სა ჰგავს, სიგლიგეთი ჩემი სოფელია, ბალატონის ტბასთანაა, დასავლეთში. იქ ჩვენი კავშირის შემოქმედებითი სახლია, ძალიან ლამაზი სოფელია, უჰ, რატომ გამახსენეთ ახლა? საშინლად ვიღლები ამ ქალაქში. როგორ მინდა ერთი სოფელში გასეირნება.

— აბა ჩვენ ერთი სოფლიდან ვყოფილვართ. — ვიხუმრე წელანდელმა გამხნევებულმა.

— ჩვენს დღოში დედამიწაც ერთი სოფელი გახდა, — დაასკვნა ჩემმა ლამაზმა სულიკომ. „დღევანდელი დღე ამის დასტურია“, — გავიფიქრე მეც ჩემთვის.

შემდეგ კიდევ ბევრი რამ გავითქმა. შემდეგ სიგლიგეთი და გეგელიძეები ამეცვიატა და სულ ვიმეორებდი, მაგრამ უცებ მანქანა წოწოლა სახურავიან ნაცრისფერ შენობასთან; შეჩერდა, ვიგრძენი, ეს ჩვენი ლამაზი მგზავრობა სრულდებოდა. გული დამწყდა, თითქოს დიდი ხნის შეჩვეული, სიყვარულით მოშენებული ერთი ტბილი ცხოვრება აქ მითავდებოდა. სულიკომ, თითქოს ჩემი ხვაშიადი იგრძნო, დამამშვიდა:

— სიგლიგეთში თუ მოხვდით, უთუოდ გავიგებ და იქნებ მეც ჩამოვიდე.

ძველებურმა ლიფტმა ნელა, რბილად და უხმაუროდ აგვიყვანა მესამე სართულზე. ეს ჩემი გამოთვლით, თორემ როგორც მერე გავიგე, უნგრეთში თურმე პირველი სართული ნოლია, მეორე — ბელეტაჟი და მხოლოდ მესამე სართულია პირველი.

შესვლისთანავე წარმომიდგინეს დიდთმებიანი, მაღალი ბიჭი. ეს ქწება თქვენი მთარგმნელიო.

— ბენცელ ჩობა, — მომარტყა ბიჭმა და მაგრად ჩამიჯაჭვანა ხელი, თან განმიმარტა, ჩვენში ყოველთვის პირველად გვარს წარმოთქვამენ, მერე კი სახელსო.

— ჯაბა რომ დაგიძახო ჩვენებურად? — ვკითხე.

— კეთილი. ჯაბა იყოს, — მიპასუხა აღტაცებულმა.

მუხლებსა და საჯდომზე ოდნავშეცვეთილი ხავერდის ღია ფერის ჭარვალი ეცვა, შინნაქსოვი ღაზლის უსახელო წინჩახსნილი ზუბუნი მუხლებამდე წვდებოდა და კალთები წინ-უკან უფრიალებდა. იგი ყოველწუთს იღიმებოდა, სხარტობდა, ხმაურობდა, სხვადასხვა ღია ბარათებს ხელში მაჩრიდა, თან შიგდაშიგ საინტერესო მარშრუტებს მპირდებოდა, გეუბნებოდა ყოველი სურვილი მისთვის გამემხილა და, საერთოდ, არ მოვრიდებოდი.

ერთი რამ წინასწარ გარკვეულია. თუ თანახმა იქნებით, პროგრამის
ბოლოს რამდენიმე ღლით სიგლიგეთის შემოქმედებით სახლში დასვენებუ-
ბაა შემოთავაზებული. საერთოდ კი პროგრამას დაწვრილებით ხვალ შე-
გითანხმებენ, შეხვედრები, ნახვა-დათვალიერება, გაცნობა, შესწავლა, ვი-
სთან, როდის, რა, როგორ ეს ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული.

— რადგან ახლა სასტუმროები საშინლად გადატვირთულია, — მით-
ხრა ჯაბამ კიბეზე რომ ჩავდიოდით, — კავშირმა თქვენ; კერძო ბინა გა-
მოგინახათ. სახლი მშვენიერ ალაგასაა, სიმწვანეში, სიმშვიდეში, თანაც
ცენტრში; დუნაიც მოჩანს იქიდან და ჩვენი ახალი სასტუმრო „ბუდაპეშ-
ტიც“. აგრე ტაქსიც, ჩაჯექით, მაგრამ ჯერ ხომ არ გვესადილა?

სახეზე ალბათ თანხმობის ნიშანი შემამჩნია და შოთერს რიხიანად
განუმარტა ჩვენი ახალი გადაწყვეტილება, თანაც მგონი რჩევაც ჰკითხა,
თუ სად უფრო აჭობებდა სწრაფად, იაფად და გემრიელად წასადილება.

— ეს ბუდაა, გადავალოთ პეშტში. იქ ერთი კარგი რესტორანია. იქ კი,
ზემოთ მეთევზეთა ბასტიონია, გაღმა — დუნაიზე გადამდგარი — პარ-
ლიენტის სასახლე.

რესტორანი ნახევარსარდაფში იყო მოთავსებული. რამდენიმე
უშველებელი დარბაზი ხალხით გაჭედილიყო. ერთმანეთზე გვერდის ავ-
ლა ჰირდა. ჯაბა მაინც ოსტატურად გაძვრა ვიწროებში, ერთ კუთხეში
ორი სდგილიც გამონახა, კედელთან დამსვა და სასწრაფოდ ვეებერთელა
მენიუს სქელი პრიალა ფურცლები ჩემს თვალშინ აატკაცუნა.

მე კი წამით თავში გამიელვა: ჯერ მხოლოდ შუადღეა, სად ვიყავი
დილით და სადა ვარ ახლა...

ჩემი სურვილის თანახმად მეთევზეთა ყაიდაზე შემზადებული უხა
მოვართვეს, ჯაბას სურვილის თანახმად ბოთლი თეთრი „რისლინგი“
მოაყოლეს, ჩემი სურვილის თანახმად მეორე კერძზე უარი უნდა გვე-
თქვა. ჯაბას სურვილის თანახმად ასეთი წინადადება მოიხსნა და მისივე
სურვილის თანახმად ხბოს ორ გულიაშთან ერთად დამატებით ერთი
ბოთლი „რისლინგის“ მოტანაც გახდა საჭირო.

შემდეგ რაღაც გამახსენდა, ავდექი, გარდერობში გავედი, ჩანთა გა-
ხსენი და, ჩემი სურვილის თანახმად კიდევ ერთი რამ მოხდა: გეგელ-
ძეების გზაზე ამ დილით ნაჩუქარი აჭიკა უნგრულ სუფრაზე დავდგი.

ჯაბა ენაწყლიანი ყმაწვილი აღმოჩნდა, გულწრფელი, გულუხვა და
ალალი. ბოლოს აჭიკიანი შუშის პატარა ქილას თვაი დაახურა და შარ-
ვლის ჯიბეში ჩაიდო. გარეთ გავედით.

შემდეგ ჩემს ბინას მივადექით. სახლი ქალაქის მართლაც მწვანე,
ძველებურ უბანში იდგა, პეშტში, შიმელის ქუჩაზე. ჩვენებურად თუ ვი-
ტივით, ოთახი პირველ სართულზე მიჩვენეს. ეს იყო სამი თვალი ბინის

ერთი ოთახი; ფაქტზე გაწყობილი, დასუფთავებული, მორთული,

წყნარი, განიერი და ნათელი ოთახი.

დიასახლისმა ღიმილით შეგვიპატიუა. ხნიერი, მაღალი ქალი იყო, სა-
სიამოვნო, თავაზიანი და, ეტყობოდა, თავს ბინასავით უაღრესად ფაქტი.
ისე ჩურჩულით ლაპარაკობდა, მეგონა შინ ვიღაცას ძინავს მეტქი,
მაგრამ მალე გვამცნო, რომ სახლში ახლა იგი მარტოდმარტოა, საერთოდ
კი, მასთან ცხოვრობს მხოლოდ ქალიშვილი, რომელიც საღამომდე მუ-
შაობს. თავადაც ხშირად სხვადასხვა საქმეებზე დადის, ასე რომ მთელი
დღე მთელი ბინა ჩემს განკარგულებაში იქნებოდა.

— ფრანგული იცის? — ჰქონდა ჯაბას ჩემზე.

უარის ნიშნად თავი გავაქნიე.

— ინგლისური? — სევ გავაქნიე თავი.

— გერმანული? — სიმწრის ოფლი დამასხა.

— ჰო, დათვლა კი... ვიცი... — ძლივს ამოვლორნე და გულში რა-
ტომლაც ვიფიქრე, ამ დილას რომ ის ოხერი ცხმორისელი არ ლამზგზავ-
რებოდა და ენების ცოდნაზე არ შემკითხოდა, შეიძლება ახლა ამ გაჭირ-
ვებაში არ ჩავვარდნილიყავი მეტქი.

ჩემს პასუხზე არც გალიმნიათ. პირიქით, დიასახლისმა შეწუხებული
იერიც კი მიიღო. ალბათ ეწყინა, რომ ეერცერთ მისთვის ნაცნობ ენაზე
სტუმარს ვერ დაელაპარაკებოდა.

ვატყობილი ჩემი ჯაბაც გლახა დღეში იყო.

შექმნილი ვითარების გამო ქალმა ბიჭი მანამ არ გაუშვა, სანამ ყვე-
ლაფერი რიგიანად არ ამიხსნა.

ჯერ ჩემი საწოლი მაჩვენა, შემდეგ ფეხსაცმელებისა და წინდების
დასაწყობ ადგილზე მიმითითა კარებთან, ჩემოდანი თავად აიღო და კუ-
თხეში მიდგმულ დაბალ დგამზე შემოდო, აქ იყოსო, დააყოლა. შეაფი გა-
აღო და ზედა ტანსაცმლის საკიდარები ცალკე გადამითვალა, პერანგები-
სა ცალკე, მერე მეორე მხარეზე თეთრეულის დასაწყობი თაროები დამა-
ნახა. ამას რომ მორჩა, მრავალგვარი სინათლეების ჩასართავ-გამოსარ-
თავთა წესები გამაცნო, ხოლო ბოლოს ელექტროსამართებლის შესაერ-
თებელთან მიმიყვანა, საწოლქვეშ ფლოსტების დასაწყობი ადგილი რა-
ტომლაც შორიდან თითით მომიხაზა, აეცილი ზეწრის დასადები ადგი-
ლიც მიჩვენა, ფანჯრებისა და ფარდების გაღება-დახურვა და გაწევა-გა-
მოწევა მასწავლა, მაგიდაზე საფერფლე დამიღო, კიდევ ერთხელ კმაყო-
ფილი და კეთილი ღიმილით თვალი შემავლო, სკამზე დაეშვა და, როცა
ვიფიქრე ალბათ ყველაფერი ამით მთავრდება მეტქი, ისევ
ჯაბას მიუბრუნდა.

რომელ საათებში იღებს აბაზანას და რამდენგრადუსიანი წყალი
ურჩევნია, ჰქონდა. ადგა, პატარა კარები შეაღო, აბაზანა და საპირფარე-

შო დაგვათვალიერებინა, პირსაბანი და საპნის დასადები აღგილიც მიგ-
ვინიშნა. შემდეგ ჯაბას უთხრა, აქ შემოსვლისას მეორე მხარეს გამდვრი-
კარი გადაკეტოს, რათა ჩვენ ვიცოდეთ ქაურობა დაკავებული რომაო.

გამოსავათებული ჯაბა ულონოდ შემომჩერებოდა, თითქოს შველას
ჩემგან ელოდა, დიასახლისი კი შეუბრალებლად ისევ წაგვიძლვა წინ და
ამჯერად უკვე სამზარეულოში აღმოვჩნდით. თუ მათი არყოფნის ღროს
ყავის დალევა მომესურვებოდა, აი ასე და ასე შემეძლო მოხარშვა, ხოლო
ჩა და ჩაიდანი აგერაა, კენჭი შაქარი კი სულ აქაა, მაგიდაზე, ტკეჩე-
ბით მოქსოვილ პატარა კალათში.

ჯაბა სწრაფად გამობრუნდა, გასასვლელთან შეჩერდა და ქალს რა-
ლაცა უთხრა, ეტყობოდა წასვლას აპირებდა, მე ჩემს ოთახს მივაშურე,
კარებთან ფეხზე გავიხადე, ტუფლები, რომელშიც დილით ცოტა გეგე-
ლიძური მიწა ჩაცვენილიყო, გაზეთის ქალალდზე გამოვბერტყე. მიწის
მტვერი ფაქიზად შევახვივ და ჩანთის კუნჭულში შევინახე.

ერთი სული მქონდა, როდის გავიშხლართებოდი და ცოტათი მოვი-
ცვენებდი, მაგრამ მოულოდნელად გული შემექუმშა, უცნაურმა და
აუტანელმა მარტოობამ შემიპყრო. წამოვვარდი, ჩავიცვი, გარეთ გავიჭე-
რი და ქუჩაში ჯაბას დავუწყე ძებნა. საბედნიეროდ ტრამვაის გაჩერება-
სთან შევნიშნე, და, არ გამასწროს მეთქი, მოურიდებლად შორიდან და-
ვუძახე. შემომხედა, მიცნო და სწრაფად მომიახლოვდა.

— ჯაბა, თუ ძმა ხარ, მოდი ჩემი პროგრამა ბოლოდან დავიწყოთ.

— ესე იგი, როგორ? — გაოცებული შემომაშტერდა.

— წავიდეთ სიგლიგეთში დღესვე და დანარჩენ საქმეებს მერე მო-
ვუაროთ. — ბიჭი განსაცდელში ჩავაგდე, მაგრამ ბევრი აღარ უფიქრია,
წამოყვა. დიასახლისს ჩემი გადაწყვეტილება დიდი სიფრთხილით აუხ-
სნა, ბოდიში მოუხადა, დაემშვიდობა და კარი გამოაღო. კარებში ქალი-
შვილი შეგვეფეთა. დიასახლისის გოგო იყო. პირველად რომ შევხედე,
იმოდენა თვალები და წამწამები ჰქონდა, ისე უცნაურად დაეწირეხა შა-
ვი კულულები, რომ მეგონა ჯემალ ლოლუას მიერ დახატულ პიონერს
უუყურებდი.

— მე ანუელა მქვია, — გვითხრა წამწამების ფახურით, — რატომ
მიდიხართ, დედა, რა არ მოეწონათ? — იწყინა ქალიშვილმა.

მაგრამ ჩემი განაჩენი საბოლოო იყო.

— მე ანუელა მქვია, — გაიმეორა და ნაღვლიანი ღიმილი გაგვატანა.

დაბნეულმა ჯაბამ ტაქსი დაიჭირა და ვაზლისაკენ გამაქანა, რომე-
ლილაც უშველებელი დაკიდული ხიდი გადავიარეთ, ათასნაირი მიხვევ-
მოხვევა გავაკეთეთ, ეს რუზველტის მოედანიაო, მითხრა ერთგან ჯაბამ
და სანაპიროს გზატკეცილზეც გავედით. მანქანათა მდინარეს შუაგულში

მოვექეცით და ნელა ავყევით დინებას. უცებ ჯაბამ მარცხენა შუშა ჩა-

მოსწია და ვიღაცას სწრაფად გასძახა:

— გუნდო, გუნდო! — გაღმა მიმდინარე მანქანებში ერთერთის სარ-
კმლიდან ბიჭმა ქერა თავი გამოჰყო და ხელი დაგვიქნია, თან, მგონი ჯაბ-
ას ანიშნა, თუ სად დაგველოდებოდა.

ბევრი ტრიალის შემდეგ ჩევნი ტაქსი გუნდოს დაძველებულ, წელ-
ში საცოდავად მოღუნულ „ფოლკსვაგენს“ მიადგა. ბიჭები ერთმანეთს
გადაეხვივნენ.

ჯაბამ ჩემი თავი გუნდოს გააცნო, ყველაფერი მოუყვა და მოულოდ-
ნელად გადაწყვიტა ამ კუზიანი მანქანით პირდაპირ ახლა, აქედან სიგლი-
გეთში გავემგზავრებოდით.

უკანა საჯდომზე ჩემი ბარგის გვერდით გუნდომ დიდი მზრუნველო-
ბით დამიგო გახუნებული შალის ზეწარი, რომელზეც სიამოვნებით და-
ვეშვი.

ვიდრე ბუდაპეშტის ცენტრის გადარეულ მოძრაობას თავს დავალ-
წევდით და ქალაქიდან გავძრებოდით, რაღან მე საათებით ანგარიში
ამერია, სქელი კვამლით დაფარულ ცაზე თვალით რამდენიმეჯერ მოვძებ-
ნე მზე. იგი გათქვეფილ კვერცხის გულიყით მოყვითალოდ დატყობოდა
ცის დასავალს, მაგრამ მნათობს ჩასვლამდე კარგი მანძილი ჰქონდა კიდევ.

დიდ ტრასაზე რომ გავედით, ჯაბამ თქვა სეკეშფეხერგარში გავიარო-
თო. იქ დედაქემი ცხოვრობს და ვინახულოთ, გაეხარდებათ.

ძველი მანქანის კარის ღრიჭედან ცივი ქარი მოძრებოდა და პირდა-
პირ ბარძაყში მესობოდა. ზეწარის ყური ჭლიკზე შემოვიხვი.

ჯაბა შემობრუნდა და მოთხრა:

— ეს ბიჭი დასავლეთ გერმანიდანაა.

„ეს მინდოდა ახლა?“ — გავითქმირ ჩუმად გულში.

— ასპირანტია ბუდაპეშტის უნივერსიტეტში — გააგრძელა ჯაბამ

— უნგრულ ფოლკლორში მუშაობს. კარგი ბიჭია. გუნდოლფი ჰქვია,
დუესტერია გვარად. ძალიან ახლო მეგობრები ვართ. გუნდოს ვეძახით.

გუნდოლფი აღმართ ყველაფერს ვერ ხვდებოდა, მაგრამ იცოდა, რომ
ლაპარაკი მას შეეხებოდა, ამიტომ თავს ხშირად ოდნავ მოაბრუნებდა და
თანხმობის ნიშნად ლიმილით დამიკრავდა.

რამდენიმე რუსული სიტყვა იცოდა, იმათი ოსტატური მონაცვლებით
ზოგჯერ საკმაოდ კარგად ახერხებდა თავისი აზრის გადმოცემას.

ლიუბეკიდან ვარო, მიაგება ახალი ცნობები ჯაბას. ლიუბეკი, მოგეხ-
სენებათ, თომას მანის მშობელი ქალაქია, აუწია ხმას ჩემს გასაგონალ
ოდნავი სიამაყით.

ახლა მალბურნში ვცხოვრობო. ეს ხელოსანთა და ვაჭართა ქალაქია.
მამაქემი მუშაა, ლითონდამმუშავებელ საწარმოში მუშაობსო.

მანქანა თანდათან უმატებდა სიჩქარეს. მუხლზე ზეწრის მეორე პირიც შემოვიხვიე. გუნდო მიმიხვდა გაჭირვებას, მარცხენა ხელით დაიჭირა, მარჯვენათი ჩემს მხარეს კარს სარჩული მოუსინჯა. დაქლეჭილი ტილო ცივი ქარით გამობერილიყო, ღრიჭესაც მიაფარა თითები, მაგრამ შეატყო ამით ვეღარაფერს უშველიდა და უიმედოდ ჩაიქნია ხელი. თან, დაძველებული ქვეყნად არაფერი არ ვარგაო, ჩაილაპარაკა.

მაგრამ ეს ჩვენი ბებერი „ფოლკსვაგენი“ მაინც ძალიან ცდილობდა, ისეთი მონდომებით და სულმოუთქმელი სიშპაგით ყლაპავდა ზონარივით გაჭიმულ შარაგზას, რომ გეგონებოდა პატრონის საყვედლურებმა გაახელაო.

გუნდომ საჯღომის ქვემოლან პორტატული რაღიონიში გაძოათია და უკან მე გადმომაწოდა:

— მოძებნეთ რამე კარგი, თავი შეიქციეთ, — მითხრა.

სეკურიტეტურაშიც მაღვე შევედით. ეს ქალაქი უნგრეთის პირველი სატახტო ყოფილა.

ძველ სასახლეთა უბანს ჩავუარეთ. გაბამ ათობით მეფეთა საფლავები დამანახა და კიდევ ძველი თეატრი, უღიღესი ეკლესია, სადაც უღიღესი ორგანია. და ერთ გზაჯვარედინზე ოდნავ შენელებული მანქანიდან მაჩვენა დაბალი, ძველებური ქვის სახლი, რომელშიც მიხაი ზიჩი დაიბადა.

შემდეგ ახალ რაიონში გავედით და ერთი სახლის მესამე სართულზე ჯაბას დედა შემოგვეგბა. ჭეთილი და მუყაითი მეოქანე ქალი ჩანდა. შვილს მიეფერა და სამზარეულოში, მგონი, ბევრი საკუთრივი უთხრა.

ცოტა ხანში ისევ გავაგრძელეთ გზა.

— არ მუშაობს? — ვკითხე დელის შესახებ ჯაბას, როცა მანქანა სი-
სწრაფის ეშხში შევიდა.

— კი, მაგრამ — შინ. ტრიკოტაჟის კომპინატი დაკვეთებს აძლევს, დედაჩემი შინ ქსოვს და მერე აბარებს.

ახლა უკვე ბალატონის ნაპირს მივყვებოდით, მინდვრებსა და ფერდობებზე თანდათან იმატა ზერებმა. მთის წვერებზე უფრო ხშირად შეინიშნებოდა ძველი ციხეები. გამახსენდა ქართლ-კახეთის მთა-გორები ჩვენებური ციხეებითა და მონასტრებით.

„სარ ვიყავი დილით, სარა ვარ ახლა“.— ჩუმალ ვიძეორებდი გულში.

ხის ფუტლიარში ჩასმულ პატარა რაღიომიმღებს საფირმო ემბლემა
მოძრაობოდა, ისიც ჩვენი ავტომობილივით დროს საქმაოდ შეელანდრა, მა-
გრამ როგორც კი მარჯვენა კუთხეში შავი ღილაკი გადავაბრუნე, სული
ჩაიდგა და გრძელი იმედისმომცემი ხიხინი ამოუშვა; ხოლო როცა ანტე-
ნაც ამოვწიე და სახურავის გატეხილი სარქმლიდან გარეთ გავყავი შამ-
ფურივით, ისევ ამოიდგა ენა და იმდენი ქალაქი დაიჭირა, მეგონა მთელი
ევროპის რაღიოსადგურები სამწვადე ნაჭრებივით ზედ წამოეგო.

ბევრი კარგი მუსიკა მოვასმენინ ბიჭებს და ისინიც თავის ქნევით ისე მემადლიერებოდნენ, ვითომც კონცერტებს მე თვითონ ვასრულებდი. მარცხნივ ლურჯი ზეირთებით დახახული ბალატონი ირხეოდა, ნა-პირების გასწვრივ ჩარიგებულ პატარა ქალაქ-აგარაკებს გამალებით ვი-ტოვებდით უკან.

რაღიო გავაჩუმე და ჭაბას ვუთხარი, დღეს თბილისის დინამო მოს-კოვისას ეთამაშება, მიმღებს ნამეტანს ნუ გადავღლით, საღამოს რეპორ-ტაჟის მოსმენა მინდა მეთქი.

უცებ გუნდოლფმა თქვა, იმ ღროს, როცა საბჭოთა ნაკრებმა ევრო-პის თასი მოიგო, მარსელში ვიყავი, თამაშს ვესწრებოდიო, მაშინ ძალიან შემიყვარდა „ორი ქართული ხანჯალი“. ეს ერერას წამოცდა, მერე კი მთელი მსოფლიო იმეორებდათ.

მართალი გითხრა, გუნდოს ნათქვამმა ცოტა მხრებში წამომწია. ამას ხომ ბოლოს და ბოლოს ამბობდა დასავლეთგერმანელი, ვისი გუნდი მსოფლიოში პირველიც ყოფილა.

— შარშანწინ და შარშან კლასით თქვენი ასათიანი გამოირჩეოდა თითქოს, მაგრამ ხშირად ბურთს მიღებისას ისევ მომაბეზრებლად აყვნე-ბდა, რომ მე თვითონ ნერვიულობისაგან მუხლებზე მუშტებს წავიშენდი ხოლმე, — მატკინა მაინც გული გუნდოლფმა, მაგრამ რა მქონდა საწინა-აღმდეგო, როცა ზუსტად ჩემს სათქმელს ამბობდა.

გუნდო ხასიათით თანდათან ისე მომეწონა, რომ თუმცა საჭეს უჯდა, თავი ვეღარ შევიყავე და ჩანთიდან ერთი „ვარციხე“ ამოვაძვრე. ჭაბამ ბოთლი ხელად გამომგლიფა და ხელებში სიყვარულით შეათამაშა.

— მაგი ახლა არ მენახა ჭობდა, — გაიცინა გუნდომ.

— არა უშეს, — უპასუხა ჭაბამ, — სამაგიეროდ სიგლიგეთში ორ-ჯერ მეტი მოგიწევს.

— რაღა დაგვრჩენია მანამდე — აღმოხდა გუნდოს და თავი მხრებში ჩარგო, რათა წინ უფრო შორს გაეხედა, — მაჩვენე მაინც, — უთხრა ჭა-ბას და ბოთლი გამოირთვა, ცალ ხელში შეატრიალა, შეათვალიერა, იარ-ლიყზე წარწერას დააკვირდა წამით და უცნაურად ჩაიღიმა. — ფანტა-ტიკურია ქართული ალფაბეტი, სიამოვნებით შევისწავლიდი თქვენებურად წერა-კითხვას.

— აჭარული დიდად განსხვავდება? — მკითხა მოულოდნელად ჭაბამ, რომელმაც უკეთესად იცოდა საიდან ჩამოვედი და რომელ მხარეში ვცხოვრობ.

— ერთი და იგივეა — ვუთხარი მშვიდად.

— მაშ, აჭარაც საქართველოა?

— საქართველო უფრო შორსაც მიღის, მაგრამ რას იზამ, ჯერჯერო-ბით გადაკვეთილია თითქმის შუაზე. — ეს რომ ვთქვი ორივეს შევხედე

და რატომდაც შთაბეჭდილება დამრჩა, რომ გუნდოლფმა უფრო უკეთე-
სად გაძიგო.

— მაშ ადლეგრძელეთ ერთიანი და ლამაზი საქართველო! — წამოი-
სახა გუნდომ და ბოთლი მე გადმომაწოდა, მაგრამ შუაგზაზე ჯაბამ წაა-
რთვა, საცობი მოხადა, პლასტმასის ორ პატარა სასმურში ჩასხა და ერ-
თი მე გამომიშვირა. გუნდომ ღია ბოთლს დასუნა მხოლოდ და ფრიად
კმაყოფილი დარჩა. ჯაბამ შარვლის ჯიბიდან ჩემი მიცემული აჯიკიანი ქი-
ლა ამოიღო და გადასცა:

— თუ ყნოსვა რამეს გაძლევს, ამასაც დასუნე.

აჯიკა ყოველმხრივ იქნა გასინჯული, განხილული და ბოლოს ლირსე-
ულადაც დაფასდა.

მაშინ უნებლიერ ჩემთვის გავითქმირე, ამ წუთში ისევ ის დღე დგას,
ჩეგილიძეებში რომ გათენდა მეთქი და გული შემიურულდა.

ტალღებად დაშვებულ მთის ფერდობებზე გადავდიოდით, გზა ოდნავ
უფრო დავიწროვდა, ამიტომ მეორე მანქანისათვის გვერდის ახვევა ყოვე-
ლოვის ისე ადვილი აღარ იყო.

უკანიდან მომესმა შევეტილი სიგნალი, რომელიც ინდაურის ყრან-
ტალივით პრეტენზიული და გამჭოლავი იყო. მივიხედე და ვიწრო სარკ-
მელში უშველებელი ბრტყელი, შავი ლიმუზინი დავინახე. ავტომობილს
უცნაურად აპრეხილი ფრთები უჩანდა, ვებერთელა თეთრ ფარებს თით-
ქოს გაჯავრებით გვიბრიალებდა და მოკლე, მედიდური სიგნალებით გზას
მოითხოვდა.

უნდა მეთქვა ამის შესახებ გუნდოსთვის, მაგრამ იმწამსვე დავრწმუნ-
დი, რომ ჩვენი მძლოლი პატარა სარკეში ყველაფერს თვითონ ხელავდა,
ამიტომ სიჩუმე ვამჯობინე.

დათმობის მაგიერ ჩვენი მანქანა მგონი თანდათან უფრო გზის შუა-
გულს იკავებდა და თითქოს სელასაც უმატებდა.

მაგრამ რომელიოაც მომენტში შავმა ავტომობილმა მაინც იხელთა-
შესაფერისი დრო, გვერდი აგვიარა და კიდეც დაწინაურდა. თვალი ბოვ-
კარი, უკანმსხლომა ორმა ქერათმიანმა ლამაზმანმა შემოხედვისას როგო-
რი გამარჯვებული იერით გაგვიღიმა.

— ამერიკულია? — იკითხა გუნდომ.

— მგონი კი — დასცდა ჯაბას.

უცებ თითქოს ჩვენი მანქანა აინთო და ახალი ღონე ჩაიდგა.

კარები და შუშები სულ ერთიანად აძიგძიგდა, ხოლო მანქანას სხეუ-
ლში რაღაცნაირი გაბმული და განწირული ზუზუნი აუვარდა.

ბალატონიდან საქმაოდ დაცილებულები და მთებში შეჭრილები, დამ-

რეცი ველით ახლა თანდათან დაღმა ვეშვებოდით. პატარ-პატარა სანაპი-
რო სოფლებს ყოველ წუთში შუა-შუა ვკვეთავდით და საშინელი სისწრავა-
ფით საღლაც მივქროდით.

შიშით შეცქეროდი ჩემს წინ მსხდომთ. ისინი კი ხმაგაქმენდილები
დაძაბულად მხოლოდ წინ იცქირებოდნენ.

უცებ ჯაბაძ გვერდით გაიხდა და შეჰყვირა:

— სიგლიგეთი, გუნდო, სიგლიგეთი!

მაგრამ შოთერს თითქოს არაფერი გაუგონია. პირიქით, გაზს უფრო
უმატა და ეს სოფელიც თვალსა და ხელს შუა ისე გაგვიქრა, რომ ერთი
სახლის გამორჩეულად დანახვაც ვერ მოვასწარი.

ვიდრე აზრს მოვიკრებდი, შავ ლიმუზინს თითქმის დავეწიეთ და მისი
უკანა ბორბლებიდან გამოტყორცნილი მტვრის ბუჭი თვალწინ დატრიალ-
და. რამდენიმე წამში კი მარცხნიდან გავუსწორდით და მალე — თუმცა
თვალებს არ ვუჭერებდი — უკან მოვიტოვეთ. ლამაზმანები ახლა უკვე
ალარ ილიმებოლნენ, მხოლოდ მუშიებივით ისხდნენ, თითქოს ვერც კი
შეგვნიშნეს.

საქმაო მანძილით რომ გავშორდით, გუნდომ უეცრად შეანელა სვლა
და ბოლოს მარჯვნით, აკაციის ხეებთან გააჩერა. ახლა უკვე გულდამშვი-
დებით გაუშვა წინ ლამაზმანებიანი შავი ავტომობილი, ხოლო თავისი უკან
მოაბრუნა.

— ვერ ვიტან ამ ამერიკულ ყოყოჩას... — უთხრა ჯაბას, მე კი რა-
ტომლაც ბოდიში მომიხადა.

ამასობაში აღმოსავლეთიდან მიმავალნი სიგლიგეთში დასავლეთიდან
შევდიოდით.

ისლით დახურული ძველი ქოხების გვერდით — თანამედროვე კოხტა,
ნათელი სახლები, ორლობებში მწიფე ყურძნის სუნი ტრიალებდა.

შემოქმედებითი სახლი ძველი მემამულის მშვენიერ სასახლეშია. კარგი ოთახი მერგო, ჯაბაც კმაყოფილი იყო, მაგრამ გუნდოლფი ჭერ
ისევ ჭიშკართან მანქანაში იცდიდა. მასაც რამდენიმე დღით აქ დარჩენა
გადაეწყვიტა, თუმცა არ იცოდა სად მოენახა ლამის გასათევი. მათ უკვე
რამდენიმე გლეხის ეზო შემოევლოთ, ყველა მინდორში იყო, შინ არავინ
დახვედროდათ და შემომთავაზეს, დაღამებამდე აგერ მაღლა გორაზე ავი-
დეთ, ძველი ციხის ნანგრევი დავათვალიეროთო.

ციხის ხსენებამ მიტოვებული „ვარციხე“ გამახსენა, მაგრამ იგი მან-
ქანაში დარჩენილიყო, ამიტომ აღარაფერი ვთქვი, — გუნდოს კუთვნილ
სუვენირად ჩავთვალე. ჩემს ოთახში შევბრუნდი, მეორე მომცრო ასეთი-
ვე ბოთლი გაზეთში შევახვიე და მალე სიგლიგეთის ციხისაკენ მიმავალ
საცალფეხო ბილიკს დავადექით.



დახეთქილი, ხორქლიანი, ფაშარი, ხნიერი სხეული ციხისა, რომელიც გლდეს ჩაზრდოდა, მრავალ თავდასხმის მომსწრე, მრავალგზის ნაიარევი და მაინც ცოცხალი, ასე ჭიუტად რომ იდგა თავის მშობელ მიწაზე, თითქოს მე რაღაც ახალს, თანაც დიდი ხნის ცნობილ ძლიერ სიყვარულს მკარნახობდა ჩემი საკუთარი ხალხის წარსულისადმი. ეს ხმამაღალი ფიქრი იმ წუთში ჩემთვის ძალიან გულწრფელი იყო და საკმაოდ მნიშვნელოვანიც. ამიტომ ვიმეორებ ახლა.

ციხის ნანგრევში მიყუჟულებმა თანაბრად გავიყავით „ვარციხ“-თითოეულმა რაღაც კარგი ვადღეგრძელეთ, თუმცა ქარში ერთმანეთს ვერაფერი გავაგონეთ, მაგრამ მაინც წრფელი შინაგანი თანხმობით დავლიეთ.

შორს, დასავლეთში კი ბაღ-ვენახებით მოხატულ მიწის გობზე იღო მოწყვეტილ ნესვივით გაყვითლებული მზე და მიმწუხრში სიმწიფის მათრობელა სურნელს აბნევდა.

დაბლა რომ დავეშვით, ხეობათა ფსკერებზე უკვე ღვინისფერი ბინდი მიუონავდა.

ისლით დახურულ ქოხის ეზოში დედაბერი მტრედებს საკენქს უყრიდა- გადარეული წითელი მამალი შუაში ჩამდგარიყო და მოღულუნე ფრთოს- ნებს ემუქრებოდა, თანაც გაცხარებით თავის დედლებს უხმობდა.

მაშინ კიდევ ერთხელ გავითქმიქრე. ეს დღე, ამ ახალგაცნობილ სიგ- ლიგეთში რომ ღამდება, ჩემს შორეულ სოფელ გეგელიძეებში დაიწყო- სად ვიყავი და...

ჯაბამ თქვა, დედაბერს ვკითხოთ, იქნებ ოთახს აქირავებსო, გუნდომ ქოხი შეათვალიერა და უარის ნიშნად თავი გააქნია. ვიდრე ისინი თათბი- რობდნენ, მე ეზოდან ღობეზე გადმოკიდული ვაზის ფელარებში ადესა- ვიცანი. ისე გამიხარდა, თითქოს ვინმე ძალიან ახლობელსა და შინაურს შევცველროდე, — მივუახლოვდი, მივუალერსე.

მინდვრებიდან მოსულმა გლეხობამ თავთავისი ეზოები გამოაღვიძა, სახლებს ჩამოვუარეთ, ბევრს მივაკითხეთ, მაგრამ რატომლაც ახალი- მდგმურის მიღება არავინ ინება. უკვე კარგა შებინდებულზე ისევ ჩვენს მანქანასთან მოვიყარეთ თავი. ამნაირ გამოუვალ მდგომარეობაში ბიჭებმა ისევ პირველად ნახული დედაბერი გაიხსენეს და გადაწყვიტეს ბოლოს ეს- ვარიანტიც მოესინჯათ. ჭიშკარი შევაღეთ. ეზოში აღარავინ ჩანდა, ეტყო- ბოდა სახლში უკვე ეძინათ.

ჯაბა გადაიხარა და ფანგარაზე დააკაკუნა, მაგრამ შიგნით რომ ხმა- არავინ გასცა, აივნის პატარა კარი გამოაღო, როგორც ხელი გაუშვა, კა- რი წამოიქცა, ხმაურზე საიდანლაც ძალლის ხრინწანი, უხალისო ყეფა გა- ისმა, ხოლო იქვე, ჩვენს მახლობლად მამალმა ერთი ალიაქოთი ასტეხა.

სარკმელში ჭრიალი გავიგონეთ, ოთახში სუსტი შუქი აინთო დაცმა ავწუს ღრიპე კარში ახალგამოლვიძებული დედაბრის შიშნაკრავი, შემ-ფოთებული სახე გამოჩნდა.

— რა მოხდა, ვინ ხართ! — იყითხა მან კანკალით.

— დედი, ეს გერმანელია და... — მშვიდად უხსნიდა ჯაბა, მაგრამ პირველი სიტყვების გაგონებაზე დედაბერი მგონი მთლად დაფრთხა, მო-სულს თქმა აღარ დააცალა.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! ისევ დაიწყო?!... — წიაჩურჩულა სასოწარ-კვეთილმა ქალმა და კინალამ ჩაიკეცა.

გუნდოლფმა უკან გადმოდგა ნაბიჯი, დაბნეულად გადმომხედა, დამ-ნაშავესავით უგემურად გამიღიმა და თავისი კანტიკუნტა რუსულით შე-მომჩინელა:

— ხედავთ, რა მექვიდრეობა დაგვიტოვა ჰიტლერმა გერმანიის შთა-მომავალთ?...

მე მხოლოდ ბინდბუნდში სადღაც ვიცქირებოდი.

აბა სანუგეშოდ რაღა უნდა მეთქვა.

* * *

ჯაბამ მაინც მოახერხა მშვიდობის დამყარება. ცოტა ხანში თვალებზე ცრემლებმოდგარი მორიც-ნენე (ნენე უნგრულად დეილა) შინ გვეპატიუე-ბოდა. ქოხში მარტოდმარტო ვცხოვრობო, გვიყვებოდა თან. იქ, მეორე პატარა ოთახია, მაგრამ მთელი წელიწადია არც კი გამიღია. თუ იკად-რებთ, შვილებო, თქვენი იყოს, როგორც გინდოდეთ ისე მოეწყვეთ. ფა-ცხას ზემოღარება შემოუარეთ, მორიც-ნენემ კარებთან დაყრილ თივაზე მძინარე ძალი თავის საწოლიანა იქით გაათრია და ოთახის კარი გაათ-ვისუფლა.

— ეს უბედური მთლად დაბრმავდა, ისე ბებერია, მაგრამ ვერ ვიმეტებ, მეცოდება. — თქვა ძალზე.

კარი შეაღო.

ოთახიდან გამომშრალი მიწისა, და, თითქოს, გამხმარი ტყავის შერე-ული სუნი მეცა. ელექტრონათურა ძველებური ნავთის ლამპის შუშაში ჩაეტანებიათ, მაგრამ იმდენი მტვერი დაყროდა, როცა ანთო, მეგონა მთვარე ანათებს მეთქი.

გუნდომ მანქანა ჭიშკართან მოაყენა, საბარგულიდან საძინებელი ტო-მარა ამოათრია და ოთახის ღიად დატოვებულ კარში ისროლა.

ამასობაში მორიც-ნენემ დიდ ოთახში, რომელიც ათასნაირი ბარგით იყო გამოტენილი, მე და ჯაბას თავისი ახლობლები მხოლოდ ფოტოსურა-თებზე გაგვაცნო.

— ქმარი ოშში დამეღუპა. ა, ნახეთ როგორი იყო... ეს ქალიშვილია
ჩემი. ამანაც ორმოცდათექვსმეტში, არეულობის დროს, მიღალატა და დასასაკუკ
ვლეთ გერმანიაში გაიპარა. ეს პატარა მისი გოგონაა, ისიც თან წაიყვანა.

— რატომ გაიპარა? — ჰკითხა ჯაბამ.

— უკეთესად ვიცხოვრებ და უფრო თავისუფლად გადავიღებ შიშვ-
ლად ფოტოსურათებსო, — თქვა და მორიც-ნენემ ბოლო დღეებში მიღე-
ბული ფოტოები გვაჩვენა. შვილიშვილი აქ უკვე ტანაყრილი გოგო იყო.
იგი ხან ცალკე, ხან დედასთან ერთად სხვადასხვა ფერის საცურაო კოს-
ტუმებში იყო აღბეჭდილი.

— რა ვქნა, რა ვუშველო? — ჩიორდა დედაბერი.

შემდეგ, უეცრად გამოფხიზლდა, თითქოს ჯავრი გადაიყარა, გამხია-
რულდა. ბოდიში მოიხადა, რომ თავისი ზედმეტი წუწუნით თავი მოგვა-
ბეზრა. ფანჯრის რაფიდან თიხის მაღალი დოქი ჩამოილო, რაღაცა ჰკითხა
ჯაბას და ეზოში გამოგვიძლვა. თან მის ლაპარაკში მე თითქოს სიტყვა
„მაჩარს“ მოვკარი ყური.

ჯაბამ თქვა, ახალ, ტკბილ ღვინოზე გვეპატიუებაო.

მე ვუთხარი, ჩვენებურად ამას მაჭარი ჰქვია მეთქი.

— აჲ, მაჩარი? ხომ გითხარი. — გამხიარულდა მორიც-ნენე. — ეს
კაცი სადაურია? — შეექითხა ხმამაღლა ჯაბას ჩემზე.

— ეს — საქართველოდან... „გრუზია“, კავკასია, საბჭოთა კავშირი.

— აჲ გრუზ! ვიცი — გრუზ, ვიცი! — აფოფინდა მორიცი. — იქით,
გადაღმა დიდი მინდვრებია, ვენახები. ხვალ გაჩვენებ — პყვებოდა, რა-
თა ჯაბას ჩემთვის ეთარგმნა. — ომის ბოლო გაზაფხულის თოვლჭყაბიან
დღეს, როცა საბჭოთა ჯარმა აქ ჩამოიარა, ამ მინდორში ერთი ცეცხლმო-
დებული ტანკი ჩამორჩა. ალბათ ითვირქეს ტანკში მაინც ვეღარავინ გადა-
რჩებოდა ცოცხალიო და დანარჩენებმა გზა გააგრძელეს. ირგვლივ რომ
სიჩუმე ჩამოვარდა, საღამოს, დამწვარი ტანკისაკენ ცნობისმოყვარე სოფ-
ლელი ქალები დავიძარით. მივუხლოვდით და საიდანლაც აღამიანის კვნე-
სა გავიგონეთ. მალე ჩვენს წინ, მუხლუხოთა მიერ მოზელილ ტალახში
ჩაფლული დაჭრილ-გატრუსული ტანკისტი შევნიშნეთ. უმაღვე დავტა-
ცეთ ხელი და ოთხმა ქალმა ძლივსძლივობით სოფელში მოვასვენეთ. აქ,
ჩემს ქოხში მოვიყვანეთ და აი, სწორედ იმ პატარა ოთხში დავაწვინეთ.
ოჲ, რაც მე ვიწვალე, რომ ის ბიჭი გადამერჩინა. ერთმა მეზობელმა ბე-
რიკაცმა რუსული იცოდა. ჰკითხა სადაური ხარო. უბასუხა, საქართვე-
ლოდან, გრუზიადან ვარო. როცა გამომჯობინდა, მე სულ „გრუზს“ ვეძა-
ხოდი, ისე ბონდო ერქვა. ვენახში წამოგვყვებოდა კოჭლობით ხშირად.
ძალიან უყვარდა ვაზი. შემოდგომამდე დარჩა აქა. ყურძნის პირველი
წვენი თვითონ გამოწურა. დოქებში ჩააყენა. ჩვენში ამას მაჭარს ეძახიან
გვითხრა და პირველი სადღეგრძელოებიც ამ ეზოში მაშინ წარმოოქვა.

მეც ავწიე მაჭრით საესე ჭიქა და ქართველი ჯარისკაცის ბონდონ
წამოწყებული ძველი საღლეგრძელო გავაგრძელე.

თავისი ოთახი რომ ნაჩქარევად მიალაგა, გუნდოლფიც შემოგვიერთ-
და. დაილოცა, დალია და ფეხბურთი შემახსენა. საათს დავხედე, თერთ-
მეტს გადაცილებულიყო. ჩემი ანგარიშით მოსკოვში მატჩი დასასრულს
უახლოვდებოდა.

რადიომიმღები, შუა ეზოში, მორიც-ნენეს პატარა მაგიდაზე დავდგი
და გაფაციცებით დავიწყე მოსკოვის ტალღის ძებნა, იღბლად იმწამსვე წა-
ვაწყდი. სავსე სტადიონის ჟრიამული ვიცანი. რეპორტაჟში უფრო ხში-
რად თბილისელთა ნაცნობი გვარები გაისმოდა, მაგრამ არ იქნა და რა-
ტომღაც ანგარიშს არ აცხადებდნენ.

ვღელავდი, ვნერვიულობდი. ამ ღროს შეხვედრა დამთავრდა. ფეხ-
ბურთულთა მარშის ფონზე ძლივს გავიგონე რეპორტიორის ბოლო სიტყ-
ვები: მაშ, ასე, — მატჩი დამთავრდა ქართველ სპორტსმენთა გამარჯვე-
ბით.

ჩემი სიხარული მორიც-ნენეს ესიამოვნა ყველაზე მეტად. შინიდან
ხმელი ხორცის ნაჭერი გამოიტანა, ყველიც მოუმატა სუფრას. მაჭრის
სმა უფრო გახურდა. ჯაბას აჭიკა გაახსენდა, მანქანაში ჩარჩენოდა, გაი-
კცა და მოარბენინა.

რამდენ რამეს ნახავ ერთ დღეში. ისე მიმქონდა გულთან ყოველი იქ-
აურობისა, სულ დამავიწყდა. რომ მშობლიურ სოფელში არ ვიყავი.

მერე სულიერ გამახსენდა, ბუდაპეშტში რომ დარჩა. როგორ გაალ-
მაზებდა მისი აქ ყოფნაც ყველაფერს?

ნახევარ საათში მეორე დღე იწყებოდა, ბევრი სხვა შეხვედრებით,
სხვა ამბებით. მაგრამ... ამაზე შემდეგ. ახლა კი მე მხოლოდ მინდოდა
შენთვის მეამბნა იმ ერთ დღეზე, რომელსაც აღრე განთიადისას, გეგელი-
ძეებში, ჩემი ეზოდან ავედევნე და შორეულ სიგლიგეთში, მორიც-ნენეს
ისლიან ქოხამდე მიესდიე.

გოთა ზოიძე

* * *

ჩამოჰკარით ჩანგს!

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი.

ჩამოჰკარით ჩანგს,
 ჩამოჰკარით ჩანგს,
 ჩამოჰკარით ჩანგს სიმართლეს გეტყვის,
 ჩანგის ურიალში მომავალი ჩანს
 და მომავალში იმედი ქვეყნის.

ჩამოჰკარით ჩანგს,
 ჩამოჰკარით ჩანგს,
 აოგორც ჩამოჰკრეს ზარებს სიონის,
 ჩანგის ურიალში მომავალი ჩანს,
 სიძალლე მოჩანს კავკასიონის.

ჩამოჰკარით ჩანგს,
 ჩამოჰკარით ჩანგს,
 ყელს ნუ იღერებთ ობოლ გედებად.
 ჩანგის ურიალში საქართველო ჩანს
 და საქართველოს შემოქმედება.

ჩამოჰკარით ჩანგს,
 ჩამოჰკარით ჩანგს,
 მჩაგვრელს რომ გულზე ეკლად ესობა.
 ჩანგების ხმაში რუსთაველი ჩანს,
 ჩანს მისი ერის მარადისობა.

ჩამოჰკარით ჩანგს,
 ჩამოჰკარით ჩანგს,

არ არის იოლი, ხანდახან გვიჭირს...
 ჩანგების ხმაში ერის ძალა ჩანს,
 ჩანს ჩვენი ხალხის ძალა და ნიჭი.

ჩანს ჩვენი ხალხის ნიჭი და ძალა,
 ჩანს, ჩვენი ერის უკვდავება ჩანს,
 ამიტომ მძლავრად,
 ამიტომ მძლავრად,
 ჩამოჰკარით ჩანგს,
 ჩამოჰკარით ჩანგს.

* * *

ზოგი რამ ძლიერ გვიან გავიგე,
 გვიან ვიხილე თურმე ზოგი რამ,
 მე მაშინ ორივ თვალი დამიღეს
 თუ კი ჩემს გამო რამე მოგივა.

მე მიხარია შენი ცისკარი
 და ყველაფერი კარგი საერთოდ...
 და რომ მოასწრო, უნდა იჩქარო,
 რაც მთავარია, უნდა გაბედო.

როცა სამშობლო არის ლამაზი,
 კმაყოფილია მისი მგოსანი,
 ვერ მინატრია კარგი ამაზე
 ახლობელი და პატიოსანი.

მაგრამ ზოგი რამ გვიან გავიგე,
 გვიან ვიგრძენი თურმე ზოგი რამ...
 და ვიმეორებ, თვალი დამიღეს
 თუ კი ჩემს გამო რამე მოგივა.

* * *

ამოვალ მთაში და გინახულებ,
ოლონდაც თბილი გული მაჩვენე,
ამოვალ მთაში და გინახულებ
და სამუდამოდ შენთან დაკრჩები.

მაღალ მწვერვალზე ავაგებ ოდას
და შემოვლობავ პატარა ყანას,
ოლონდაც შენი იმედი მქონდეს,
დიდი გული და ფინჯანი ყავა.

მუხის წნელებით შევლობავ ბოსტანს,
შიგ გავახარებ ქინძსა და ინას,
მე თანასწორი ვიქნები დროსთან
და მზესთან ახლოს მექნება ბინა,

მექნება ტკბილი ოცნების ჩერო
და ლექსებს დავწერ დლისით და ლამით,
შენ კმაყოფილი იქნები ჩემით,
მე ბეღნიერი გიქნები ამით.

* * *

ასეთი ვიყავ, ხასიათი არ შემიცვლია.
ომარ ხაიამი

მხოლოდ მე ვიცი და სხვამ არავინ,
ჩემი ჭიუტი გულის ამბავი,
მომეცით ერთი მწყემსის კარავი,
ლეიბად თივა სხვენზე დამბალი,
ცა დამახურეთ, როგორც საბანი
და მერე მკითხეთ ქვეყნის ამბავი.
მხოლოდ მე ვიცი და სხვამ არავინ,
სადამდე სწვდება მწყემსის კომბალი...
მომეცით ერთი მწყემსის კარავი,
არცა რამ სარჩო, არცა ხორბალი...
მომეცით მხოლოდ მწყემსის კომბალი...
და დაბრუნდება წალმა ბორბალი.

* * *

ახლა გსაუბრობ საკუთარ თავთან,
 თუ ნაკადული გასცდა ნაპირებს!
 გუმანით ვხატავ მომავალ ზამთარს,
 ზამთარში მთეპში ყოფნას ვაპირებ.

ჩავუსაფრდები მუხნარში დათვებს,
 ოოფის სროლაზე შეკრთება დილა
 და ცივი ზამთრის ხილული თათი
 დათვის ტყავს სექვზე დამიგებს თბილად.

გაზაფხულზე კი ჩამოვალ ბარში,
 ვეწვევი შენი ქუჩის შესახვევს
 და მოგიყვები ყველაფერს მაშინ
 დიდი ზამთრის და დათვის შესახებ.

* * *

ეს იყო რაღაც გასაოცარი,
 მოულოდნელი ამოძახება,
 კედელთან იდექ, როგორც მლოცველი
 და მთელი ტანით გაცახცახებდა.

იყო გაშვევაც და შეცოდებაც,
 ცხადი სიცხადე თუ განაჩენი,
 რომელიც შაშინ მომავრდება,
 როცა საკუთარ თავთან დავრჩები.

ჯერჯერობით კი გაზრდი იმედებს
 ჩვეულებრივი მზით და იერით.
 თურმე რა ბევრი გამოიმეტე,
 რა ცოტა გერგო სამაგიერო.

ბ პ პ ა თ ი

ახლა სოფელში ყოფნა კარგია,
 ჩაგიძერებიან სულში რტოვბი,
 ახლა სოფელში ყოფნა კარგია
 და დიდ ყანაში განმარტოება.
 ახლა ძნელია ყოფნა უთქვენოდ,
 იქნებ პერანგამ გახსნას წარბები.
 დაიწერება ლექსი უთქმელი
 და გულის გულში დაისტამბება.
 ახალდაბაში ყოფნა კარგია,
 მონატრებული შინაურებით,
 ეზოს ჭიშკარი მუდამ კარლია
 და აფოფრალი ინდაურები.
 დედა სათნო და დედა კეთილი,
 მამა -- ღინჯი და გულჩათხრობილი,
 ჭის თავი მაგრად გადაკეტილი,
 ბოსტანი კარგად შემოლობილი.
 ბოსტანთან ფატმა დედაენათი
 (მე მას ფერადი წიგნი მივეცი),
 ჩემი ზარზმა და ჩემი გელათი
 და მონატრება ყოველივესი.
 და მონატრება მწვანე ტყეების
 რარიგ ტკბილია,
 რარიგ ტკბილია?
 მოვდივარ თქვენთან, ყოფნის დღეები
 სულ თითო-თითოდ გამოთვლილია.
 ვიცი ახლა მანდ თბილი ქარია
 და ბორცვებია წითელ-ყვითელი...
 მოვდივარ, თქვენსკენ მომიჩქარია
 და თქვენზე ფიქრით ღამეს ვათენებ.

ვლადიმერ ბაჯერიძე

გენო წოლი ც

ასე ჰქვია სსრ კაფშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, ქობულეთის რაიონის ხუცუბნის ლენინის ორდენობანი კოლმეურნეობის თავმჯდომარის ვ. ბაჯერიძის ჩანაწერებს, რომლის ერთი ნაწილი „ფესვები“ ჩვენი უურალის მკითხველებს გავაცანით გასული წლის მეოთხე წომერში.

გთავაზობთ კიდევ რამდენიმე თავს ამ ჩანაწერებიდან.

ე ლ ე ს პ

ჩვენი სოფლის ბერიყაცებისათვის ძნელი მოსაგონებელია წარსული და, მართალი რომ მოგახსენოთ, მაინცდამაინც დიდი ხალისით არ იხედებიან მისკენ.

„კაი შეძლებული ცხოვრება გვაქვს ბაბა, — ამბობენ ისინი, — და გვაყენეთ ამ ლამაზ ქვეყანაში, მზეს ვუყურებთ, ბალვების სიცილს ვაყურებთ. ფართო აივნებიდან კინტრიშის შხეული გვესმის... წარსული კი, აბა, რა გასახსენებელია, წვირე გვახსოვს, სიღარიბე. სწავლას ვნატრობდით და ტყე-ღრეში ყუნცულით გვძვრებოდა სული. ხანდახან, სამწყესურში წასულებს დილაბნელიდან ბარე შუაღამემდე ერთი კვერცხითა და მჭადის ნატეხით გაგვიტანია თავი. პოლა, იმ წყეული დროისაკენ გინდა გავიხედო? არა, ბაბა. მოღი, ახალ ცხოვრებაზე ვილაპარაკოთ, გამძლარ ქვეყანაზე ვილაპარაკოთ.“

რას იზამ, თავის მხრივ მართალნი არიან.

მაგრამ ვიღაცამ ხომ უნდა აუხსნას ჩვენს მომავალ თაობას,

რა ბრძოლით, რა ოფლითა და სისხლით აშენდა ეს ლამაზი ცხოვრებულების რა თქმა უნდა.

პოლა, ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, მე სოფლის უხუცესი გლეხი დურსუნ ბიძია მაგონდება. მაგონდება იმიტომ, რომ ჩვენ, აღამიანებს, სულ გვგონია, — სამუდამოდ მოვედით ამ მიწაზე, და ხანდახან ხელიდან ისეთ ძვირფას რამეს გავუშვებთ, რაც ძალზე გულდასაწყვეტი და სახანებელია მერე.

ასე მომივიდა მეც.

სხვისი არ ვიცი, მე კი სულ ვფიქრობდი, აი, დღეს ან ხვალ ავალ ბიძია დურსუნთან, წავიღებ მაგნიტოფონს და მოვაყოლინებ ძველი ცხოვრების ამბებს... ეს ცხოვრების ამბები კი მან შესანიშნავად იცოდა. იცოდა სოფელი, მისი ავ-კარგი, მისი სიხარული... ზოგჯერ საუკუნის იქათ გადაგახედებდა, წარსულის შავბნელი ბილიკებით წაგიყვანდა, ქვეყანას მოგატარებდა, ათას რამეს აგისხნიდა, გასწავლიდა და ისევ ხუცუბანში ამოგაყოფინებდა თავს. განუმეორებელი, მხოლოდ მისოვის დამახასიათებელი მოყოლა იცოდა და, თქვენც, ალბათ, მიხვდით, რომ მისი დაღუპვის შემდეგ სოფლის მეხსიერების ერთი საინტერესო კიდობანი სამუდამოდ ხელუხლებელი დარჩა.

მე კი, რომელიც მუდამ აღტაცებული და მოჯადოებული ვიყავი დურსუნ ბიძიას ენამზეობით, ახლა გაცბუნებული ვაძალებ თავს — იქნებ რამე გამახსენდეს მეთქი. მაგრამ ვატყობ, ამაოდ ვეწადინები.

აი, ამიტომ მოგახსენეთ ზემოთ, აღამიანები ზოგჯერ საკუთარ თავს ძალად ვალარიბებთ მეთქი.

ერთი წელიც არაა, რაც წავიდა სოფლის ცოცხალი მემატიანე. მზე უყვარდა. თავისი ლამაზი, ზღვისკენ გახედული სახლის სარკმლიდან შეჰქაროდა ქვეყანას. სტუმარი უყვარდა და სტუმრის უპირატესობით ვერ ვისარგებლე...

დრო!

რა სწრაფად გარბის დრო!

მე კი გუშინდელივით მახსოვს — როგორ იდგამდა ფეხს სოფელი, როგორ გამოლიოდნენ პლანტაციებში პირველი საკოლმეურნეო არტელის წევრები. ხოლო ახმედ მუავანაძე, სოფლის უხუცესი მკვიდრი, კიდევ უფრო შორს მახედებს. იგი ამბობს:

— პირველად მანდარინის ცხრა ნერგი ვიშოვნე. ბაღჩაში დავრვე-მაშინ, აბა, ვინ იცოდა, რა მომავალი ექნებოდა ამ კულტურას. გაიზარდნენ ნერგები, ფოთოლი დაიბეს, გაიტოტნენ და ნენემ ერთი ამბავი ატეხა. აი, ფხალი რაფერ იქნება, თუ ამ შენმა ხეებმა გასაქანი არ მისცაო, და მოთხრა მიბრძანა. რა უნდა მექნა. ავიღე და სასიმინდესთან,

მოტიტვლებულ ფერდზე გადავრგე. სამოცი-სამოცდაორი წელი მარნე
გავიდა მას მერე. და ა, ბატონო... ამას წინათ ჩემმა ბიჭმა ეზოში დარჩე-
ნილი ერთადერთი მსხლის მოჭრაც დააპირა. მარა არ დავანებე. ამდენ
ფორთოხალსა და მანდარინში ერთი მსხალი მაინც დატოვე მეოქი სა-
ხალისოდ.

ასე შეიცვალა დროება.

ახლა ახმედი საუკუნის ტოლი კაცია.

უზარმაზარ, თეთრ სახლში ცხოვრობს. დიღი ხნის წინათ მოსულან
მისი წინაპრები ამ მიწაზე. წყაროიანი ადგილები შეურჩევიათ სამოსახ-
ლოდ. გაუჭრიათ ბალავერი, დაუდგამთ ფიცრული სახლი და აუკვაძლები-
ათ კერია. ახლა ფიცრულის ადგილის ორსართულიანი, მკვრივად ნაგები
შენობა მოჩანს. ახმედ მუავანაძეს თავისი საძინებელი ოთახი ვაჟის; მა-
მიას სამუშაო ოთახის გვერდით შეურჩევია. დაბერდა. მიწასთან ჭიდი-
ლში გალია თავისი სიცოცხლის საუკეთესო წლები და ახლა, შესაძლაა,
სიზმარშიც ჰგონია თავი. დადის უზარმაზარ სახლში, რძალი, ვაჟი და შეი-
ლიშვილები არაფერზე არ აკარებინებენ ხელს. ჰოდა, მოსწყინდა ბერი-
კაცს უსაქმურობა. ლამაზი, უზრუნველი ცხოვრება მართლაც კარგი ყო-
ფილა, მაგრამ უფრო კარგი ბუნებასთან სიახლოვე, ჩემს ნაკვდავ და ნაწ-
ვავ მიწასთან სიახლოვე ყოფილათ. ხან სეკატორით დაუყვება ეზოს, ხან
სასხლავი ჯაყით, ათვალიერებს ახალჩაყრილ ნერგებს. ხუცუბნელებს
თუ შესაძლებელია, მაღალზე, მთის კორტოხზე უკვართ სახლების აშენე-
ბა. ჰოდა, ახმედის სახლიც მაღლობზე, ვაკეზურგიან გორაზე დგას. მზე
პირველად მისი ოთახის ფანჯრებში შეიხედავს, გააღიძებს ბერიკაცს. წა-
შოლდგება, ფლოსტების ფლატუნით გაივლის გრძელ დერეფანს. სიჩუმით
დაყურსული სახლი გააოცებს. ასეა მუდამ, ვიდრე ბალლები სკოლაში
დადიან, ვიდრე რძალ-ვაჟი მსახურობენ. „ჩემს ვაჟს აი, იმ მთის წვერი-
დან (სკურდასკენ გაიშვერს ხელს) ჩვენი სოფლისათვის მოჰყავს წყალი.“
— იცის თქმა. და ეტყობა, რომ ამაყობს. მაგრამ რაზე ფიქრობს იგი ამ
წუთს, როცა ფლოსტების ფლატუნით დააბიჯებს ამოდენა სახლში? რას
ივონებს? თავის შორეულ ახალგაზრდობას? ანდა ახსოვს კი რამე კარგი?

მისი ახალგაზრდობა მამაჩემის ახალგაზრდობას გავს, ყველა გლეხის
ახალგაზრდობას გავს.

ახლა მას არც ტელევიზორი უკვირს, არც გაზურა და არც ტელე-
ფონი. „იცით რას გეტყვით, ჩემო ბიძიებო? — იცის თქმა, — ამ კვეუ-
ნიდან აღარსად ვაპირებ წასვლას. მედრესეში სწავლისას მოლა ხშირად
გვიამბობდა სამოთხეზე. დავიჭერო სამოთხე ამაზე უკეთესი იქნება? არა
მგონია“. და ეშმაკურად იცინის. მერე პაწია თლამოში სანთლის არაყს ის-
ხამს და სულმოუთქმელად სვამს.

და არის ხუცუბნის თემში, კერძოდ, ზედა სამებაში, კიდევ ერთხუცავია
ცი, რომელიც მანდარინის დარგვას ისევე ყვება, როგორც მოხუცი ახმე-
დი. ეს გახლავთ ოთხმოცდასამი წლის ომერ კაიკაციშვილი, მხნე და კარ-
გად შემონახული კაცი, რომელსაც თავდავიშვებით უყვარს სოფელი, თა-
ვისი ციტრუსი და ვიორგილაურად წოდებული კუთხე. სწორედ ამ მიწა-
ზე დარგო მან ექვსი ათეული წლის წინათ ციტრუსი და მასაც ახმედის
მსგავსად „უვარგისი მცენარის“ შორს გადაყრა უბრძანეს მშობლებმა.
ენა აღვილად იტყვის — ექვსი ათეულით, — თორემ რამდენი რამ მოხდა
სოფელში ამ ხნის მანძილზე?!

ომერს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლები ახსოვს.
ახსოვს, როგორ მკვიდრდებოდა ქართულ მიწაზე თქომბრის შუქი.

მისი სახლიდან ზღვა მოჩანს. თუმცა, მისი ეზოს რომელ კუთხეში არ
უნდა დადგეთ, თუ ნისლი არაა, მუდამ ჩანს ლურჯად მოლივლივე სივრ-
ცე. მისი სამოსახლოს გვერდით ლელეა. ამ ლელეს „ურიას ლელეს“ ეძახი-
ან. რატომ ეძახიან ასე? ათასნაირად ყვებიან. მაგრამ, როგორც არ უნდა
მოჰყვნენ, ამ ლელეს მაინც „ვინმე ურიას“ უკავშირებენ, რომელიც დი-
დი ხნის წინათ სახლებულა სოფელში.

ომერის ეზო-ქარში მანდარინისა და ლიმონის ყველაზე უხნესი ხეები
შემონახულა. სწორედ ეს ხეები დაურგია მას სამოცი-სამოცდაორი წლის
წინათ. მართალია, მშობლები პირველად გაძალიანებულან, მაგრამ მერე
ოჯახის უფროსი თვითონ ყოფილა ციხისძირში. იქ გენერლების ეზოები
უნახავს, მანდარინის ნაყოფიც გაუსინჯავს და მოსწონებია.

უცნაური ხალხია. ჯერ სატევარი გაიქნიეს — ციტრუსს ოჯახში რაგა
შემოვიტანთო, მერე კი, როცა ამ იშვიათი, უცხო ჯიშის სიკეთე იხილეს,
გენერლების სამოსახლოებიდან და „საუფლისწულო ბალებიდან“ ნერგე-
ბის გატანა დაწყეს ჩუმჩუმად. ამ ამბავმა, ცხადია, უკმაყოფილება გა-
მოიწვია. მაგრამ მადლიანი კაციც გამოჩნდა. თურმე. ამ მადლიან კაცს
უთქვამს, მოსახლეობის დასჯას აზრი არა აქვს, რადგან ნერგი თუ მიაქვთ,
ისევ და ისევ ამ კუთხის, ამ მიწის დამამშვენებლად მიაქვთ. ჰოდა, კარ-
გი იქნება თუ ამ იშვიათ მცენარეს მათთვისაც ხელმისაწვდომს გავხდითო.

სწორედ ამის შემდეგ ჩამოუტანიათ ხუცუბანში ნერგები. თითო ნე-
რგი ათი-ოცი კაპიკი ღირებულა. ეს ნერგები უყიდიათ ახმედ აღა ნაკაი-
ძეს, კაიკაციშვილებს, ბაუქაძეებს.... მაგრამ შემთხვევითი არ იყო, რომ
ამათზე აღრე მე ომერ კაიკაციშვილი დავისახელე. მას ჩვენს კუთხე-არ-
ეში იცნობენ, როგორც საუკეთესო მეციტრუსეს, მის მეურნალსა და გა-
მავრცელებელს.

თავის ღროზე ომერს ყველაზე საუკეთესო სახლი ედგა სოფელში,
სახლი დაუძველდა. მაგრამ მისი ბალი საუცხოოა, როგორც იტყვიან. ავ

თვეალს არ ენახვება. მთელს ჩვენს მხარეში მხოლოდ ამ ბაღში ხარობოდა ლიმონი. სწორედ ამ ლიმონების წყალობით გახლდათ, რომ ოცდათანი წლების დასაწყისში, როცა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა ეს-ეს იყო იდგამდა ფეხს, ომერ კაიკაციშვილის პიროვნებით გამოცდილი შეციტრუსებიც დაინტერესდნენ, თვით სოფლის მეურნეობის სახალხო კომისრის განკარგულებით წაიყვანეს თბილისში, სანერგე ჩააბარეს და იქ, სადაც გამოცდილი, წლებით დამძიმებული პროფესორები უძლურები აღმოჩნდნენ, უბრალო გლეხის გამოცდილებამ არნახული შედევი გამოიღო.

ამ ბაღის ბატონ-პატრონად გნიშნავთო, უთხრეს. ბინას მოგცემთ და ცყავი ამ დალოცვილ ქალაქშიო. შეკოჭმანებულა მაშინ ამერი. უსწავლელ კაცს თქვენთან რას მომიწვდებათ ხელი. მაგრამ ცდუნება მაინც დიდი იყო. სოფელში, მიწასთან შეზრდილ კაცს უცებ თავბრუ დაახვია სუფთა, სწორმა ქუჩებმა, კინომ, თეატრმა, მაღალმა სახლებმა. ის იყო თანხმობა უნდა ეთქვა კომისრისათვის და სამუდამოდ აყრილიყო სოფლიდან, რომ უცებ რაღაცად დაქაჩა, შეაქანჯალა, მოაფხიზლა. რა იყო ეს? მიწის, წინაპრების ძახილი? რა გაახსენდა იმ წუთს? — გიორგილაურის ფერდობებზე შეფენილი ბალი თუ შემთხვევით ნანახი სამოცუფუთიანი ქვეკრები? ცნებ ოდის წინ აღმართული ასწლოვანი ბალის შრიალი შემოესმა? ვინ იცის. ეს კია, მერე — რამდენიც არ ეცადნენ თბილისელი სპეციალისტები, ვერ იქნა და ვერ გადაიბირეს.

რას იზამ.

ამერი შორს იხედებოდა. ვაჟები ჰყავდა. ვაჟებს ფეხზე დაყენება უნდოდა.

მაგრამ ნათქვამია — კაცი ბჭობდა, ღმერთს ეცინებოდაო.

ღმერთი კი ნამდვილად განუდგა მოხუც ამერს. ომი დაიწყო. ჭერერთი ვაჟი დაეღუპა ფრონტზე. მეორის იმედით დარჩა. სამოსახლო მოუმზადა, კერას არ გავაციებო. ამასობაში ამ ვაჟის დაღუპვის ამბავიც მოუვიდა. მას აქეთია უხალისოდ შეჰყურებს ქვეყანას. ეს ბალი დარჩა სახალისოდ და თავშესაქცევად. ხანდახან სოფელში ბალიშები (ქალიშვილის შვილები) ამოვლენ და სიცილ-კისკისით აივსება იქურობა. მაგრამ ეს დღესასწაული ძალზე ხანმოკლეა. და მათი წასვლის შემდეგ კიდევ უფრო იზრდება მოხუცის სევდა.

მე მოხუც ამერ კაიკაციშვილზე ვფიქრობ.

მის ნაავიან ეზოზე ვფიქრობ.

რამდენი მისთანა პატიოსანი ადამიანი დაღის ქვეყანაზე.

რამდენი ალარა ცოცხალი.

და უნებურად მაგონდება კინტრიშის ხიდის მშენებლობა.

მთელი ტყე გაიჩეხა ამ ხიდისთვის. უზარმაზარი, მძიმე ხეები მიუდგომელი ადგილიდან ჩამოჰქონდათ ჩემს თანასოფლელებს. უჭირდათ, ხე-



ლები გაღატყავებული ჰქონდათ, გასისხლული. მაგრამ მათ ეხმარებოდა საუკუნეთა მიღმიდან მოტანილი ამოძახილი — „ელესა“.

ვინ იყვნენ ეს ადამიანები? ხასან პაპუნაიშვილი, ისმაილ კაიკაციშვილი, იუსუფ დუმბაძე, ალი აღა ნინიძე...

დღემდე დარჩა სოფელში მემედ უსტას სახელი. იმ ხიდის მშენებლობაც ხომ მის სახელს უკავშირდება!

გვყავს ხუცუბნელებს კიდევ ერთი გულლიმილა კაცი — რეჯებ მეგრელიძე.

საოცარი მეხსიერების პატრონია რეჯები. მანაც ძნელი, ავბედობით გაჯერებული ცხოვრების გზა გამოიარა. მაინც არ მოტეხილა, მაინც არ დაუკარგავს გულლიმილა კაცის შნო და იერი. ჰეი გიდი ბაბა, იცის თქმა რეჯებმა, გუშინდელივით მახსოვს, ერთი ლუქმა-პურის საშოვნელად მოელი სოფელი ავიყრებოდით. ფოთში, სოხუმში და ზოგჯერ ცოტა იქითაც ამოვყოფდით თავს.

რა მძიმე ტვირთი არ უთრევია მის მხრებს!

ასე წანწალითა და გაჭირვებით ნაშოვნი ფულით ძლივსძლივობით გაპქონდა ოჯახს თავი. რეჯებთან ხშირად იყრიბებიან ხოლმე თანასოფლელები. მოდინან ახალგაზრდებიც. საოცარი რამ ხდება — დღევანდვლა ახალგაზრდას არ სჯერა ჭილარა რეჯების. ცხადია, ამას ხმამაღლა არ ამჟღვნებენ, მაგრამ რა დიდი დაკვირვება უნდა — მათ ეშმაკურად მოციმუმე თვალებში უნდა ჩიხედო — არ სჯერათ და ძალაა?!

ასეა... გაძლა სოფელი. მზეს გაეგება. დღეს ჩვენს სოფელში ასი ახალი „ვოლგა“ რომ ჩამოაყენო გასაყიდად, ნახევარ საათში არცერთი აღარ იქნება. ამაზე მეტი რა უნდა გითხრათ?

ხოლო იმ ძნელბედობიდან დღევანდლამდე მოსული კაცი ამას ბეღნიერი, გახარებული თვალებით უყურებს.

რამ შექმნა ეს ყველაფერი?

კიდევ ვიმეორებ, მოდით ხუცუბანში, საკოლმეურნეო შრომის ვეტერანები ნახეთ, მათ ჰკითხეთ.

ჰკითხეთ ხუსეინ უიუაძეს, ერთ-ერთ პირველ თავმჯდომარეს, რომლის მხრებზე არა მარტო ახალფეხადგმული არტელის სიმძიმემ, არამედ ომის შემზარავმა წლებმაც გადიარა.

გონების თვალით მოვიხედოთ უკან.

1937 წლის თებერვალი იდგა, როცა სოფელი საკოლმეურნეო არტელის თავმჯდომარის ასარჩევად შეიკრიბა. შეკრებილთა შორის ბევრი იყო ისეთი, რომელმაც დაბალი განათლების მქონე ახალგაზრდა კაცზე — ხუსეინ უიუაძეზე უკეთ იცოდა სოფელი, მისი მეურნეობა, მისი ხალხი. მაგრამ ხუცუბნელებმა მაინც დამაინც ხუსეინს დაადეს ხელი.

რატომ?

იმიტომ, რომ იმ წლებში სხვანაირი გასაღები სჭირდებოდა მრმავენი
ლისაკენ იმედის თვალში გახელული ადამიანის გულს.

ხარ თუ არა კომუნის მომხრე?

თუ ხარ, როგორ, ორჭოფულად თუ მთელი გულითა და სულით? ამასთან ერთად უნდა ყოფილყავი პატიოსანი, სამაგალითო, როგორც პირად ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში, დაუნდობლად გებრძოლა საკოლმეურნეო წყობილების მტრებთან. და საერთოდ — იყავი თუ არა საბჭოთა ხელისუფლების ერთგული, ერთი სიტყვით — ლენინის კაცი.

აი, რა არშინით ზომავდა სოფელი თავკაცს. აი, რა მორალური და ზნეობრივი თვისებები უნდა ჰქონდა პირველ თავმჯდომარეს. ხოლო რამდენად საქმიანი იყო იგი. ამას უკვე მერე სინჯავდნენ.

ხუსეინი ერთი უბრალო, თავმდაბალი კაცი გახლდათ. მკაცრი ხასიათთით დაეჭილდოვებინა იგი ბუნებას. პირდაპირი, უკმერი სიტყვით მრავალი ადამიანი ჰყავდა განაწყენებული. ამას ისიც დაუმატეთ, რომ პირველ ხანებში აგრონომიის ცოდნითაც დიდად ვერ მოიწონებდა თავს. მაგრამ ხუცუბნელები წლების მანძილზე მაინცდამაინც მას ანდობლნენ საკოლმეურნეო ორტელის სათავკაცო სკამს.

ხოლო მისი მეუღლე?

საქვეყნოდ ცნობილი ვეტერანი მეჩაიე ასმათი?

ძხელია ახლა იმის მოგონება, თუ როგორ ჩაება ასმათი პირველად ერთობლივ შრომაში. ეს იყო ოცდაათიანი წლების დასაწყისში. მაშინ დღეში ფუთი ჩაის მკრეფავი საუკეთესოდ ითვლებოდა. ძნელი იყო მისი დაწევა. მაგრამ ცხოვრებამ სხვა გვიჩვენა. შეიცვალა დრო. შეიცვალა ადამიანებიც. გაიზარდა ჩაის საჟექტარო მოსავლიანობა და უფრო მეტად გაიზარდა მეჩაიეთა დღიური კრეფის რეკორდები.

ეს კია, თუ ასმათს ადრეული წლების გახსენება უჭირს, სამაგიეროდ გუშინდელივით ახსოვს 1948 წელი. ამ წელს მას ჩაის ფოთლის მაღლი მოსავლის მიღებისათვის სოციალისტური შრომის გმირობა მიენიჭა. მას შემდეგ მან ორჯერ მიიღო ლენინის ორდენი.

რა აღრიცხავს მის მიერ მოკრეფილ ჩაის ფოთოლს?

დაახლოებით რამდენი იქნება? ძხელია ამის ხელაღებით თქმა. ამას ჩვენი ეკონომისტები დაინგარიშებენ უკეთ. მე კი რახან ასმათ უიუვაძეზე ჩაშოვაგდე სიტყვა, ერთი მეტად მნიშვნელოვან გარემოებაზეც მინდა კავამახვილო თქვენი უურადღება. წინათ ჩვენში ქალის საზოგადოებრივი შრომა თითქმის გამორიცხული იყო.

როცა ამას გიყვებით, უნებურად მელიმება.

რომელ საზოგადოებრივ საქმეში ჩააბამდი ქალს, როცა მეც კარგად მახსოვს, შინიდან ქალის უჩაღროდ გამოსვლა უსიამოვნებასთან იყო დაკავშირებული! დღეს კი... დღეს ძნელია იმ ღვაწლზე, იმ შრომის მაღ-

ლზე ლაპარაკი, ტაც ხუცუბნელ ქალთა სახელებთანაა დაკავშირებული
მარტო ერთ მაგალითს მოვიტან: ხუცუბნის კოლმეურნეობის შემოსავლის
ბარე თოხმოცდახუთი პროცენტი ჩაის პლანტაციებიდან მოდის. ჩაის
პლანტაციების ბატონ-პატრონნი კი ჩვენი ქალები არიან.

ადრე მოგახსენეთ, რომ სოფელმა თვრამეტი სოციალისტური შრომის
გმირი გამოზარდა.

არ იკითხავთ, ვინ არიან ეს გმირები?

ქალები.

ასმათ უიუავაძის მკერდზე აბრშყინებულმა ოქროს ვარსკვლავმა სხვე-
ბსაც გაუნათა გული. ხანდახან წარმოვიდგენ — სხედან ერთად ჩვენი¹
სოციალისტური შრომის გმირები მერიკო შაქარიშვილი, თუნთულ მოწ-
ყობილი, გულიკო ართმელაძე, ფადიმე ქათამაძე, აიშე მაჭუტაძე... ერთი
სიტყვით, სხედან ჩვენი სოფლის გმირები, მკერდს ვარსკვლავები უმშვე-
ნებთ და ამდენი აბელიალებული ვარსკვლავისათვის თვალი ვერ გაგისწო-
რებია.

აი, ამიტომ არის, რომ ამ თაობას არ სჯერა შორეული წლებიდან
მოსული რევების ნათქვამი.

იმიტომ არ სჯერა, რომ რევებისთანა ადამიანებმა ყველაფერი გაა-
კეთეს იმისთვის, რათა მათ შემდგომ თაობას არ ეგრძნო გაჭირვების სუ-
სხი და ლუქმა-პურის საძებრად არ გადაქარგულიყო სოფლიდან.

სხვისთვის არ ვიცი, მაგრამ ხუცუბნელისათვის მართლაც დიდ რაშეს
ნიშნავს „ელესა“. „ელესა“ ულექსო სიმღერაა: ელესა და ასწი ბიჭო!
ელესა და დასწი ბიჭო! ელესა და მოსწი ბიჭო! — მღეროდა ხუცუბნელი
კაცი. მღეროდა სახიფათო, მძიმე შრომის დროს. მხოლოდ ერთი მცდარი
ნაბიჯი, მხოლოდ ერთი გაუფრთხილებელი მოძრაობა იყო საჭირო ერთ-
სულოვნების დასარღვევად. და მაშინ... მაგრამ ვინ იყო ასეთი ორგული
და ფლიდი?!?

ელესა და ვიო, ვიო, ოო! — მიაყოლებდნენ ბანები, ხოლო სამშვი-
ლობოზე გასულები უფრო ცეცხლოვანი ტემპით დააგუგუნებდნენ: ელესა
და ელესია, ხალხი ჯაფას შეესია...

მე თითქოს ახლაც მესმის ეს გუგუნი.

და მგონია, ცხოვრების გადამწყვეტ უამს, ცხოვრების კრიტიკულ
მომენტში ყველა ხუცუბნელის გულში გუგუნებს ეს უკვდავი, ცეცხლოვა-
ნი, ძალის მომცემი ჰანგი. მისი შესრულებისას ყველაზე უმთავრესი მა-
ინც რიტმია, ძარღვია, რომელიც აგამოძრავებს და ყოველგვარ სიძნელეს
გადაგალახვინებს...

ჰოდა, მე ახლა ვერაფერი დამაჯერებს, რომ ამ სიმღერამ არ შეგვი-
ნარჩუნა ეს ლამაზი კუთხე-კუნძული, სიღარბაისლე, ქართველობა. ჩამო-



დით ჩვენთან, ნახეთ ჩვენი სოფლის ძველი კაცები, საკოლმეურნეო შრომის ვეტერანები... ისინი გიამბობენ, რა ხდებოდა სოფელში საბჭოთა ხელისუფლების გარიერაჟზე, რა სიძნელეებს აწყდებოდნენ ერთობლივი, ლამაზი ცხოვრების შემქმნელი აღამიანები და მიხვდებით რას ნიშნავდა მათთვის „ელესა“.

ვ 3 ვ თ ი

შესაძლოა, ახლა არც არის ეს ამბავი გასახსენებელი, მაგრამ ერთი კია — ყოველთვის. როცა ამ ტანდაბალ, ბუხრის ქუდიან ბერიკაცს დავინახავ, უნებურად მეღიმება. ჩემს მეზობელ სოფელში ცხოვრობს. სხვა კოლმეურნეობის წევრია და ერთ მშვენიერ დღეს, როცა ის-ის იყო პლანტაციებიდან დავბრუნდი, მორიდებით შემოიხედა კაბინეტში — თუ გცალიაო.

მობრძანდი ბაბული მეთქი. — გავეგებე.

— გახლავართ, ჩემო ეფენდი! — მოიხადა ქუდი და შეთავაზებულ სკამზე დაჭდა. მაშინვე მივხვდი — გრძელს ამბავს მოეყვანა ჩემთან.

— რამ შეგაშუხათ მეთქი, — ვკითხე.

— არაფერმა, — თქვა ლიმილით, და მაშინვე დაუმატა, — ჩემმა ბერობაძ.

პირდაპირ შემხედა — თეთრი წვერი, თხელი თმა და ჩავარდნილი თვალები ჰქონდა. რაც თავი მახსოვს, სულ გულლიმილა კაცი იყო, ტკბილ-მოუბარი და მოსაქმე. კარგ კოლმეურნედ ითვლებოდა. აქ კი უცებ საჩივრით მომადგა.

— აგრ დურსუნ ბეჟანიძეს დავემგზავრე, — დაიწყო მოხუცმა. — ჯერ იმას გადავუშალე გული. მთელი ცხოვრება მიმუშავია და პაწა ყურადღება მომავლეს. ჰოდა, იმ დურსუნმა მითხრა — მიღი, აგრ ვლადი-მერთან, მთავრობისაგან დაჭილდოვებული კაცია, მოგხედავსო.

რა უნდა უთხრა? მითუმეტეს, როცა ასე გშაქრავს და ბიძაშვილსაც გიწოდებს?

— პო, — მეუბნება თვალების უუკეუკით, — შენ რომ პაწა ვარგებული ბიძაშვილი იყო, შენს ახლობელს მის ნაკვდავს და ნაღვაწს არ დაუკარგავდი. გააგებინებდი ამ ჩემს უფროსებს, რა გამიკეთებია, ნამუშევარს ფასს დასდებდი. მართალია, შვილი უმაღლესი განათლებით მყავს, მაგრამ, მისი დახმარება არ მინდა. შენთან მაქვს საქმე.

უკვე გხვდები მის საწუხარს.

— შემოსავალი თუ გაქვს რამე?

— ციტრუსი ჩემთან არ ხარობს. ნამეტარი მაღალზე ვცხოვრობ და ორმოცდაცხრა წელს რომ დიდმა ყინვამ გაახმო, მერე აღარ გამოუხედია



თვალში. აქა-იქ თუ მეისხამს ხოლმე. პოდა, ახლა ერთი თხოვნილ მოვეა
დი — მითხარი, რაფერი კაცი ვარ მე?

— კაი.

— მერე? რატომ არ მცემთ პატივს?

— ვინ არ გცემს პატივს ბაბული? — მომწონს ბერიკაცის ახირება.

— ვინ და ეკონომისტი, ბუღალტერი...

ბერიკაცის სკენდერი ჰქვია, გოხიძეა გვარად. ზის თავისთვის სკამზე
მკვიდრად, სულაც არ ეჩქარება. წინდაწინ ვიცი — ვერაფერს უუშველი.
პენსია, რომელსაც იგი კანონიერად იღებს კოლმეურნეობიდან, არც თუ
ისე პატარაა, მაგრამ აქ ვიღაციმ ასწავლა — ძველი ნამუშევარი კაცი ხარ,
კომისია მოითხოვე და პენსიას უსათუოდ გაგიზრდიანო. მას აქეთაა და-
დის ერთი ინსტანციიდან მეორე ინსტანციაში და ყველას ეკითხება: „რა-
ფერი კაცი ვარ მე?“ პასუხი, ცხადია, ერთია: „კაი“. ის კი იმეორებს —
მთელი სიცოცხლე შევწირე კოლმეურნეობას, რატომ არ მცემთ პატივს?

— ვინ არ გცემს პატივს, ბაბული?

— პოდა, თუ მცემთ პატივს, კომისია გამომიძახეთ ოჯახში, ოთხი კა-
ცი და ერთი ქალი.

— ეჭ, ბაბული, ძროხა გყავს?

— მყავს.

— ხომ იწველება?

— იწველება.

— ამ უთენია, ამ სიშორეზე წამოსვლას არ გერჩივნა კაიძალი გეჭამა?
ცოტა დაბნეული მიყურებს. მერე ერთბაშად უნათდება სახე.

— ღლეს ბევრი ვიბრძოლე, ბევრი ვიღავე.

— სად, ბაბული?

— რაიკომში.

— მდივანთან?

— მდივანთან. მასაც ვუთხარი, კომისია გამომიგზავნე მეთქი.

— ოთხი კაცი და ერთი ქალი?

— ასეა. მარა, გაძალიანდა. მეც გავუძალიანდი. კანონი კანონიაო
მითხარა. პენსია სამი წლის ნამუშევრით გეძლევაო.

— მდივანმა უკეთ იცის...

— მარა, მე რომ დიდი ნაშრომი მაქ, რაფერაა აი.

— მე თავმჯდომარე ვარ, და დედაქემიც შენსავით სამი წლის ნამუ-
შევრიდან ღებულობს პენსიას.

— ასე? — მიყურებს.

— ეგრეა, ბაბული. — ვუყურებ მეც. — ძალით კი არაფერი იქნება.

— ძალით რათ მინდა რამე, მე კანონით ვითხოვ. — მოლბა თანდათან
და სახეც შეიცვალა.

- ცხოვრებით ხომ არ გიჭირს რამე?
- არა.
- გზა რომ არ ადიოდა თქვენს სოფელში, ხომ გახსოვს?
- მახსოვს.
- ხიდიც რომ არ იყო?
- ისიც მახსოვს.
- სინათლის მაგივრად დელფინს რომ ანთებდით...
- ეშმაკურად წყურავს თვალებს.
მე ვაგრძელებ.
- ახლა ცუდი, ტალახიანი გზა რომ იყოს, და ეს რბილი ავტობუსიც
არ გაგულებოდეს, ხომ შეგეზარებოდა იმ სიშორიდან ჩამოსვლა?
გუნებაში რაღაცას სწონის.
- არ ვიციო...
- შენ კი, ბაბული, საჩივლელად კრემლში უნდა მივღდეო. ჩვენს
სოფელში ოთხიათას ხუთასი კაცი ცხოვრობს. პოდა, ყველამ თუ კრემლ-
ში იარა; მაშინ რა გამოვიდა?
- ამდენხანს მუხლებზე დადებული ქუდი შეატრიალ-შემოატრიალ.
- გიჯერივარ, მარა... — მანც არ მოტყედა ბოლომდე, — მე ვხედავ...
მე პაწა ფინთი ლაპარაკი ვიცი. ალბათ, ცოტა გავცხარდი, ა?
- ისევ შენს ხალხთან, შენს კოლმეურნეობაში უნდა გაარკვიო ყვე-
ლაფერი. აბა, შენს თავმჯდომარეს რაფერ ვასწავლო — ამადა ამ კაცს პე-
ნია მოუმატე მეთქი? სოფელმა უკეთ არ იცის? თუ საჭიროდ ჩათვლის,
შეუძლია პერსონალური პენსია დაგინიშნოს.
- აპა, მაშასადამე, შეუძლიათ! — სიტყვას კუდში ჩავლო ხელი.
- აკი, გითხარი, მათ უკეთ იციან მეთქი.
- პოო!.. — გააგრძელა და ჩაფიქრდა.
- აღგა. სარკმელთან მივიდა. დიდხანს იყურებოდა სარკმელში, მე გა-
მახსენდა: ამ აღრიანი გაზაფხულის პირს ავტომანქანებისათვის საბურავე-
ბი მქონდა საშოვნელი. იქით — ფარდულები იყო შესაკეთებელი. საინ-
ტერესოა, ტრაქტორები გავიდნენ თუ არა ფართობზე. ზედა სამების გზას
არემონტებენ თუ არა? სადაცაა საგაზაფხულო თესვის კომპანია უნდა
დაიწყოს. ჩაისა და ციტრუსის პლანტაციები ხელი ფოთლისაგანაა გასა-
წმენდი, ნიადაგს აზოტი უნდა, საღრენაუო თხრილები გასაწმენდია, წყა-
ლსადენის მიღებსაც უნდა თვალის გადავლება...
- დახე! — მომესმა უცებ ბერიყაცის ხმა, — ხის ტოტს წყლის წვე-
თი მოწყდა. სადაცაა დასკდებიან კვირტები. რას ცხოვრობენ წვეთები?
წამს? ერთ პაწა გაელვებას? ჩამოვარდებიან და გაუჩინარდებიან მიწაში.
და ვერავინ ხვდება, რომ სწორედ ეს პაწა, ნათელი წვეთები აღვიძებენ
გაზაფხულს...

უიუმატი, ოდნავ მოწყურული თვალებით მიყურებდა. ტუჩის ფლანკები
ბით ძლიერ იმაგრებდა ღიმილს. ვინ უწყის, რა უტრიალებდა გუნებაში.
ვინ იცის, იქნებ სულაც არ აინტერესებდა პენსია? იქნებ ჩემი მისდამი
დამოკიდებულების, მისი ნათქვამის შეფასება იყო მთავარი? ოთხმოც
წელს ჩემი ყებილი არ გადაცილებია, მე უკვე მომოხდა და სწორედ ღილი
სინ ჯდომა მოსწყინდა, და სწორედ ღილი საყოველთაო სა-
ქმისაგან მოწყვეტამ ააყენა ასე ადრიანაღ?

ათასი ფიქრი მიტრიალებდა. ახლა მეც ვუყურებდი ხის ტოტებზე
დაცოცებულ წვეთებს. არაფერი გამიქეთებია. ეს ღილა თითქმის დაკარ-
გული მქონდა. მაგრამ რატომლაც მაინც ქმაყოფილი ვიყავი.

— ახლა ერთი ლექსი უნდა გითხრა, — მეუბნება სკენდერი.

— ლექსი?

— ჰო. ბერი კაცი, ჩაჩნა ბერი, ჩაჩნა-ჩამარგალიტული...

— ვიცი ეგ ლექსი. — ვუთხარი მე.

გაეხარდა.

— ვითომ ასეა ჩემი საქმე?

— შენ უკეთ არ იცი?

კიდევ წაჭუჭა თვალი. თითქოს რალაცის გახსენებას აპირებდა.

და ვიდრე იგი ასე თვალდაჭუჭული ზის, მე ამ ლექსის სიუჟეტს გა-
გცნობთ.

ერთი ჩაჩნა ბერი თავის ვირს ათას ხუთას თუმნად ჰყიდდა. წინ
მგზავრი შემოყარა და შეემუშტრა. ჯერ თოფი აძლია ვერცხლით მოქე-
დილი, მერე ფიშტო, მერე რახტი. აუსრულა ვირის ფასი. მაგრამ ბერი-
კაცმა დეიხუა, ვირს აღარ ვყიდი, ჩემი ვირი ვირად მინდაო...

— კარგად იყავი, ბიძაშვილო. — თქვა ბერიკაცმა და წამოდგა.

— ჩემი მანქანით გაგიშვებ.

— აპა! — აიქნია ხელი. — ავტობუსი მირჩევნია. ხალხს ვნახავ, მე-
ზობლებს. თვითონ არ მითხარი, შენი კრემლი შენი სოფელია?

და წავიდა. წავიდა ჩაჩნა ბერი, ჩაჩნა-ჩამარგალიტული.

მე ბავშვობისდროინდელი ზღაპარი გამახსენდა.

გამახსენდა ჩემი მოგვარე და ენატკბილი კაცი იუსუფ ბაჯელიძე. მას
დუნიამოვლილ კაცად, საპატიცემულო კაცად თვლიდნენ. ახლა ჩვენი
სოფსაბჭოს ახალგაზრდა თავმჯდომარე გურამ დუმბაძე ლონდონს ისე
ახსენებს, თითქოს ლონდონი ქვეყნის კიდეზე კი არა, აგერ აქვე, კინტრი-
შის ნაპირას მდებარეობდეს. ჩემს ბალნობაში თბილისა და ტრაპიზონში
ნაყოფი კაცის ნახვა იშვიათობა იყო, და გასაკვირი არაა, რომ მისი ყო-
ველი სიტყვა აგერ აქამდე შემოუნახავს მეხსიერებას.

ეს იყო სანდომიანი სახის, ძვალხოშორი მოხუცი.

ჩემი მკვიდრეული იყო — აუჩქარებელი, დინჯი სიარული იცოდება უყვარდა.

ოქროს ხელები ჰქონდა — რასაც მიეკარებოდა — ქვა რომ ქვა იყო, ისიც განსაკუთრებულ სილამაზეს მიიღებდა. უკა, ნასვენ მიწასავით იყო — რაც მის სულში ეთესა, რაც ცხოვრების მანძილზე გაგონილი და შესწავლილი ჰქონდა — მაღლიანად, უხვად არიგებდა. სოფელში მელექსე და მეზღაპრე კაცად იყო ცნობილი. მის უცნაურობაზე ღლესაც ლაპარაკობენ სოფელში — სადაც არ უნდა ყოფილიყო, ყველგან ქვის ნატეხებს სინჯავდა, თითქოს რაღაც მაღანს ეძებდა, და ქვა რომ მოეწონებოდა, შინ მიჰქონდა.

შესაძლოა ამის გამო, და კიდევ შესაძლოა იმის გამოც, რომ მრავალი შესანიშნავი ლექსი და ზღაპარი იცოდა, სახელი თავის სოფელზე ცოტა უფრო შორს ჰქონდა გავარდნილი.

სწორედ ამ შორს გაბმული სახელის კიდეს ჩავლო ხელი ვინმე მღილარმა უცხოელმა და ერთ მშვენიერ დღეს სუცუბანში ბაჯელიძეების გორაზე თავისი თანაშემწე გაგზავნა — ესა და ეს კაცი ჩამოიყვანეო. მოვიდა თანაშემწე, ეახლა იუსუფს, გადასცა მებატრონის თხოვნა და ისიც დასძინა, თუ ჩემს უფროსს მოეწონები, მიუხედავად იმისა, რომ უსწავლელი კაცი ხარ, შეიძლება სამსახურშიც აგიყვანოსო.

სოფელში უცხოელზე უფრო აღრე გაიგეს იუსუფის პასუხი. უცხოელი მაინცდამაინც ამაყი არ უნდა ყოფილიყო, ანდა ცნობისმოყვარეობამ აიძულა ენახა ის „ქართველი მუსლიმანი“, რომელმაც ასეთი ცივი უარი სტკიცა. იუსუფის ჭიშკარს მიადგა და მასპინძელს უხმო.

იუსუფმა ყოველგვარი გაკვირვების გარეშე მიიღო სტუმარი.

— არ მეღოდი? — ჰქითხა ამ უკანასკნელმა.

— რახან მოხვედი, დაბრძნანდი. რამ შეგაწუხათ?

— მოვედი, შენი ნახვა მინდოდა. ქვეყნის, შენი სოფლებისა და მთების ამბის კითხვა მინდოდა.

— კარგი, მყითხე. — თქვა მოქლედ იუსუფმა.

და მოხსნა სტუმარმა გუდას. ქვეყნებმოვლილი კაცი იყო, ალიასკა ენახა, შვეიცარია ენახა, იაპონიაშიც იყო ნაცხოვრები. მაგრამ არსად არ დაუდგა გული. უმდიდრესი კაცი იყო, მამამისს ქონებასთან ერთად ქვეყნებისა და ხალხების შესწავლის სურვილიც დაეტოვებინა მემკვიდრეობით. ქვეყნები და ხალხები კი დიდი ხანია შესწავლილი და აღმოჩენილი იყო. მაშ რაღა დარჩა? მიწის გული. მას სურდა გადაეხსნა ამ მიწის გული და შიგ ჩაეხედა, ენახა, რას იტევდა და რას ინახავდა მისი ცივი უბე.

იუსუფმა შეხედა კომერსანტს, გაეღიმა.

— ბევრი ლაპარაკი გცოდნია, ძიავ! სინამდვილეში კი ერთი სიტყვა უნდა გეთქვა — ოქრო!

— არც მთლიად აგრეა! — თქვა ამ გულახდილობით დაბნეულდა კონკრეტული მეტერსანტმა. — მე მინდოდა, რომ შენ როგორც ამ ადგილების მცოდნე კაცს, გესწავლებინა, სად შეიძლება მისი ძებნა...

— გასწავლი.

კომერსანტს სახე აუჭარხალდა სიხარულისაგან.

— მაშ იცი?

— ვიცი.

— როგორ ფიქრობ, ბევრი იქნება? ლირს გარჩა?

— ღირს.

— მაინც?

— მე არ ამიწონია, ძიავ. — თავი ასწია იუსუფმა.

— მაინც?

— ბევრია, ძიავ. სიმართლე თუ გინდა, აუწონელია, აურაცხელი.

— ადე, მაჩვენე. — აცეტდა კომერსანტი.

— ე, გეიხედე. — ხელი გაიქნია იუსუფმა. — ხალხზე უფრო დიდ სიმღიდრეს სად ნახავ, ძიავ!..

რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ?

ორმოცდათი?

ორმოცდათხუთმეტი?

სამოცი?

ვინ იცის.

მაგრამ ერთი ცხადია — ის რაც შორი ქვეყნიდან მოსულმა კომერსანტმა ვერ დაინახა, დაინახა უბრალო მიწის მეთარგემ — იუსუფ ბაჯელიძემ, რომელიც სოფელში აგრე აქამდე ახსოვთ, როგორც მელექს და მეზღაპრე კაცი. მეც მახსოვს იგი.

კოლექტივიზაციის გარიერაჟზე არაერთხელ მინახავს — უკვე სამოცდათექვსმეტი თუ უფრო მეტი ხნის კაცს თბილისიდან და ბათუმიდან ამოაკითხავდნენ ქართული სიტყვის მარგალიტების შემკრებნი. მთელი კვირეები ისხდნენ მასთან, უსმენდნენ, იწერდნენ...

რად გამახსენდა ახლა იგი?

იქნებ მისი სიბრძნიდან იღებდა სათავეს ჩახქნა-ბერის მოულოდნელი სტუმრობა?

ვინ იცის.

ტოტებიდან კი ჩუმად, სულ ჩუმად ვარდებოდნენ წვეთები.

გაზაფხული მარტო დადგენილებებსა და სოფლის მეურნეობის სამართველოს მოწერილობებში კი არ გვახსენებდა თავს, არამედ უკვე თამამად დააბორებდა სოფელში. წინათ, გაზაფხული დადგებოდა თუ არა, მახსოვს, ოჯახში ხვნა-თესვის თადარიგს შეუდგებოდნენ. მიწას კი აპრილში ხნავდნენ. გამორეკავდნენ ხარებს, სახნისის უღელს მოარგებდნენ ქე-

ღზე და შუბლზე კვერცხს მიამტვრევდნენ, რათა იმ წელიშადს კვერცხი
გულივით ყვითელი და კარგი სიმინდი მოგვეწია. ხოლო ავი თვალისაგან
დასაცავად ხარებს უღელში ზღმარტლის, ასკილის ტაბიკებს უკეთებდნენ.
რადგან სხვა ხისაგან გაკეთებული ტაბიკები ვერ იხსნიდა ხარებს უბედუ-
რებისაგან. ხვნა-თესვას სავსე მთვარეზე იწყებდნენ. მამაჩემი ყანაში გასვ-
ლის წინ მიწაზე უსათუოდ მოაპნევდა ყველა სახის თესლი.

დათესილი ყანა ნიაღვარს რომ არ გაეფუჭებინა, აპრილის, პირველ
შაბათს ქაშატობის შესრულება იცოდნენ. ამ დღეს თოხს, ცულს, სახნისს,
ჯილდას და სხვა სახნავს მიწაზე არ გაატარებდნენ, დაჭედილ ხარებსაც
არ გამოიყენდნენ გარეთ — ყანები ნიაღვარმა არ წალეკოსო. მაგრამ, პი-
რუკუ ხდებოდა ზოგჯერ, — წვიმების ნაცვლად გვალვები დაიჭერდა და
ჩვენი სოფლის გოგო-ბიჭები „ლაზარიას“ მოაწყობდნენ:

ლაზარ მოდგა კარსა,
აღურლულებს თავსა,
შინო-შინო, შინაო,
ჩიტმა შემაშინაო.
ცალი ფხარი მომტეხა,
ცალიც შემარჩინაო...
აბლა მიდგა თაროსაო,
დიემსგავსა მთვარესაო...

რამდენჯერ მიმღერია „ლაზარია“.

რამდენჯერ დამიგუგუნებია „ამინ“...

რამდენჯერ უჩუქებიათ მეზობლებს ერბო, კვერცხი, ყველი, ფქვილი
და ათასი სხვა ხორაგი, მერე ერთად რომ დაგვიჭუჭკავს, გავიკეთებია და
გემრიელადაც შევქცევივართ...

ახლა ჩვენი სოფლის ხარებს წითელი ხის ტაბიკი კი არა, რკინა და საწ-
ვავი უნდა. პირა, „საქსოფლტექნიკაში“ დროულად თუ არ მოიკითხე სა-
თადარიგო ნაწილები, ეს უსულო რკინა ისეთ სირცხვილს გაჭმევს, მთელს
რაიონში ვერ გამოყოფ თავს. მაგრამ მაღლობა ღმერთს, ჩვენს ტრაქტო-
რისტებზე სასაყველუროს ვერაფერს იტყვი. კარგად მუშაობენ.

ხოლო პირველი ასეთი რკინის ხარი, გრუსუნ-გრუსუნით რომ შემო-
იყვანა სოფელში, ახმედ ემირიძე გახლდათ. საკოლმეურნეო მოძრაობის
ეს ვეტერანი დღესაც ტრაქტორზე მუშაობს.

ეს სწორედ ის კაცია, რომელსაც კარგად უდგება შორეულ ბავშვობა-
ში გაგონილი იუსუფ ბაჯელიძის სიტყვები:

წინ არ წახვიდე... უქან არ დარჩე... შუაში ადგილი არ გააფუჭო...

ასეთი თავმდაბალი, მორუდუნე აღამიანი ჩვენს სოფელში ბევრია.

ეს სწორედ ის ადამიანებია, რომლებსაც ასე უჩუმრად, მაგრამ წვეთ-
წვეთად მოჰყავთ გაზაფხული, მოჰყავთ მომავალი...

მოხუცი სკენდერი უკვე ავტობუსში იჯდა. იჯდა თავის მოყვრებში
ეზობლებში, ახლობლებში.

იყო თუ არა იგი ქმაყოფილი ამ დილის?

არ ვიცი.

მე კი საოცრად თბილი მოგონებები დამიტოვა.

გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

თითქმის ასი წლის წინანდელ „სასოფლო გაზეთში“ ასეთი რამ ამო-
ვიყითხე:

— ნეტაი, ჩემო ძიავ, ჩვენი ამბავი ვინ შეატყობინა, იქნება იცოდე?

— რა ამბავი იყო?

რა იყო და, გუშინღამ ჩვენ გორდელაძეს შინ ჩამოეტანა ქართული
გაზეთი. გამოიარა ჯამეზე და თქვა, რომ ოზურგეთიდამ მოვალო, გაზეთი
ვიშოვნე და მოვიტანეო. ყველამ მივედით საყურებლათ — თუ რა ამბავია
გაზეთაჩი; მარა კაი წამეითხველი ვერ ვიშოვნეთ და გლახამ ვერ წაიკითხა.
პაწაწი ზოგიერთმა ქალებმა კი იციან ქართულის წაკითხვა, მარა ქალები
სახლიდან ვერ გამოვიდნენ. მერმე ჩვენმა ბიჭმა ოქროპირაშვილმა თქვა,
რომ, ბიჭოვო. გეირბინეთ სამებასო და გულაი კაიკაციშვილი მოიყვანე-
თო. იმან იცისო კაი გაზეთის წაკითხვაო. იგი ქართველში დაიარებოდა და
ბეჭრი წიგნიც თან მოაქციო; ერთი იმბრეთი წიგნი აქვსო, რომ დუნის
ამბავი შიგ წერიაო; დარის, ავდარის, ქუხილის, ელვა-ჭექის და ყოლიფერს
იმბრეთად იტყვისო. მაშინვე გავაფრინეთ პაწა ბიჭი ფასეიშვილი და გუ-
ლაი მოვიყვანეთ და ვუთხარით: ძიავ, გულავ! აბა, წაგვიკითხე აგი გაზე-
თაი! გულამ წაკითხა. ყველა გავპეჩდით, ყველაფერი ჩვენი ამბავი მარ-
თლა ქე ეწერა, ძიავ, გაზეთში”...

დღეს ქობულეთში ყველამ იცის, ვინ იყო ეს გულა.

მისმა სახელმა არა მარტო სახუცუბნოში, არამედ მთელს ჩვენს მხა-
რეში ჟინჯოლივით გაანათა. ეს იყო მუსლიმან ქართველებს შორის წერა-
კითხვის გავრცელებისათვის თავდადებული ადამიანი.

ზემოთ მოყვანილი დიალოგი საქართველოს საქართველოსა იმ პერიოდის წა-
რმოსადგენად, როცა ამ შესანიშავ პატრიოტს უხდებოდა მოღვაწეობა.
ხუცუბნელები წმიდად ინახავენ თავიანთი მკვიდრის ნათელ ხსოვნას.

ხანდახან ასეთი აზრი ამეცვიატება.

ქვეყნად ისეთი უცნაური სასწაული უნდა ხდებოდეს, — ჩვენი ხალ-
ხისათვის, ჩვენი დიდი საქმისთვის დაფერფლილ ადამიანს ერთი წამით
მაინც უნდა შეეძლოს დღევანდელი დღისათვის თვალის გადავლება.

რა დახვდება მას თავის მშობლიურ კუთხეში?

მე მგონი, მაპატიოს აწ განსვენებულმა დიღმა ადამიანმა, იმ წარსულში მას ამის წარმოდგენაც არ შეეძლო.

წინათ მთელს ჩვენს მხარეში ქართული წიგნი რომ მოგეგროვებინათ ერთად, იმაზე მეტი, ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და, საოჯახი ბიბლიოთეკებში აქვს ჩვენს კოლმეურნებს...

ხოლო ჩვენი სახლები!

ბევრ ქალაქელს შეშურდება გემოვნებით ნაგები ჩვენი სახლები. გაზი, ტელევიზორი, გათბობა, აბაზნა, ტელეფონი, საკუთარი ავტომანქანა... და რაც მთავარია — მიწა იმისია, ვინც ამ მიწას ამუშავებს.

ხოლო უკვე ზემოთ ნახსენებ „სასოფლო გაზეთის“ ფურცლებზე ჩვენმა ღვიძლმა, ჩვენმა ხუცუბნელმა კაცმა ასეთნაირად ჩამოყალიბა თვის გულში დაგროვილი ბოლმა: „მობრძანდის თუ გეტყვიან, ფარაა საჭირო. ბუირუმ — ფარა, სალამ-ალეიქუმ — ფარა, უთურ — ფარა, ალექი — ფარა, წალი — ფარა, სულ ფარა და ფარა! ჩვენ ფარას ვინ მოგვცემს, ძიავ, ფუხარა ვართ და ქე მოგველო ბოლო სუნთლად“.

ჰოდა, აი, სწორედ მიტომაც მოგახსენეთ — ნეტავი ჩვენს გულის ჩვენი სოფლისათვის გადაახედა, მისი ხალხისათვის — წინაარ მეზობლებისათვის გადაახედა, ოჯახებში ასტუმრა, ჩვენს სახელოვან მშრომელებთან ალაპარაკა...

წარმოიდგენდა იგი ოღესმე ამ სახეცვლილებას?

ძალიან საეჭვო კია.

დიდი ნებუგიძე

ფიქრები დავით აღმაშენებლის საფლავთან

არსებობს თქმულება: დავით აღმაშენებელი თავისი ანდერძის თანახმად დაასაფლავეს გელათის კარიბჭეში, რათა ყველა მომსვლელს მის გულზე გადაევლო.

ნეტა ასეთი რა ცოდვა გაძევს,
ვფიქრობ და ცრემლი ღაწვზე დამაღნა,
ვერ შეგისრულებ მეცეო ანდერძს,
ვერა, შენს გულზე ფეხს ვერ დავადგამ.

საუკუნეებს სძინავს ამ ლოდთან,
ზარები რეკენ სადარდიანოდ,
ქარს გაუშლია თმები და მოთქვაშს,
მე გულზე როგორ გადაგიარო.

დაიღვენთება ფიქრები სანთლად,
ვით შორეული ნიამორები,
მკლავებგაშლილი ჩავბლავლებ საფლავს
და მუხლმოყრილი ვეამბორები.

აბა, ასეთი რა ცოდვა გქონდა,
ცაში ღვთისმშობლის ძუძუნაწოვარს,
ამ ლოდქვეშ შენი სიცოცხლე ბორგავს —
დაუხარჯავი შენი კაცობა.

წლები შლის სიკვდილ-სიცოცხლის მიზნას,
და უკვდავება თითზე მოგათვლის,
მოვალ და სამჯერ გადვიწერ პირვეარს
და მოწიწებით მუხლებს მოვიყრი.

დაესიზმრებათ ფრესკებს ამაღამ
სულში ჩამჭერარი თეთრი ყვავილი,
ვერა, შენს გულზე ფეხს ვერ დავადგამ,
ვერა, შენს მკერდზე ვერ გადავივლი.

ამისან შეარაგიძე

მანანე თემიზ

ნაწილი მარტი

ეპიზოდი მაცხრავი

ნიუ-იორკი. შორს, ნისლში გახვეული თავისუფლების ქანდაკება.
ანჯელა დევისი და ელენ როუზი.

ანჯელა — თურმე ისინი ორი თვის წინ დაბრუნდნენ ნიუ-იორკში, მე კი მხოლოდ გუშინ ჩამოვედი ლოს-ანჯელესიდან.

ელენი — სიდნეი თუ ნახეთ?

ანჯელა — კი.

ელენი — რა გითხრათ?

ანჯელა — თავისი სურვილით დაუთმო საკუთარი თვალები მეგობარს. მაგრამ, როცა მე შევეკითხე, რატომ ორთავე თვალი...

ელენი — მესმის, მესმის... სიღნეიმ რაო?

ანჯელა — გაჩუმდა, არაფერი არ თქვა, მაგრამ მე ისეთი რამ ვიგრძენი, რომ...

ელენი — (სიტყვას შეაწყვეტინებს) თქვენ არაფერი არ შეგიძლიათ იგრძნოთ. ააა, მე მინდოდა მეთქვა, რომ თქვენ ამ საქმეში ისეთს არაფერს ხედავთ... ისინი ხომ მეგობრები არიან, იმათ ხომ ძლიერ უყვართ ერთმანეთი და ამიტომ ყველაფერი გასაგებია.

ანჯელა — მართალი ხართ... ყველაფერი გასაგებია, მაგრამ მე მაინც მინდა უფრო ზუსტად გავიგო ეს უცნაური და გაუგებარი ისტორია.

ელენი — რომელი ისტორა? როგორ გეკადრებათ?! მათ ახლა უფრო მეტად უყვართ ერთმანეთი და ისინი ახლა განუყრელი და ყველასათვის სამაგალითო მეგობრები არიან. სიღნეი მუდამ ირვინთან არის. ირვანი კი სიღნეის დამტარებელიც კი გახდა. ირვინი, ჰო... ირვინი გამოიცვალა, ძლიერ გამოიცვალა (ტირის).

ანჯელა — მის ელენ!

ელენი — ის დაცხა და გაცივდა, აღარავითარ გრძნობას არ იჩენს ჩემდამი. ივი, ამას მე კარგად ვგრძნობ, გამირბის... და საერთოდ, თითქოს სხვისი თვალებით მიყურებს.

ანგელა — თვალები ირვინს მართლაც რომ სხვისი აქვს.

ელენი — ნუთუ არ მოვა?.. დღეს ხომ აქ ვეტნამიღან ახლად დაბრუნებულ მასკლ ანგერისი უნდა მოვიდეს.

ანგელა — როგორისი შესახებ ძალიან ბევრს წერენ დღევანდელ გაზეთებში.

ელენი — როგორის ჭიკვიანი ადამიანია და მას ბრწყინვალე მომავალი ელის.

ანგელა — მართალი ბრძანდებით. იგი დღევანდელი ამერიკისათვის და დღევანდელი ამერიკა მისთვის... ისინი ერთმანეთის ლირსი არიან. (შემოდის მაიკლ როგორისი).

მაიკლი — და განა ეს ცუდია?! მოგესალმებით! (ელენი სიხარულით მიიჩნენს მაიკლთან, ანგელა თავშეეავგბული ესალმება).

ელენი — მაიკლ, ჩვენო ძვირფასო მაიკლ!

მაიკლი — მე ძლიერ მოხარული ვარ, რომ ისევ გხედავთ ოქვენ, მის ელენ, (ანგელის) ოქვენ კი... ვერ გამიგია, რატომ ყოველთვის უკმაყოფილო ხართ!

ანგელა — ჩვენ ერთი მზის ქვეშ ვცხოვრობთ, მაგრამ ეს მზე ჩვენ ერთნაირად არ გვათბობს.

მაიკლი — ყველა თავისი მზის ქვეშ თბება. მაგალითად, აფრიკა ოქვენთვის უფრო თბილი იქნებოდა.

ანგელა — იცით თუ არა თქვენ, რომ ჩემი წინაპრები აფრიკიდან გამოყავდათ ახალი ქვეყნის აღმომჩენებს მონების სახით? თქვენ ასევე არ შეგიშლით ხელს იცოდეთ, რომ ჩემი წინაპრები დღევანდელ შეერთებულ შტატებში აღმოჩნდენ ასი წლით ადრე, ვიდრე თქვენი წინაპრები — ეგრეთ წოდებული ანგლოსაქსური წარმოშობის გაღმოსახლებულები და რომ ჩვენ უფრო ღრმა ფესვები გვაქვს აქ და არანაკლები უფლება, რომ ეს უკვე მოძველებული ახალი ქვეყანა ხავთვალოთ ჩვენს სამშობლოდ, ვიდრე თქვენი წინაპრების შთამომავლებმა.

მაიკლი — რა მოგდით?! ნუთუ თქვენთვის ცნობილი არ არის, რომ ჩვენი კონსტიტუციის მიხედვით ამერიკელი ზანგები, ისევე როგორც ამერიკის სხვა მოქალაქეები, ამერიკელებად ითვლებიან და ყველას თანასწორი უფლება და ყველას თანასწორი შესაძლებლობა აქვს, ბედნიერი იყოს.

ანგელა — იქნებ ჩვენში არ არსებობს სეგრეგაცია? ან ასასობრივი სიძულვილი? განა თქვენთვის ცნობილი არ არის, რომ ჩვენთან კანონად გადაიქცა: თეთრი სამუშაო — თეთრკანიანებს, შავი სამუშაო — შავკანიანებს? სამუშაოდ მიღებისას უკანასკნელ რიგში ვართ, სამუშაოდან გაძევებისას პირველ რიგში. ესეც კანონად გადაიქცა. მევლელობაც, პო, მევლელობაც კი კანონად და ტრადიციად გადაიქცა. ამერიკის თოხი პრეზიდენტი და ერთი პრეზიდენტობის კანდიდატი მოჰკლეს ერთი საუკუნის მანძილზე. პირველი მოჰკლეს პრეზიდენტი ლინკოლნი იმის გამო, რომ მან მთავრობა ხალხის მთავრობად და ხალხისათვის გამოაცხადა. ახლა კი ოფიციალური თანამდებობები, მათ შორის პრეზიდენტის თანამდებობაც კი, იყიდება და ყიდულობენ.

ელენი — ეს ყოვლად შეუწყისარებელი ცილისწამებაა, რისთვისაც სასტიკად...

ანგელა — უნდა დავისაჯო? კი, მაგრამ, მე როგორც მასსოვს, თქვენ საშინაო არ გიყვარდათ პოლიტიკაზე ლაბარაკი.

ელენი — სიმართლის ოქმა განა პოლიტიკაა?

ანგელა — სიმართლეს თქვენ არ ლაბარაკობთ მაშინაც კი, როცა ტუუილი შემოგვლევათ...

ელენი — ნუთუ, ყველას, ვისაც მოეპრინება, შეუძლია ასე აძაგოს ჩვენი კეთილი ქვეყანა?!

ანგელა — პო, კეთილი ქვეყანა კეთილ მოქალაქეთა, რომლებსაც ამერიკელებს ეძა-

ნიან. კეთილ ამერიკელებს ამ კეთილ ქვეყანაში უთვალოვალებენ არა მარტო მიკრომსა-
გნტოფონებითა და მალული ტელეკამერებით, მათი ტელეფონით ლაპარაკიც კი შეოვა-
ლყურეობის ქვეშ არის. ფარის კაზთოტექაში კეთილი და თავისუფალი ქვეყნის თავა-
სუფალი შვილების ას ოთხმოცი მილიონი დოსივ ინახება. ეს იმას ნიშავს, რომ თო-
ქმის ყოველი ამერიკელი აღრიცხვაზე აყვანილი. ჩვენ ვცხოვრობთ იმ კეთილსა და ბე-
დნიერ ქვეყანაში, სადაც „ტყუილის დეტექტორები“, ელექტროთვალები, საიდუმლო
აგენტები, საიდუმლო მაგნიტოფონები და აღმაშოოთებელი ანკეტები მეფობენ. და ამის
შემდეგ თქვენ მაინც ამაყობთ ცხოვრების ამერიკული წესით? ფენომენალურია....

ელენი — ეს კომუნისტური სიმღერაა... ეს... ეს...

ანჯელა — იქნებ თქვენ გსურთ, რომ ბულბულმა ბაყაყივით იყიყინოს, მაგრამ არა,
ელენ! დროება გამოიცვალა.

ელენი — (მაიკლ) უთხარით რამე ისეთი, რომ... რომ მისთვის საკადრის ლაფში
აღმოჩნდეს.

მაიკლი — რა უნდა ვუთხრა, ქალბატონი ხომ ფილოსოფიის დოქტორია... პროფესო-
რი ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტიდან.

ანჯელა — შემიძლია გაგახაროთ — მე უკვე გამომაძევეს უნივერსიტეტიდან და ამ-
ჟამად უმუშევარი ვარ.

ელენი — ესე იგი, ახლა მაინც მიხვდებით თუ ვინ ბრძანდებით თქვენ და ვინა
ვართ ჩვენ.

ანჯელა — საქმეც სწორედ ამაშია, მის ელენ, იქნებ მე თქვენზე უარესი ვარ იმიტომ,
რომ მე ზანგი ვარ? იქნებ მე არც გვმოვნება, არც გრძნობა, არც გონება, არც სიცოც-
ხლის წყურვილი და არც თავისუფლად სუნთქვის სურვილი არ გამაჩნია? იქნებ გვონიათ,
მე არ შემიძლია მიყვარდეს? მე ხომ ისეთივე აღამიანი ვარ, როგორიც თქვენ. განა კანის
ფერია მთავარი? შავებიან მაგრს ოტელოს უსაზღვროდ უყვარდა თეთრკანიანი დეზლე-
მონა. ასევე დეზდემონას გულწრფელად უყვარდა თავისი შავებიანი ოტელო. უბრალოდ,
რო აღამიანს უყვარდა ერთმანეთი. ის ყველაფერი. (ჩამობნელდება. სინათლე მარტო ან-
ჭელს ანათებს) პო, მთავარია აღამიანი!

(ანჯელა თანდათანობით უჩინარდება)

ჩ ა მ ო ბ ნ ე ლ დ ე ბ ა

ვ პ ი ზ ო დ ი ვ ე ა თ ე

ელენ როუზი და მაიკლ როჯერსი

ელენი — მე მთლიანად შევასრულე დაბირება, თქვენ ქმაყოფილი ხართ?

მაიკლი — არა, მის ელენ... უკმაყოფილო ვარ.

ელენი — მიზეზი?

მაიკლი — თქვენ ბრძანდებით... ღიახ, თქვენ!

ელენი — ვერაფერი ვერ გამიგოა!

მაიკლი — კეთილმსურველებს უმეტეს შემთხვევაში ცუდად იგებენ.

ელენი — თავი დაანებეთ ქარაგმებით ლაპარაკს! როგორც ვატყობ, შესამჩნევად
გამოიცალეთ ვიეტნამის შემდეგ. ალბათ თვიბრუ გეხვევათ მიღწევებისა და პოპულარო-
ბის გამო. — თქვენ შესახებ ლაპარაკობენ თითქმის ყველგან... პრესა, ტელეგადაცემა,
რადიო ხშირად აცხადებენ მედიცინაში ახალი ვარსკვლავის გამოჩენის შესახებ. ბელმა
გაგიღიმათ, პრეზიდენტის ახლობელი მეგობარი და სენატორი მიტჩელი კეთილ ბიძაად
მოგევლინათ... ასე. რომ, თქვენი კარიერა უზრუნველყოფილია. თქვენ ბედნიერი ადამიანი

ხართ, როგორს! თქვენ მე მომწონხართ. ჩემს ბებერ მამასაც კი თვალები გაუბრწყინდა
თქვენით შეხვედრისას. ჩემი ირვანი კი დასანახვადაც არ უნდა.

ეკლესია
გვიპატია

გვიპატია

გვიპატია

მაიკლი — თქვენი მამა...

ელენი — არ მითხათ, რომ იგი მართალია... და რომ მამაჩემი თითქოს სამართლია—
ნი აღამიანია.

მაიკლი — ყოველ შემთხვევაში, ეჭვიც არ მეპარება, რომ ყველაფერი თავისი ერთ-
აღერთი და საყვარელი ქალიშვილისათვის უნდა. გამოცდილი აღამიანის თვალები ყველა-
ფერს ხელავენ, ისინი არ ცდებიან.

ელენი — მე კი ვცდები, არა?

მაიკლი — თქვენ სახითაო გზას ადგახარო, ელენ! თქვენ თვითონ დაღუპვთ სა-
კუთარ თავს. მე არ მინდა, რომ ეს ასე მოხდეს. მე... მე... მიყვარხართ ელენ და ამიტომ
არ შემიძლია გულგრილი ვიყო თქვენი ბედის მიმართ, მამათქვენი უფრო ჩქარა კუბოში
ჩაწვება, ვიდრე თავის ქალიშვილს ირვინ ჩოსერს გაატანა.

ელენი — ეს არაფერია... მამაჩემი ისედაც ჩქარა ჩაწვება კუბოში... და როგორც
იქნება გავთავისუფლები მისი ზედამხედველობისაგან.

მაიკლი — და მემკვიდრეობისაგანაც.

ელენი — მე თქვენი არ მესმის.

მაიკლი — თუ თქვენ არ მიატოვებთ ირვინ ჩოსერს,, არ შეწყვეტი მასთან კავშირს,
მამათქვენი უარს გეტყვით მემკვიდრეობაზე.

ელენი — საიდან მოიტანეთ ასეთი...

მაიკლი — თვითონ მითხარა. გარდა ამისა, მამათქვენს მეგობრებმა გამოძიების ფერე-
რალურ ბიუროდან შეატყობინეს, რომ ირვინ ჩოსერი არასამეღო მოქალაქეა. იგი თურ-
მე, როგორც მათ განაცხადეს, „ამაფეთქებელი ელემენტი“ ყოფილა და, რაც მთავარია,
უკვე აღარ ეკუთვნის თეთრ რასას.

ელენი — როგორ?!

მაიკლი — თვალები მას არასრულფასოვანი აღამიანის... დიახ, მას შავი აღამიანის
თვალები აქვს.

ელენი — მაიკლ!

მაიკლი — თქვენ გეგონათ, ირვინ ჩოსერი სენატორი გახდებოდა, სინამდგილეში
იგი მხოლოდ თავისი შავი მეგობრის დამტარებელი და შავივე აზრების მატარებელი
გახდა.

ელენი — ღმერთო! მაიკლ როგორს, თქვენ საშინელი აღამიანი ხართ.

მაიკლი — ამას წინათ თქვენ განაცხადეთ, რომ მოგწონვართ. საიგონში ისიც კი მით-
ხარით, გეგონის განაცხადეთ როგორც საუკეთესო მეგობარი. და მეც ვფიქრობ, სწორედ მე ვარ
თქვენი ერთადერთი გულწრფელი მეგობარი, მიუხედავად იმისა, რომ თქვენი მხრივ არც
მეგობრობას ვხედავ და არც უბრალო პატივისცემას. და ეს მაშინ, როცა მე ყველაზე მე-
ტად ვფიქრობ თქვენი ბეღინერებისათვის, თქვენი კეთილდღეობისათვის. ვიმეორებ —
არასწორ გზას ადგახართ და მე ვალდებულად ვთვლი ჩემს თავს დაგიცვათ ხიფათისაგან.

ელენი — თქვენ გინდათ თქვათ, რომ კეთილი აღამიანი ხართ.

მაიკლი — კი... ისეთივე როგორც თქვენ.

ელენი — თქვენ ვინდათ თქვათ, რომ გულწრფელი ხართ.

მაიკლი — კი... მე ისეთივე გულწრფელი ვარ, როგორც თქვენ.

ელენი — არატომ არ გამაფრთხილეთ ოპერაციის წინ, რომ ირვინს შავკანიანის თვა-
ლები ექნებოდა?

მაიკლი — ეს ვარიანტი თქვენ თვითონ შემომთავაზეთ. მე კი, როგორც ექიმს, ასე შემიძლია უარი ვუთხრა მას, ვინც ჩემგან დახმარებას ელის. მით უშეტეს — ფინების ელენი — თქვენ მუდა მშრალი გამოდისახოთ წყლიღან.
მაიკლი — თქვენც არასოდეს არ დასველებულხართ თასებმა წვიმაშიც კი.
ელენი — ძლიერ ეშმაკი აღამიანი ხართ.

მაიკლი — მე ძლიერ ვცლილობ თქვენ მოგბაძოთ... და ეს იმიტომ, რომ მიუვარ-ხართ... ირგინმა კი...

ელენი — რაო ირვინმა?

მაიკლი — დაგწყველათ, როცა გაიგო, თუ როგორ იყო მოწყობილი ოპერაციის ამპა-ვი... და იგი, თქვენი ირგინ ჩისერი, თავისი შავი მეგობრის ფეხქვეშ ფართხალებდა და პატივებას ემუდარებოდა. თქვენ კი არათუ გწყვლიდათ... არა, მე ვერ გეტყვით, უშრო-ბესია მისგან გაიგოთ.

ელენი — ეს ერთგულებისა და თავდადების სამაგიეროდ?

მაიკლი — არიან მაღლიერი და უმაღლერი აღმიანებით... თქვენი ირვინი არასაი-მედო და ორბრია. იგი ჩენი სოციალურ ყოფის მტრების მეგობარი და მოკავშირეა. ამავე ღრის ურცხვად აცხადეს, რომ თქვენ მას უყვარხართ. ასეთი აღამიანის წინაშე თვითონ ფარისეველიც კი გაფითრდებოდა... და ამის შემდეგ თქვენ მაინც გიყვართ იგი-ბრმა სიძნეეც კი ყველაფერს ხედავს, ყველაფერს ამჩნევს. თქვენ კი... პო, ნუთუ თქვენ ვერაფერს ხედავთ, ვერაფერს ამჩნევთ?

ელენი — ვხედავ, ვამჩნევ, რომ იგი...

მაიკლი — გატყუებდათ, უწინ და ახლაც, თითქოს უყვარხართ?

ელენი — მატყუებდა...

მაიკლი — და მერე როგორ... (იცინის)

ელენი — ქმარა... სულელო (პირზე ხელს იტაცებს) მაიკლ, მაპატიეთ. უნებურად ჭამომცდა.

მაიკლი — არაფერია, ამბობენ ხშირად სულელები უფრო უყვართ ვიდრე...

ელენი — მე მძულხართ.

მაიკლი — ასე გეჩვენებათ, მაგრამ...

ელენი — პო, მძულხართ და მეტი აღარ მინდა დაგინახოთ.

მაიკლი — მეც მძულხართ და მეც მეტი აღარ მინდა დაგინახოთ.

ელენი — თქვენ საშინელი აღმიანი ხართ.

მაიკლი — ეს ჩემი ერთადერთი ლირსებაა. ამ საშინელ ქვეყანაზე არ შეიძლება იყო ანგელოზი — გასტრესენ.

ელენი — ეშმაკი და ფარისეველი ხართ.

მაიკლი — ჩემს ყველა კაპიტალს შორის ეს ჩემი ყველაზე მეტი სიმდიდრეა.

ელენი — მაიკლ?

მაიკლი — უკვე ოცდაოქტემბერ წელიწადზე მეტია, რაც მე მაიკლს მედახიან და ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ მინახავს ისეთი ლამაზი, ისეთი კვეიანი ქალიშვილი, როგორიც თქვენა ხართ და რომელსაც ამდენი სისულელე ჰქონდეს ჩადენილი.

ელენი — ქმარა, მეტი აღარ მინდა მოყისმინ.

მაიკლი — სწორი არ არის. თქვენ ძლიერ გინდათ, მე მომისმინოთ.

ელენი — წადით, მარტო დამტოვეთ, წადით, თუ ღმერთი გწამთ.

მაიკლი — არ წავალ, არა! დიახ, არ შეიძლება უჩემოდ რომ იყოთ.

ელენი — თქვენ მე მაღიზანებთ.

მაიკლი — თქვენ კი, მაშფოთებთ, მაგრამ...

ელენი — ღმერთო, (მაიკლს) რა გავაკეთო ისეთი, რომ...

მაიკლი — მოიქეცით ისე, როგორც მე... (კოცნის, ელენი სილას გააწნავს) მაიკლი ლოყაზე იტაცებს ხელს).

ელენი — (შეძრწუნებული) გეტინათ?

მაიკლი — არა, სასიამოვნოა, იმიტომ რომ კარგად ვიცი: გაარტყით მოკლე რიტუალი

ჯერს, წარმოიღინეთ კი ირვინ ჩიხერი. ამით ხომ კმაყოფილი ხართ!

ელენი — თქვენ სასწაული ხართ...

მაიკლი — ჰო, ჩემო სასწაულო.

ელენი — თქვენ არასოდეს არ დაიღუპებით.

მაიკლი — ჩემს გვერდით თქვენც არ დაიღუპებით.

ელენი — კა, თქვენ ნამდვილი სასწაული ხართ.

მაიკლი — ჩვენ თუ ერთმანეთს დავემატებით, ორმაგი სასწაული იქნება. ეს კი, უაჭველად რაღაცას ნიშნავს.

ელენი — მაგრამ მე მაინც... მაინც, ირვინი მიყვარს!

მაიკლი — ირვინი მირაეთ! ნუთუ ასეთი ლამაზი, ჭივიანი და პრაქტიკული ქალიშვილი სამუდამოდ გამოემშვიდობება უნარს, რომ რეალურად იაზროვნოს!

ელენი — გამარტებს ტყუილად არ უთქვამს, რომ თქვენ შორს წახვალო.

მაიკლი — თქვენგან არა, საერთოდ კი — შესაძლებელია. თქვენი მამა პატივს მცემს მე და ირვინი არ უყვარს... თქვენ კი გიყვართ ირვინი, მე პატივსაც არ მცემთ. ფარხმალს არ ყრით დამარცხების შემდეგაც. უკიდურესობამდე იცავთ თქვენს შელახულ სიყვარულს. უმჯობესია მკაცრი სინამდვილე, ვიდრე ცხოვრება ილუზიებით. თქვენ იტან-ჯებით, დიახ, თქვენ თვითონ სტანჭავთ საშინელი წამებით საკუთარ სულს, გულსა და გონებას. განა უკეთესა არ არის საშინელი დასასრული, ვიდრე დაუსარულებელი საშინელება? ძვირფასონ ელენ, ყოველი დასასრულის შემდეგ ყოველთვის ჩაიმართ ახალი იწყება, მისი დასაშიულის სათავესთან კი გთავაზობთ ჩემს ხელს, ნამდგილი მეგობრის ხელს. ჩვენ ხომ ერთი ცომისაგან ვართ და ცხოვრების ერთი და იგივე ინტერესი და მიზანი გვაქვს.

ელენი — არა... არ უნდა, მაიკლ! საერთოდ კი... მომწონხარ... მაგრამ, ო! მოდიან (შემოდიან ირვინი და სიღნეი).

ირვინი — მისტერ როჩერს, შეგიძლიათ გაიხაროთ... იქნებ შენც გაგეხარდება, ელენ... დღეს დილით დაპატიმრებს...

მაიკლი — ვინ?

ირვინი — ანჯელა...

სიღნეი — ჩვენი ანჯელა დევისი!

მაიკლი — მე არასოდეს არ მახარებს ადამიანის უბედურება, ადამიანისა, ვინც არ უნდა იყოს იგი.

— რომ ჩემო... რისთვის? რა გააკეთა ასეთი?

სიღნეი — ამბობენ, გასულ შაბათს თქვენი ხელმძღვანელობით, მის ელენ, მძარცველთა ჯგუფმა ფილადელფიის ბანკი გაძარცვა და მოჰკლა ჩამდენიმე პოლიციელი.

ელენი — ფილადელფიაში მე არასოდეს არ ვყოფილვა. გასულ შაბათს კი ჩვენ ერთად ვიყავთ აქ, ნიუ-იორკში. ჩას ჩმახავთ, თუ იცით! თქვენ ალბათ ჭკუაზე შეიშალეთ, სიღნეი.

სიღნეი — ესე იგი ჭორია, მართალი არ არის და ამიტომ ხელი არავინ გახლოთ?

მაიკლი — თავისთავად ცხადია.

სიღნეი — ანჯელა დაპატიმრებს. „სოლედადელი ქმების“ სასამართლოზე შეიარაღებულ თავდასხმაში, მოსამართლის მოტაცებასა და მკვლელობაში მონაწილეობისათვის. ეს ჭორი კი არა, თურმე ჭეშმარიტება ყოფილა და ამიტომ მისი დაპატიმრება კანონიერად უნდა ჩაითვალოს.

ელენი — იმ დღეს, როცა კალიფორნიაში ეს ამბავი მოხდა, ანჯელა იქ კი არა, აქ, ჩვენთან ერთად, ნიუ-იორკში იყო.

სიდნეი — ეს კი, მის ელენ, თურმე ჭორი ყოფილა და ამიტომ ანჯელას ხელიც აპ...
ლეს და დააპატიმრეს კიდეც.

საქართველოს
გიგანტების

სისტემის

ელენი — რატომ? რისთვის!

სიდნეი — ჯერ უნივერსიტეტიდან გამოაგდეს იმისათვის, რომ კომუნისტია. ამჟამად დააპატიმრეს იმის გამო, რომ იბრძვის თავისი ხალხის ინტერესებისათვის. მხედველობა დავკარგე, სამუღლომდ ჩატარებული არა ვთალებში, მაგრამ მე ბრძა არა ვარ, მე ყველაფერს ვხედავ! მე კვლავინდებურად ნათლად ვხედავ ჩვენს ირგვლივ გამეფებულ საშინელებას. ანჯელა დააპატიმრეს და მას სიკვდილით დასკით გმუქებიან, მაშინ როდესაც სონგმის ჭალათი ლეიტენანტი კილი, მიუხედავად იმისა, რომ სასჯელი დაადეს, თავისუფლად დახეირნობს. უდანაშაულოს ღმინაშვის იარლიყს ადებენ და ციხეში სვამენ, ავაზაუსა და მასიური მყვლელობის მეთაურს კი პრეზიდენტი ციხიდან ათავისუფლებს. ბოლო არ უჩანს საძაგლობას, რასაც სჩადან ისინი, რომლებიც ჯერ კიდევ ადამიანის სახელს ატარებენ, მაგრამ ჩაც უფრო გვტანჯავენ და გვსპობენ, მით უფრო ძლიერი და მით უფრო მეტი ვიქენებით. გამარჯვება კი ყოველთვის იმათ მხარეზეა, რომელთაც მეტი ბატალიონები გააჩნიათ. ნუ გავიწყდებათ, კაცობრიობა უკვე გამოდის სიღარაკისა და უუფლებობის გვირაბიდან და ვა მას, ვინც გზას გადაულობავს, მათ გაასამართლებს და მსჯავრს დადებს არა მინარე, არამედ გამოღვიძებული თემიდა! და ეს იქნება ყველაზე უფრო სამართლიანი სასამართლო! ეს სასამართლო კი იქნება, უეჭველად იქნება!

(შორს თანდათანობით გამოჩნდება ნისლში გახვეული თავისუფლების ქანდაკება).

ჩ ა მ ო ბ ნ ე ლ დ ე ბ ა

ვ პ ი ზ ი დ ი მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე

სან-რაფეალი. ქალთა საპატიმრო საკანი. ანჯელა დევისი და მაკულ როგორსი.

ანჯელა — როგორ მოგწინთ ჩემი რეზიდენცია?

მაიკლი — განციფრებული ვარ... მე აღმოგოთებული ვარ... სიტყვები არ მყოფნის, ჩემი აღმოგოთება რომ გამოვთქვა.

ანჯელა — გამოდის, კეთილი სურვილებით მობრძანებულებრთ და თქვენ მც მითანაგრძნობთ.

მაიკლი — რასაკვირველია ასეა.

ანჯელა — ეს უკვე საინტერესოა, ძლიერ საინტერესო.

მაიკლი — ჩვენ მუდამ ვდავიბრით, მაგრამ მტრები არასოდეს არ ვყოფილვით.

ანჯელა — არა, მისტერ როგორს, ჩვენ მუდამ მტრები ვიყავით.

მაიკლი — გახსოვთ, რა თქვა ერთხელ მის ელენმა?

ანჯელა — არ მახსოვე.

მაიკლი — მოზრდილ ბავშვებად მიმართი ისინი, რომლებიც ეგრეთშოდებული პოლიტიკური კამათის საფუძველზე, ანდა პოლიტიკური უთანხმოების გამო ერთმანეთს იძულებენ და ხშირად ერთმანეთის მტრებიც კი ხდებიან.

ანჯელა — ასე თქვა მის ელენმა და არა ანჯელა დევისმა.

მაიკლი — თქვენ ფრიად განათლებული და ჰქვიანი ადამიანი ბრძანდებით, მაგრამ ნუ დამძრახავთ, თუ ვიტავი, რომ ზოგჯერ ჰქვიანი ადამიანები სულელზე უფრო მეტს სისულელეს სჩადიან. და თუ აღდესღაც სისულელემდე მიღიოდით, ამჟამად დროა, რომ...

ანჯელა — რომ... თქვენ ღაუყოვნებლივ წაბრძანდეთ აქედან...

მაიკლი — მოითმინეთ... ნუ გამიწყრებით, ნუ გეწყინებათ... მომეცით საშუალება პოლომდე ვთქვა ჩემი სათქმელი

ანგელა — მე არასოდეს არ მწყენოდა, რომ თქვენ ბრიუვი ბრძანდებით. ო, გაიარეთ მე ყოველთვის მძულდით და მძულხართ იმისათვის, რომ თქვენ საშინელი აღამიანი ხართ, რომ თქვენ საძაგლი არსება ბრძანდებით.

მაიკლი — მე თქვენთან კეთილი განზრახვით მოვედი... თქვენ კი...

ანგელა — (ირონიულად) მაპატიეთ... გისმენთ, მისტერ როგერს!

მაიკლი — იცით თუ არა, რომ ჩვენი საუკუნის დასასრულამდე მთლიანად დაიღუპება კაცობრიობა?

ანგელა — მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩვენი საუკუნის დასასრულამდე ბევრად ადრე დაიღუპებით თქვენ, კაცობრიობა კი ბედნიერებას მიაღწევს და დადგება ნამდვილი თვისუფლებისა და აღორძინების ხანა.

მაიკლი — ვერმან კანი გუძინის უნივერსიტეტიდან კი სულ სხვა აზრისა არის.

ანგელა — ო, იგი თქვენი დიდი ქირომანტია, რომელიც ყველაფერს მხოლოდ საკუთარი სამრეკლოდან ხედავს... მაგრამ თქვენი წინასწარმეტყველის გარდა ჩვენში ფრიად გამრავლდნენ პირველები და მთელი რიგი ორგანიზაციები, რომლებიც წინასწარმეტყველებენ არა მარტო ჩვენი ქვეყნის მომავალს, არამედ მთელი კაცობრიობის, უფრო მეტიც — სამყაროს მომავალს... მეცნიერების ეს ბუშები, რომ...

მაიკლი — მე მხოლოდ გერმან კანის შესახებ, როგორც თქვენ თვითონ შეარქეთ, დიდი ქირომანტის შესახებ მინდოდა მეთქვა... ამას წინათ მასთან იყო „ჩიკაგო ტრიბუნ მეგეზინის“ კორესპონდენტი და...

ანგელა — და... მერე?

მაიკლი — მათ შორის ფრიად საინტერესო საუბარს ჰქონდა ადგილი... კანის თვალსაზრისი ჩემს თვალსაზრისს ემთხვევა, მიუხედავად იმისა, რომ ახლო მომავალს ის უფრო მეტი ობტიმიზმით უცემრის, ვიდრე მე მან თქვა, რომ მომავალში თავისუფლება უფრო მეტად შეივეცება, ვინაიდან იგი თავაშეგებულ ანარქიასა და გარყენილებას წარმოშობს. მაგრამ მთავარი მაინც ჩემოდნის ყუმბარებია. არსებობს იმის საფუძველი, რომ ჩვენი საუკუნის თოხმოცდათაინაც წლებში კველას შეეძლება დამზადოს თერმოატომური ყუმბარა, რომელსაც ჩემოდნითაც ადვილად გადატანება. ნუთუ გასაგები არ არის, რას ნიშნავს ეს? კველას შეეძლება დამზადოს არა თვითნაკეთი შაშხანა, არამედ ყუმბარა, თერმოცუმბარა. თუმცა იმასაც კი ამბობენ, რომ იმ ღროისათვის მთავრობა უჭირებად მიაღწევს იმას, რომ კველა აღამიანის აზრი, გონება, ზრახვები კონტროლს ქვეშ იყოს.

ანგელა — თქვენ გინდათ თქვათ, რომ კველაფერი მთავრობის სასტიკი კონტროლისაკენ მიდის? — ეს ხომ იგივეა, რაც დღევანდელ ულტრათა მისწრაფება, „თეორ ცხენ-ზე შემჯდარ რაინდზე“ ოცნება.

მაიკლი — ეს ასეც იქნება, უჭირებად იქნება. როგორც თქვენთვისაც ცნობილა, პოლიტიკურმა კორუპციამ დემოკრატია პლუტოკრატიად აქცია. მალე ტექნოკრატები წამოყოფენ თავს და კაცობრიობის ბედი განსაზღვრული რაოდენობის აღამიანთა ხელში აღმოჩნდება. ამგვარად, მალე, ძალიან მალე ტექნოკრატების ელიტა გაბატონდება. ჩვინის რობოტება უკვე კველში წავლო ხელი აღამიანს.

ანგელა — გამოდის, დადგა ღრო, როცა აღამიანებმა თავის ხელში უნდა აიღონ საყოველთან ბედნიერების საქმე, ამოძირევონ ბოროტება, დარგონ სიკეთე და აშენონ სამართლოინი საზოგადოება.

მაიკლი — ზღაპრების მოსმენა ბავშვობაშიც არ მიყვარდა. მე რეალისტი ვარ... და მც კარგად ვიცი: კველას ბედნიერება შეუძლებელია, ეს არასოდეს არ ყოფილა, არ არ და არც იქნება. ამ ქვეყნად დასაბამიდანვე მიღია ბრძოლა ძლიერთა და სუსტა შორის. სუსტები ამას ეძახიან სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლას, ძლიერ-



რები კი ბუნებრივ შერჩევას... მაგრამ კაცობრიობის ტრაგედია ამაში კი არ გამოიხატეთ — ბა, არამედ უმთავრესად იმში, რომ ქვეყნად ორი კატეგორიის აღამიანები არიან — ცუდი და კარგი აღამიანები. და ამიტომ, საჭიროა ბრძოლა სწორედ ამ ბოროტი და ცუდი აღამიანების წინააღმდეგ.

ანგელა — (შეაწყვეტინებს) თქვენისთანა აღამიანები ბევრად უფრო საშიში არიან კაცობრიობისავის, ვიღრე მისი ცველაზე უფრო ბოროტი მტრები. სწორედ თქვენისთანებს შეჰყავთ შეცდომაში მასები, რომლებსაც ისეთი მძიმე შრომითა და ბრძოლით ვაკაცშირებთ... მაგრამ ახლა სულ სხვა დროა. თავის დროზე კი ლინკოლმა ასე თქვა: ერთი კაცის მოტუშება შეიძლება, მოელი ხალხის მოტუშებაც შეიძლება, მაგრამ ხალხის მოტუშება ყოველთვის შეუძლებელია. კერძოდ კი, რა გნებავთ ჩემგან? ნუთუ თქვენ ჩემთან შეხვედრის ნება დაგროვს იმისათვის, რომ...

მაიკლი — დიახ, იმისათვის, რომ გიხსნათ დალუპვისაგან... თქვენ არ გინდათ შეიგნოთ, რომ აღამიანის სიცოცხლე ისედაც ხანმოქლეა და...

ანგელა — კმარა... პირდაპირ მითხარით — რა გნებავთ ჩემგან? ვინ მოგაზავნათ?

მაიკლი — მე და მის ელენი ძლიერ შეგვაშორთა ღევენმა ბედმა. როცა გავიგეოთ, რომ სიკვდილით დასხა არ აგცელებათ... ჩვენი თხოვნით, თქვენი საქმით დაინტერესდათ ვითონ სენატორი მიტჩელი, რომელმაც მიაღწია ჩვენთვის ფრიად სასურველ გამოსავალს... მხოლოდ ერთი პირობით. თუ თქვენ უარყოფთ თქვენს პოლიტიკურ მრწამსს, აღარებთ საკუთარ შეცდომებს და ოფიციალურად დასტოვებთ ამერიკის კომუნისტურიპარტიის რიგბს, დაუყოვნებლივ გავათავისუფლებნ და შეკიქმნან პირობებს, იცხოვ-რომ რომ თავისუფლად, შეძლებულად და ბედნიერად. წინააღმდეგ შემთხვევაში...

ანგელა — გაზის კამერა, სიკვდილით დასჭა. ცველა აღამიანი ერთმანეთს ჰვავს, მაგრამ თუ კარგად დაუკვირდი, რა დიდი განსხვავებაა მათ შორის. ჯერ კიდევ რამდენი არმშაბადა ამ ქვეყნაზე... თქვენ კარგად შეითვისეთ გერმან გერინგის ინიები და საკუთარ ვან-დერ-ლუბეს დაეძებთ. მაგრამ თქვენ ცუდად შეითვისეთ ისტორიის გაკვეთა-ლები. და თუ თქვენმა წინამორბედებმა დამარცხება იწენის, თქვენ განადგურება, დიახ, სამუდამ მოსპობა არ აგცდებათ.

მაიკლი — რა უფლებით, რა მიზეზით გვადარებთ ნაციისტებს?!

ანგელა — განა მაიკლ როგორსი და როგორსი მაიკლი ერთი და იგივე არ არის?

მაიკლი — მთელი გულწრფელობით გაცხადებ, რომ ამ საშინელ საკანში მე მოვა-დი გულწრფელად დაგხმირებოდით, თქვენ კი...

ანგელა — რა არის იმაზე უარესა, როცა მლიქვნელობას გულწრფელობად აცხადებენ და სინდისის კვარცხლბეჭებზე უსინდისოს წამოასუბებენ... პო, მითხარით, რა არის ამაზე უფრო მეტი საზიზორი და საშინელება?

მაიკლი — თქვენ ასეთი ახალგაზრდა ხარი... და უცებ, სიცოცხლის გარიერაუზე თქვენ ვითონ მოუმზადეთ საკუთარ თავს საშინელი დასასრული. ეს ხომ ვთითმკვლე-ლობაა. იქნებ თქვენ იმის იმედი გაქვთ, რომ დემონსტრაციები, საპროტესტო მიტინგები, რომელებსაც თითქმის ყველგან აწყობენ, გიხსნინ და გავთავისუფლებენ. ცველაუზრი ეს ფუჭია და... თქვენ გელით...

ანგელა — სიკვდილით დასჭა.

მაიკლი — დიახ... ასეა, ასე...

ანგელა — ვხედავ, კარგად ვხედავ, თქვენ ჩემი უფრო გეშინიათ, ვიღრე მე თქვენი ძლიერებისა, რომელიც აღჭურვილია ტანკებით, თვითმტკრინავებით, თერმოატომური ყუ-მბარებით, რეიგინის მსგავსი გამყიდველი გუბერნატორებით, პროკურორობებით, სასამარ-თლოს ფარსებით, მევლელებით, მეციხონეებით და გაზის კამერებითაც ქი. პო, მე თქვენზე ძლიერი ვარ იმიტომ, რომ მე ხალხისაგან ვარ, ხალხთან ვარ...



მაიკლი — ეს სიტყვებია, მხოლოდ სიტყვები... ახლა კი მე ვიღი, როგორ გვიძის ხებით ჩვენს წინადადებაზე?

ანჯელა — (სილის გააწენავს) აი, ასე...

მაიკლი — როგორ გაძელეთ?! თქვენ... თქვენ...

ანჯელა — (ერთხელ კიდევ გააწენავს) ახლა კი გაეთარიეთ აქედან.

მაიკლი — მე მინდოდა... მე თქვენთვის საკეთო მინდოდა... თქვენ კი... თქვენ კი... პო, ღმერთი სამართლიანია... სავსებით სწორია, რომ თქვენ აქ მოხვდით. იტანგებით და რომ თქვენ სიკვდილი არ აგდებათ. კი, ღმერთი სამართლიანია.... სატანას სატანურა სიკვდილი!

(ანჯელა მაიკლ როჯერს საკანდან გააგდებს. მერქ იცინის. იცნის ხმამაღლა, იცინის მთელი ორსებით. უცებ გაჩუმდება. მის სახეს ნაღველი გადაეფარება, მაგრამ ანჯელა მაინც ისე დგას, თოთქოს ზეტევისათვის ემზადება, თავი მაღლა აუწევია ამაყად, საღლუც შორს იხედება და ისევ იცინის).

ანჯელა — იცინე, ანჯელა, იცინე! სიცილი სევდას აქარწყლებს, სიცილი მტრებს ანადგურებს, სიცილი შიშის მესაფლავეა, სიცილი მკვლელების მკვლელია. (ანჯელა ისე ციცინის ხმამაღლა. საკანის ლია კარებიდან ზედამხედველთა და მექლიტეთა ხმაური ისმის). პო. რაო, დაწყევლილო ჭიაყელებო? გაკვირთ რომ არ ვტირი? კომუნისტებმა ტარილი არ იციან, ისინი შრომდენ, ბბრძვან, იცინიან და იმარჯვებენ.

(ანჯელას ხმამაღლი სიცილი ირგვლივ ექოდ გაისმის).

ჩ ა მ ო ბ ნ ე ლ დ დ ჩ ბ

ე პ ი ლ ო გ ი

ნიუ-იორკის ზღვისპირა რაიონი კონი-აილენდი, საზაფხულო კაფე „პანტერა“. მაგიდას უსხედან ირვინი და ელენი.

ირვინი — მე მინდა შეგვეკითხო ელენ, ჩვენი შეხვედრისათვის რატომ მაინცა და მაინც ეს ადგილი იორჩიდება?

ელენი — რასაკვირველია, არა იმიტომ, რომ კონი-აილენდი ნიუ-იორკის სანაპიროს კველაზე მხიარული ადგილია, და არა იმიტომ, რომ კაფე „პანტერა“ ყველაზე უკეთესი კაფეა.

ირვინი — ვერ გამიგია...

ელენი — მოკლე მეხსიერება? ო, არა! შენ არ გინდა გაიხსენო ის ადგილი და სწორედ ის კაფე, სადაც ერთ დროს გულწრფელად შემომფაიცე სიყვარული.

ირვინი — ნუთუ ჩვენი საუბრისათვის არ შეიძლებოდა გამოგვენახა სხვა ადგილი, უფრო ახლოს?

ელენი — არა. და აი რატომ... დეე, თუ ეს ბედის განაჩენია, დამთავრდეს იქვე, სადაც დაიწყო.

ირვინი — არც დაბადებისათვის და არც სიკვდილისათვის არავის აურჩევია განსაზღვრული ადგილი... მაგრამ, რაკი შენ ასე გსურს, დე ასე იყოს.

ელენი — ეს კველაფერია, რაც შენ გინდოდა გეთქვა?

ირვინი — არა, მე მინდა შენ მოგისმინო.

ელენი — როგორ მიყურება? მხედვე და მაინც ვერ მამჩნევ, რომ მე სწორედ ის ელენ როუზი ვარ, რომელიც შენ ოდესლაც...

ირვინი — არ უნდა, ელენ! ნუთუ ვერ შეიგნე, რომ მე ახლა სხვა თვალებით ვიცერი.

ელენი — კი, ახლა შენ მე სხვანაირი თვალებით, სხვისი თვალებით, შავი ოდამიანის თვალებით მიყურებ და სწორედ ამიტომ შავი აზრები გამოქმედებს.

ელენი — ელენ!

ელენი — ჰო, ირვინ!

ირვინი — იქნებ დამეთანხმები, რომ ზედმეტი მოგდის...

ელენი — და ეს ჩემი გულკეთილობისათვის?

ირვინი — ამბობენ, ზოგიერთები ხშირად სჩაღარიან სიკეთეს, რომ აღიჭურვონ შესაძლებლობით, დაუსჯელად ჩაიდინონ ბოროტება. მაგრამ ბოროტება, რომელიც შენ ჩაიდინე, აღემატება კველაზე უფრო საშინელ საშინელებას. შენ უდანაშულო აღამიანს შინათლე წაართვი.

ელენი — რომ შენთვის ამენთო სინათლე.

ირვინი — ნუ დაგავიწყდება, კველაზე დიდი ბოროტება ამ ქვეყნად არის სწორედ ის, რომ სხვა ადამიანს შენს სასაჩვებლოდ წაართმევ თავის ადგილს ამ ცხოვრებაში.

ელენი — ასე პასუხობ ჩემს დიდ სიყვარულს?! ასე მეპყრობი მას შემდეგ, როცა შე კველაფერი გავაკეთე შენი ბედნიერებისათვის?! შენ არც კი იცი თუ რამდენი ნერვიულობა, რამდენი ხარჯი დამჭირდა, რომ შენ კარგად ყოფილიყავი. მე ხომ კველაფერი ეს ჩავიდინე მხოლოდ იმისათვის, რომ შენ კვლავ გეხილა მზე და ბედნიერი ყოფილიყავი... ჰო, მე კველაფერი გავაკეთე შენი ბედნიერებისათვის, იმიტომ რომ მიყვარდო, ირვინ!

ირვინი — შენ შეგეშინდა, რომ მე დაგბრმავდი, რომ მე შენთვის მძიმე ტვირთი გავხდებოდი, რომ შენ ღმერთმა ბრძის დამტარებლის ბედი გარეუნა და ამიტომ შენ კველაფერზე წახვედი, უდიდეს ბოროტებამდეც კი... შენ სინათლე წაართვი ნათელ ადამიანს, რომ ჩემთვის დაგებრუნებია მხედველობა. ასეთი ბოროტების ჩამდენ ადამიანს არასოდეს არ შეუძლია ნამდვილი სიყვარული. ბოროტება სიყვარულის მტერია. შეუძლებელია მთი თანაარსებობა. სიყვარული და ბოროტება დასაბამიდანვე ერთმანეთის მოწინააღმდეგენი არიან. ამბობენ, დიდი მანქიერება მხოლოდ დიდ ადამიანებს გააჩინათ, მაგრამ ათასჯერ უფრო საშინელი და შემაზრზენია, როცა დიდი მანქიერება პატარა ადამიანში გამოვლინდება. შენ ასეთი ლამაზი ხარ... და ნუთუ ასეთ ლამაზ სხეულში ასეთი მახინჯი სული, ასეთი საშინელი გონება და ასეთი შავი გული ბუდობს?!

ელენი — ირვინ!

ირვინი — ჰო, ასეა, ელენ!

ელენი — გამოერქვიე, თვალი გაახილე, ირვინ! მე მეტი აღარ შემძლია მოგისმონ. მთელი ჩემი ძალონით, მთელი ჩემი არსებით თავგანწირულად ვიბრძოდი ჩვენი ბედნიერებისათვის. მე ვიბრძოდი სინდისისათვის, რათა თამაბად და პირნათლად წარმდგარვიყავი შენს წანაშე. შენ კი...

ირვინი — უმჯობესია სინდისიერად ცცხოვრო, ვიღრე ასე უსინდისოდ იბრძოლო სინდისისათვის.

ელენი — ვხედავ, ადამიანები უფრო ჭიუას ასწავლინ, ვიღრე გულს ჟეტებენ ეოთმანეთს... ო, ელენ, ნუთუ შენ არ იცოდი, რომ სიყვარულისათვის, ერთგულებისათვის და სიყეთისათვის ადამიანები არასოდეს არ უხდიან ერთმანეთს სამაგიეროს. ისინი მხოლოდ საკუთარი სარგებლობისათვის იღვწიან.

ირვინი — საბრალო სიდენი, რატომ არ შემიძლია დაგიბრუნო შენი თვალები...

ელენი — შენ საკუთარ თავს აწამებ, მეც მაწამებ იმ შავეანიანი მახინჯის გამოსაცვირელია, ასე როგორ დაეცი?! როგორ მიხვედი აქამდეგ?

ირვინი — რამდენი სულიერია ამ ქვეყნაზე, რომელაც ადამიანი ჰქვია, მაგრამ აურმე კველას როდი შეიძლება უწოდო ნამდვილი ადამიანი, არ შეიძლება წაბილწო

ნათელი სახელი ადამიანისა, მაშინაც კი, თუ იგი შენი მტერია. შენ კი... სადამოკიდებებია
ვეღი!

ელენი — ნუთუ ვიღაც ზანგის გამო გინდა დაქარგო მე?! მე ხშირად მეუბნებიან
და ეს სრული ჭეშმარიტება, რომ შენ თურმე ცხოვრებას უყურებ არასრულფასოვანი
ადამიანის თვალებით, შავი ადამიანის თვალებით! ეს კი იმას ნიშნავს, რომ რასობრივად
შენც არასრულფასოვანი ადამიანი ხარ. შენ ზანგის თვალები გაქვს, შენი შავი მეგობ-
რის თვალები!

ირვინი — შენ რომ შავკანიანი ყოფილიყავი, შენისთანა ადამიანი თეთრკანიანს ჰი-
ზლსა და მტრობას გამოუტადებდა, ისე, როგორც თეთრებს შორის, აგრეთვე შავებს
შორისაც არიან ლამაზები, მაგრამ ნამდვილმა ადამიანმა არასოდეს არ უნდა დაიყიშვას,
რომ ლამაზი თეთრკანიანი და ჩვეულებრივი ზანგიც პირველყოვლისა ადამიანია, რაც
შეეხება ჩემს შავკანიან მეგობარს, იგი თავისი კაცობით ადამიანთა მოდგმის დამაშვენე-
ბელია. რაც შეუძლებელია ითქვას შენს მიმართ, სხეულით ლამაზო, სულით კი...

ელენი (შეაწყვეტინებს) ნუ, ნუ იტყვი, ირვინ! რატომ, რა ცოდვისათვის?! სიკეთის
გარდა, რა ჩავიდინე ასეთი?! გხედავ, დიას, ახლა კარგად ვხედავ, ჩვენი ერთად ყოფ-
ნა შეუძლებელია. წყეული იყოს ის დღე, როცა პირველად შეგხვდი! (შემოდის გაიკ-
როვერსი)

მაიკლი — ამინ! დიდი, ძლიერ დიდი საქმეა, რომ ადამიანი თავის შეცდომას შეიგნებს
და კვაუზე მოვა. შეცდომების აღიარება ახალი, უფრო საზრიანი ცხოვრების დასაწყისი.

ელენი — მაიკლ, შენა ხარ? შენ მართალი ხარ მაიკლ, ცამდე მართალი.

მაიკლი — შენოვის ახლა საჭიროა სიწყნარე, შენ უნდა დაისვენო, ელენ!

ელენი — ახლა, როცა მოვიშორე მძიმე უღელი, შემძლია თავისუფლად ამოვისუ-
ნთქო. (მაიკლი მიეყრდნობა) ახლა მე კარგად ვგრძენობ თავს, კარგად... კარგად (ატირ-
დება) ჰო, კარგად ვარ... ვინც ვერ აფასებს და ვერა ვრძენობს ნამდვილ სიყვარულს, დე
იგი სიძულების მსხვერპლი განდეგს. (მაიკლი ხელებს შემოხვევს ელენს და მიჰყავს, ირ-
ვალივ სიბრელეა სინათლე მხოლოდ ირვინს ანათებს).

ირვინი — ყველაფერი გათავდა, წავიდა... რა სიცარიელეა ირვლივ! სიყვარული!
რა არის სიყვარული? დიოგენს უთქვასს, სიყვარული უსაქმურთა გასართობია. მაგ-
რამ დიოგენს ეს ეპატიება, იგი დიოგენი იყო. სიყვარული! იგი წავიდა და ჩაქრა იმც-
დის შექურა. რა სიცარიელეა, როგორი სიბრელეა ირვლივ... ყველაფერი გათავდა, ყვე-
ლაფერს ბოლო მოეღო. ნუთუ ყველა მნათობი ჩაქრა და შენს ირვლივ ასე ბნელა,
ირვინ? განა უკეთესი არ იქნებოდა, ბრმად დავრჩენილიყავი და არ მენახა ყველაფერი
ეს—საყვარელი არსების საშინელი სისარბე და ასეთი სასტიკი ბოროტება ადამიანთა
შორის!

ხმა მარცხნიდან — არა, ირვინ!

ხმა მარჯვნიდან — მართალი არა ხარ, ირვინ!

ირვინი — მართალი არა ვარ?.. სწორია... მე არა თუ მართალი არა ვარ, მე ბო-
როტმოქმედი და დამნაშავე ვარ. მე მუსრს ვავლებდი ადამიანებს მხოლოდ იმისათვის,
რომ ისინი იცავდნენ თავისი ხალხს, თავის სამშობლოს. მე ვიღას ვიცავდი? რისთვის
ვღვრიდი უდანაშაულოთა სისხლს, რისთვის?... (ჰაუზის შემდეგ) აი, რისთვის... (გიბი-
დან რდებისა და მედალს ამოიღებს, მკერდზე მიიბნევს და ამაყად გამოიჭიმება) ამ ჭა-
ლდოსათვის! ჰო, ჭილდოები ადამიანთა მკვლელობისათვის!

ხმა მარჯვნიდან — არა, ირვინ! თუმცა ხელები შენი იყო, მაგრამ სხვა ესროდა.

ირვინი — ამერიკა?

ხმა მარცხნიდან — ჰო, ირვინ!

ირვინი — ჩემი ამერიკა?

ხმა გარჯვნიდან — არა, ირგინ! იმის ამერიკა (სინათლე აშუქებს თავისუფლების ჭი-
ნდაკებას, რომელიც ნისლშია გახვეული)

ირვინი — (მიმართავს ქანდაკებას) ჰო, შენ სიბრძმავის სიმბოლოდ, გულგატებილი-
ბის, უსულგულობისა და ძალადობის სიბრძოლი გადაიქეცი. სად არის ის თავდაპირვე-
ლი აზრი, რომელიც შენში ჩაქსოვეს, სად არის, სად? შენი სახელით, აღამინთა თავი-
სუფლების სახელით ჩვენ ვანადგურებდით სოფლებს, ქალაქებს, ველებით ბავშვებს
მოხუცებს, ქალებს! შენი სახელით მე ვმონაწილეობდი აღამინთა მასობრივ ულეტაში!
ახალი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირს დახვრეტის წინ უთქვაშს.
„მე რომ ათი სიცოცხლე მქონოდა, ათივეს სამშობლოს შევწირავდიო!“ და ეს მაშინ
ერთი შემთხვევა კი არა, მასობრივი მოვლენა იყო. მაგრამ ახლა? ჰო, ახლა როგორაა?
ახლა გმირი თურმე მე და ჩემისთანები ყოფილინ... მე და ჩემისთანები, რომლებიც
შენი სახელით, ამერიკის თემიდის სახელით უმოწყალოდ ველებით უდანაშაულო აღა-
მინების. აი, ეს ჯილდოები, ჯილდოები საზიზღაური მოქმედებისათვის, დანაშაულისათვის
(მეერთიდან მოიგლებს ჯილდოებს). სამარტვინოა მეერთით ატარო ესენი პატიოსანების
ამერიკელმა. (აღშფოთებით გადაისცრის სიბრძეები. ასევე აეკთებს სიდნეი, რომელიც
სინათლეზე გამოჩნდა და ირგინისაკენ მიიჭევს. მოისმის აღშფოთებულ აღამინთა წამო-
ძახილი და თავისუფლების ქანდაკების კვარცხლებეკზე ორდენთა მინარცხების ხმა.
სინათლე ციხის ფანჯარას ეფრქვევა. მოჩნდა ამაყად თავაწეული ანჭელა).

ანჭელა — მე არ ვიცი, ცოცხალი დავრჩები თუ სიკვდილით დამსჯიან, მაგრამ მე
კარგად ვიცი და მჯერა, რომ იგი (თავისუფლების ქანდაკებას მიუთითებს) მომავალში
ხალხის წინაშე წარსდგება სულ სხვა სახით და აღსრულდება დიდი რუსი აღამინთას სი-
ტყვები: „თითებში მაგრად ჩამუჭული ჩირალდანი მძლავრად იფეთქებს, გაფანტაგს ნა-
ცრისფერ კვამლს და უხვად მოაფრქვევს ირგვლივ გულისმახარბელ სინათლეს“. (ანჭე-
ლა გაუჩინარდება. თავისუფლების ქანდაკება თანდათან თავისუფლდება ნისლისაგან...
ირგინი თავამართული მიმართავს ქანდაკებას).

ირვინი — ჰო, ჩვენ თვითონ უნდა აგინთოთ ჩირალდანი!.. და ჩვენ ამას უეჭვე-
ლად გავაკეთებთ!.. (სიდნეი ახლოს მივა ირვინთან)

სიდნეი — ირვინ!

ირვინი — ჰო, ჩემო სიდნეი, მე და შენ ახლა ერთი და იგივე ვართ, მე და შენ ვართ
ახლა ამერიკა (ისინი ერთად მიდიან სულ უფროდაუფრო განათებულ გზაზე. თავისუფ-
ლების ქანდაკების ჩირალდანი აითვება და ირგვლივ ყველაფერი განათდება. ხმამალლა
მოისმის სიტყვები, თითქოს თვითონ თავისუფლების ქანდაკება ამეტყველდათ).

„აქ მომიყვანე შენი დაღლილი და დაქანცული
მღელვარე ბრბო, მოწყურებული თავისუფლებას,
ღორღნამუსრევი მაგ ბარაქიან სანაპიროთა...“

„აქ გამოგზავნე დევნილი და უსახლეარონი,
და ოქროს კარიბჭეზე მე აღვმართავ დიდ ჩირალდანს“.

სოფელი, ბერიქაცები, ჩემი გოგონა

შემოდგომაზე, როდესაც წვიმით
გაილუმპება ბერი ნაძვები,
საყარაულოს პატარა ფიცრულს
შიაშურებენ ბერიკაცები.
და შუა ცეცხლზე დაღმული ჭირკი
პატარავდება ზამთრის დღესავით.
ბერიკაცები ამბებს აფქვავენ,
სიმინდს წვავენ და დანებს ლესავენ.
და ფეხშიშველი ჩემი გოგონა
ბაბუას მუხლზე ზის და ტიტინებს, —
რატომ არა აქვს ფეხი იმ ბაბუს?
ფეხი, ბაბუა, როდის იტკინე...
თვალით ვანიშნებ, გაჩუმდი-მეთქი,
მოხუცმა ტანი ძლივსლა გამართა,
მიუალერსა ხელით პატარას, —
— ფეხი, ბაბუა, ომმა წამართვა.
... იმ ლუსკუმ ღამეს ჩემი გოგონა
უცხო ყვირილით ძილში წამოხტა;
დავამშვიდე და მივუალერსე:
— შვილო, რა იყო, შვილო, რა მოხდა?..
— ომი მოვკალი! — იყო პასუხი.

აქ, პორტის ახლოს...

აქ, პორტის ახლოს, მისაღომებთან
 მეთევზეები ბედს ისევ ცდიან,
 თევზებს ეძებენ მეთევზეები
 და დღეებს წყალში აგდებენ გზიდან.
 რატომ წყალობენ მეთევზეები?!
 (როგორ არ უნდა აგავსოს ბრაზმა)
 თევზებს ეძებენ მეთევზეები
 და წუთებს ასე კარგავენ გზა-გზა,
 ეჭე-ი, ჰე-ი, მეთევზეებო!
 (ნეტავი საით იცქირებიან)
 პატარა კენჭიც ვარდება ზღვაში,
 დიდი გემებიც იძირებიან.
 ეჭე-ი, ჰე-ი, მეთევზეებო,
 ასე თამამად ნუ მიხვალთ ზღვასთან.

ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣା ପୁ
କୃତିମନ୍ଦିରପାଇସନ୍ଦା

ԱՐԵՎԵՆԻԿԱ ԲԱՅԼՈՒԹՅՈՒՆ

პოლიტიკური სამინისტრო

1.

პოეზია ამ სიტყვის ფართო გა-
გებით მხატვრული ლიტერატურ-
ის სინონიმია, ვიწრო მნიშვნე-
ლობით კი იგი მხოლოდ ლექსითი
ხასიათის ნაწარმოებებს მოიცავს.
როდესაც ჩვენ პოეზის იდეური
სიწმინდის შესახებ ვლაპარაკ-
ობთ, ამ შემთხვევაში უმთავრეს-
ად ლირიკული ნაწარმოებები
გვაინტერესებს და არა საერთოდ
ლექსიად დაწერილი ნიმუშები.
ლირიკაც ლექსის ფორმაშია მო-
ცემული და თავისი მოცულობ-
ით მცირე ზომის ნაწარმოებებს:
გულისხმობს. მისი მცირე ზომა
ხელს არ უშლის შედევრების შე-
ქმნაში. ნ. ბარათაშვილის „მერა-
ნი“ მცირე ზომის ლექსია, მაგ-
რამ იგი მსოფლიო პოეზიის მარ-
გალიტია.

ପାରତୁଲ ଲିଟରାଟ୍ରୁରାଶି ଲି-
ରୋଫ୍ଫୁଲି ଶାନ୍ତି ମଧ୍ୟଦାମ ମଦଳାଗରାମ

ոյս թահմուղցը նոլո. ամ շանհւ չկացե ու յատո զլասովունց ծի, հոգ-ռորու ահօն տղօմթրան I, արհօնու, դաւոտ ցուրամօնցունո, ալյեյսանդ-րէ քաշուազց, ցրոցոլ ործելու-անո, նոյոլուն ծարատամցունո, ոլուս, սկայո, զայս; տանամյժրուց սածքուտա ձորջուանու ոց ամայոնք ցալայդուն թածուն, ցոռքու լցոննուն, ուսեց ցրոմանցունուս և սեցատա սաելցեցուտ. մատո Մշմո-յմեցեծ օմուն ճառու ճոմուն, տու հա դուն հոլուս Մշերշուլց-ծա թեշմուն սամոյեալույու լուրոյ-ս եսլուն տացուսոյցունուս և ամոռոյուցեծլոնուն լաւցուս սայ-իցնու. մատո թարմաբրեծ առեսենց մալալու մեսաթրուլու ութրաթոնուտ և ուրցուրու սոխանսալուտ. մշեծրու-լու լուրոյցուլու լյեյսեծ յոցուլ-տցուս նիրուն մզութեցուլց սա-եալուն սայմուսատցուս ցմուն լու ու տացուալց օմուս սոյլուցուեցուտ. յա-հուլու լուրոյցուս ամ քանսալ.



ტრადიციას აგრძელებს აჭარაში
მომუშავე ლირიკოსი მწერლების ძევლი და ახალი თაობა.

მაგრამ აქვე გარკვევით უხდა
ოთქვას, რომ ზოგჯერ მათ შემოქმედებაში თავს იჩენს იდეურ-
მხატვრული ხარვეზები,

ამ წერილში გვსურს ყურადღება გავამახვილოთ პოეზიის
იდეური სიწმინდისათვის ბრძოლის საკითხებზე.

2.

პოეტი ზურაბ გორგილაძე
უდავოდ თავისებური ხმის მქონე
შემოქმედია, მის პოეზიაში მოსა-
წონია სიტყვის პოეტური ძა-
ლის შეგრძნება, რაც ასე კარგად
გამოხატა მან თავის შესანიშნავ
ლექსში „სიტყვავ ბატონო!“ და-
უვიწყარია ამ ლექსის სიმართ-
ლით გაუღენთილი სტროფები:

სიტყვა ყაჩალი, სიტყვა ფირალი,
სამას წელიწადს ნაბორკილარი,
სიტყვა მურულავი, სიტყვა მსუსხავი
სამას წელიწადს ლვინო უსგამო.
ვაა, რაძეგნი რამ მოვგონო,
შენ, ქოჩახელას მწვანე ჭიბონო.

ზ. გორგილაძის პოეტური
სიტყვის ძალა კარგად არის ცო-
ბილი. იგი ღრმად არის გამოვ-
ლინებული ამ კრებულშიც.

ამეამად ჩვენ გვსურს მივუთი-
თოთ იმ ჩრდილოვან მხარეებზე,
რომლებიც კრებულში შეიმჩნევა.

ამ წიგნის ზოგიერთი ლექსი
სავსეა შინაგანი წინააღმდეგობე-

ბით, შეიცავს კარგსაც და ციფრული საც, ნათელ და ბუნდოვან აღგი-
ლებსაც. ამის სახელდახელო მაგა-
ლითად შეიძლება მოვიტანოთ
ლექსი „ბარათი“. აქ მითითე-
ბულია გზაზე, რომელიც ჯერ
კიდევ ბინდბუნდშია, მაგრამ
ავტორი ამ გზას მაინც მი-
ჰყვება, „მომავალი მწამსო“ —
გარკვევით ამბობს იგი. მომავ-
ლის რწმენა ერთობ მისასალმე-
ბელია, იდეური გაზრებაა, მაგ-
რამ ამავე ლექსში გვხვდება ასე-
თი ბუნდოვანი სტროფიც:

ყველა ქალი, ქალია და ქალი,
გაუმხელელ ცოდვითა და ბრალით
და ამართლებს ყველა ევას სისხლს.

ქალების მიმართ ასეთი განზო-
გადებული დასკვნა და მათზე
ბიბლიური ევას ცოდვების მიწე-
რა მხატვრულად და იდეურად
არამც თუ მატებს რაიმეს, პირიქ-
ით აუძლურებს მის ესთეტიკურ-
შემეცნებით ზემოქმედებას.

კარგი ლექსია „ბავშვობა“, მა-
გრამ აქაც გვხვდება მხატვრუ-
ლად გაუმართავი, ბუნდოვანი
სტრიქონები, ასე, მაგალითად,
პოეტი ბავშვობისდროინდელ მე-
გობარს სწერს:

ახლა სულ სხვაა ტირილი
და ცრემლის დაშრობა
და თუ ვიცინი... ისევ
შენს წილ სიცილს ვიცინი.

რასაკვირველია, შეიძლება
იცინო, აცინო, დასცინო, მაგრამ
სხვის მაგიერ?! ასევე მდარეა
ამავე ლექსის შემდეგი სტრიქ-
ონები:

სხვა სარეცელი ლეწაგს ახლა
ჩვენს რბილ ხერხებალს.
თუ ხერხებალია, არ შეიძლება
იგი რბილი იყოს, ხოლო თუ
რბილია, მაშინ მისი ლეწვაც არ
შეიძლება.

ფორმალიზმით გატაცების შე-
დეგია ასეთი გაუმართავი
სტროფი:

აქ ხმამაღლალი სიმღერა გვსურდა,
მაგრამ საოცრად ხმადაბალ ლილინს,
ობობას ხორჯლი მოქმნდა სულთან
და ხელისგულზე ჩნდებოდა ლინლი.

მთელი ეს სტროფი დაწერილია
მხოლოდ კლაუზელების გამართ-
ვის მიზნით, რათა „ლილინს“ შერი-
თმვოდა „ლინლი“. ობობას არა-
ვითარი ხორჯლი არა აქვს და ამა-
სთან, როდის იყო, რომ ხელისგუ-
ლზე ღინძლი ჩნდებოდა.

ასეთი ცალკეული გაუმართავი
ტაეპი თუ სტროფი სწორედ ფო-
რმალისტური გატაცების შედე-
გია. ხოლო ყოველგვარი ფორმა-
ლისტური გააზრება იდეურად
არაა მყარი, მტკიცე. ცალკეული
მუსიკალურად უღერადი ტაეპები
ვერ ფარავენ ლექსის სიცარი-
ელეს.

3.

ყურადღებას იპყრობს ემენ
დავითაძის ლექსების პირველი
კრებული „გზა მშვიდობისა“.
დადგებულია წიგნის დასაწყისი:

ისე დამეუფლე.
მშობლიურო მხარევ —
ალბათ შენზე უფრო
ვერვის შევიყვარებ.
ისე შევეფიც
შენს დარსა და ავდარს —

არ მსურს მივეფიცხო.
მზეს, შენი მზის გარდა.¹

იმვიათი გულწრფელობით ნა-
თქვამი სიტყვებია, პოეტურად
სრულყოფილი და იდეურად გამა-
რთული. ასევე საყურადღებო ლე-
ქსებია: „წაიყვანესო“, „თუ რამ
მავსებს, თუ რამ მალხენს“,
„მზის ამოსვლისას“, „მთებში გა-
ზაფხული ფეთქავს“, „ციხევ ხი-
ხანის“, „ლომთა წყარო“ და სხვ.
ამასთან ერთად მსურს მივუთი-
თო ავტორს, რომ მისი ზოგიერ-
თი ლექსი მხატვრულ-იდე-
ურად დაუხვეწავია. აქაც იგრძ-
ნობა აზრობრივი ბუნდოვნება,
ფორმალისტური ელემენტებით
გატაცება, ზოგიერთი გამომსახვე-
ლობითი საშუალების სიბლაგვე
და სხვა.

ფიროსმანის შესახებ ლექსში
პოეტი წერს:

მთები და მთები იდგნენ გარშემო,
შუა ბრწყინვდა ქვითკირის ლეში,
თითქმის ხივთი იგრძნება რაშემა,
დაურთხენ, შეცვიდნენ ჭიხვინთ
ტყეში.

თუ ქვითკირია, არ შეიძლება
იგი ლეში ყოფილიყო, ხოლო თუ
ლეშია არ შეიძლება ებრწყინა.
ლეშს არ გააჩნია ესთეტიკური
თვისებები. ან რა გამართლება
აქვს ასეთ სტროფს:

თაცე ზემოთ ისე იმატე წვიმაზ,
გარდა ჩამოსალინდა წვივად და
წვივად.

ვარდს კი შეიძლებოდა ჩამო-
სდენოდა წვიმა, მაგრამ რატომ
მაინცდამანც „წვივად და წვი-
ვად“ — ეს გაუგებარია, ანდა,

1 ე. დავითაძე, გზა მშვიდობისა, 1969.

თუ წვიმამ თავს ზევით იმატა, განა თავს ქვევით იკლებდა! ასე-თი გამოთქმები მხოლოდ მოხდე-ნილობისათვის არას გამიზნული და არა აზრის სიცხადისათვის.

სიტყვა „ღმერთს“ მოჰარბე-ბულად ხმარობს ლექსში „პოეტ-ის პორტრეტი“.

ღმერთივით სანდო,
ღმერთივთ ერთგული,
ღმერთივით ძლიერი ამასთან,
...ის სიტყვის ბელტია
და კიდევ ღმერთია.

ოღონდაც ჭვრცმული მამულთან.

გამოთქმები „ღმერთივით სან-დო“, „ერთგული და ძლიერი“, მეტად საჩითირო ალეგორიებია. პოეტის ამგვარი ფუნქცით დახატვა გაუმართლებელია. და თუ აშას დავუმატებთ, რომ ეს პოეტი „სი-ტყვების ბელტი“ ყოფილა, შაშინ გვექნება პოეტის სულ გაუფასუ-რებული პორტრეტი.

ე. დავითაძე მოუწოდებს აფ-რების აშვებისაკენ:

აუშვით აფრები,
მივენდოთ გრიგალებს,
და, გული შეპზაროს ანების
ზანზარბა,
მივიყარ,
მე უნდა შევასკდე იკაროსს
და ოვალით ვიწილო
სამყაროს გაბზარვა.

ქნელი წარმოსადგენია, თუ იკაროსს შემსკდარმა კაცმა როგ-ორ უნდა იხილოს „სამყაროს გაბზარვა“.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ წიგნის ანოტაციაში ნათქვამია, თითქოს ავტორი უმღეროდეს შრომას, მაგრამ შრომის გარდამ-ქმნელი ძალის შესახებ დიღს ვერაფერს მივაგენით პოეტის ამ

პირველ წიგნში. შრომის აპლიკაციაში გაი მართლაც რომ დიდებული აქვა, ხოლო მისი უგულებელ-ყოფა კრებულის ნაკლს წარმოად-გენს.

საჭიროა ჩვენი პოეტი უფრო ღრმად განიმსჭვალოს სინამდვი-ლის ჭეშმარიტი გაგებით და მა-ღალი მხატვრულ - იდეურობით ასახოს იგი თავის პოეზიაში.

4.

მოწონებას იმსახურებს ჯე-მალ ქათამაძის ლექსების კრე-ბული „ორი ქრიზანთემა“. ბე-ვრი კარგი რამ შეიძლება ითქ-ვას ამ კრებულის შესახებ. იგი ხასიათდება თემატიკური მრავა-ლფეროვნებით. ამასთან, ეს თე-მები დიდ და მნიშვნელოვან სა-კითხებს მოიცავს, აქტუალურია და მკითხველს ჩააფიქრობს ეპ-ოქის მღელვარე პრობლემებზე-პოეტს აწუხებს სამშობლოს ბე-დი, გმირების საქმიანობა, მათი უკვდავება, ნათლად არის გამო-კვეთილი დიდი ლენინის სახე, შემოქმედებითი შრომის პათოსი, გულწრფელი სიყვარული და სხვა. მოვიტანთ ზოგიერთ სა-ნიმუშო ადგილს. ლექსი „სამ-შობლოს“ დიდი პატრიოტული განცდით არის დაწერილი.

შენი ნათელი ცამრგვალი მწვაცეს და მთაზე მედგას ლურჯი კარავი. ისაც ვეტრიფოდ და ვინც მიყვარდეს, მხოლოდ შენ იყო, მეტი არავინ. ...მქონდეს იმედად, სიძლერის მინდად და მინათებდეს გულსა და პჭარებს, შენთვის ლამაზი სიცოცხლე მინდა, ლამაზ სიკვდილსაც გაუუღებ კარებს. ასეთი ლექსი შემოგვანაოებს

კრებულის პირველივე ფურცლიდან და ბოლომდე გასდევს ამ-გვარი პატრიოტული შემართება.

ერთობ საყურადღებოა ლექ-
სი „ლენინი ჩემს სოფელში“. ამ ლექსში იგრძნობა სოფლის შემოქმედებითი ცხოვრების დი-
დი მაჯისცემა.

ეს ლენინია, მზე ცათა შვიდის,
ყოველ სიხარულს ლენინი ბადებს.
ვით ოჯახე ღრმაა და დიდი
და მისი სიბრძნე გვამარტებს ცადვა,
...და ჩემს სოფელში ლენინი
ბრწყინავს
ჩვენი ამედი, ფიქრი და ზრუნვა.
და მე მგონია, ამ ძეგლის ირგვლივ
მთელი მსოფლიო ცვავის და
ბრუნვას.

ასევე საყურადღებოა ლექ-
სები „იური გაგარინის ხსოვნას“, „ბალადა ვასილ კიკვიძეზე“ და
სხვა მრავალი. ამ ლექსებში აშ-
კარალ მოჩანს პოეტის იდეური
სიჯასალე, მისი პარტიულ-პო-
ლიტიკური მრწამსი.

მაგრამ ეს კარგი წიგნიც არ არ-
ის დაზღვეული ზოგიერთი ნაკლი-
საგან. მოვიტანთ ამის რამდენიმე
მაგალითს.

პოეტს დიდად აწუხებს წარ-
მავლობის სევდა. რასაკირვე-
ლია ასეთი სევდა ადამიანური
მოვლენაა. ყველა ადამიანს ადა-
რდებს სიკვდილ-სიცოცხლის პრო-
ბლემა. ამ საკითხზე მუდამ დაფი-
ქრებული იყვნენ ჩვენი პოეტები.
ნ. ბარათაშვილი ხშირად გოდე-
ბდა იმის თაობაზე, „თუ რა არის
ჩვენი ყოფა წუთისოფელი“. ად-
ამიანს ყოველთვის აწუხებს ის,
რომ დაღგება დრო და აღარ ვი-
ქნებით. მაგრამ ზოგიერთები

ამ არყოფნას განიცდიან რეალურობას განვითარებას. ამ არყოფნას გორუ უდიდეს ტრაგედიას და სასოწარკვეთილებამდე მიღიან. საბჭოთა პოეტი კი საკითხს ოპ-ტიმისტურად წყვეტს, მისი ლექ-
სი ისეთი იმედიანია, რომ იგრძ-
ნობა ამ წარმავლობაში არის
რაღაც წარუვალი, რომ არსებო-
ბენ ცოცხლები მკვდრებს შო-
რის და ყველა იმას უნდა ცდი-
ლობდეს, რომ ცოცხალი
მკვდარს არ ემსგავსოს და ისეთ
რამ აკეთოს ქვეყნისათვის, რაც
მის ხსოვნას შემოინახავს ხალხის
მესსიერებაში.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა
არ ჩანს ჯემალ ქათამაძის ზო-
გიერთ ლექსში. მაგალითად,
ერთ უსათაურო ლექსში პოეტი
წერს:

და ვიცი მალე ქედგბზე მოთოვს,
დეკემბრის დარი უბერავს ცივად,
ჩემი ცხოვრება მაგონებს ფოთოლს,
გაყვითლებული ძირში რომ ცვივა.

მეორე ლექსში კიდევ უფ-
რო უიმედობის განცდა იგრძნო-
ბა. ლაპარაკობს ფოთოლის შე-
სახებ და წერს:

გაუშრა ძარღვში სიცოცხლის წვენი,
გაყვითლებული ძირს იხედება,
ასე ქვეყნად სიცოცხლე ჩვენი,
იმ ფოთოლივითი ჭენება და წყდება.

მოვლენის ჩეალური მყოფო-
ბა აქ სწორად არის გაღმოცემუ-
ლი. მართლაც, ჩვენი სიცოცხლე ჭენება, ქრება და თითოეულის პზე
სამუდამოდ ჩადის. მაგრამ ისიც
ხომ ცნობილია, რომ ჩვენი დიდი
კლასიკოსები სხვაგვარად წყვეტდე-
ნენ ამ საკითხს. ახალგაზრდა საბჭ-

ოთა პოეტი დასახელებულ ლექსს
კუნიბის ფიქსაციით ამთავრებს,
სხვას ვერაფერს ხედავს, ხოლო
ჩიკოლოზ ბარათშვილი წერდა:
„საღამოს მისთვის შთავიდე, რომ
დილა უფრო ვაცხოვლო“. აი ეს
დიდი პერსპექტივა არ ჩანს ჯე-
მალ ქათამაძის დასახელებულ
ლექსში.

ჩვენ ამით ვამთავრებთ ამ პა-
ტარა მიმოხილვას. დასახელებუ-
ლი პოეტები ძირითადში სწო-
რად ასრულებენ თავიანთ როლს
ადამიანთა სულის აღზრდის სა-
ქმეში, მაგრამ ამასთან ერთად

მათ პოეზიას ახასიათებს ჩრდილოებული მხარეები, რომელთა
თავიდან აცილება შეიძლებოდა, რომ რედაქტორებსა და ავტო-
რებს შორის უფრო მეტი ურ-
თიერთდახმარებისა და თანამშ-
რომლობის ატმოსფერო იყოს.

ჩვენი ვალია, მთელი შემოქმე-
დებითი ძალების დარაზმეა და
კომუნისტური პარტიულობის
პრინციპის მტკიცედ გატარების
საფუძველზე დიდი შემოქმედე-
ბითი აღმავლობის უზრუნველ-
ყოფა.



ზეგაბ თანამდებობი

ლაზური საისტორიო ლექსეგი

საისტორიო თემატიკაზე შექ-
მილი ლაზური ზეპირსიტყვიერი
ნაწარმოებები კონკრეტულ ის-
ტორიულ მოვლენებთან არის
დაკავშირებული. მათი მეტი ნაწი-
ლი საქართველოსაგან ლაზეთის
ჩამოშორებისა და გამაპმადია-
ნების მომდევნო პერიოდს განე-
კუთვნება.

ყოველი დაპყრობილი ქვეყნის,
მათ შორის ლაზეთის მიმართაც
ოსმალთა ძირითადი მიზანი მო-
სახლეობის გათურქება და მისი
საბოლოოდ დამორჩილება იყო.
ამ პოლიტიკის ინტენსიური გატა-
რება ლაზეთში მე-16 საუკუნეში
დაიწყო. მომდევნო პერიოდი ლა-
ზეთის ისტორიაში მნიშვნელოვანი
მოვლენებით ხასიათდება. ადგი-
ლი აქვს აჯანყებებსა და ნაციონა-
ლურ-გამათავისუფლებელ მოძრა-
ობას დამყრობლური პოლიტი-
კის წინააღმდეგ, მაგრამ სულთან-
თა ხელი სასტიკად უსწორდებო-

და ლაზების ყოველგვარ წინააღ-
მდეგობას.

მაჩმადიანობაზე მოქცევისა და
ოსმალთა ძალაუფლების განმტკი-
ცების შემდეგ ლაზები „ბედს და-
მორჩილდნენ“, მაგრამ ხსნისა და
თავისუფლების იმედი მათში არა-
სოდეს ჩამკვდარა. ეს კარგადაა
ნაჩვენები პირველი მსოფლიო
ომის შედეგად ოსმალებული ლაზე-
თის შემყურე ლაზის მიერ შეთხ-
ულ ლექსში, რომელიც დატი-
რების ლაზურ ტრადიციულ პო-
ტივზეა აგებული. მოქმედი მწა-
რედ განიცდის მშობლიური მხა-
რის ძნელებობას, მის ტრაგი-
კულ მდგომარეობას და ლრმა ლი-
რიზმით ამბობს:

ა-ურ ნენა გიწუმერ,
ღოჭარი, ჭუმა ჩქიმი!
ბერე-ბარი ეჭკოდეს,
მუკო პათ, ჭუმა ჩქიმი?
ნანე ბერეს უჭოხოდს,
ვარ ძირობს, ჭუმა ჩქიმი!
აშო დარმა-დაღანი
ღოვიყვით, ჭუმა ჩქიმი!

ნე ოხორი, ნე კერა,
სო ვიდათ, ჯუმა ჩქიმი?
ჩქინ აშო მგარინერი
გოულუთ, ჯუმა ჩქიმი,
ჩქინ იმდათი მი მაყვან,
ვარ მიჩქინ, ჯუმა ჩქიმი!
ხოლო ჩქინი იმდათი,
თქვან იყვით, ჯუმა ჩქიმი!
არ შური ეშახთასენ,
ვარ დებთუ, ჯუმა ჩქიმი!
ანწირი მუჰარებელ
მუ იყუ, ჯუმა ჩქიმი!!

ერთ-ორ სიტყვას გეტყვი
და დასწერე, ჩემო ძმაო!
ბავშვები სულ ამოწყდნენ,
როგორ ვქნათ ჩემო ძმაო?
დედა შეიღს უძახის და
ვერ ხდაგს, ჩემო ძმაო!
დაშლილი, დაფანტული, —
ასე ვართ, ჩემო ძმაო!
არც სახლი და არც კერა
არა გვექვს, ჩემო ძმაო!
ჩვენ ამგვარად მტირალი
დავდივართ, ჩემო ძმაო!
მხარში ვინ მოგვიდგება,
არ ვიცი, ჩემო ძმაო!
მხარში ამოგვიდექით
ისევ თქვენ, ჩემო ძმაო!
სული უნდა ამოგვხდეს,
რალა ვქნათ, ჩემო ძმაო!
აი, წლევანდულ ომში
რა მოხდა, ჩემო ძმაო!

ასე ახასიათებს მთქმელი მრის-
ხანე ომის ქარცეცხლში გახვეულ
სამშობლოს მდგომარეობას და
შველას ითხოვს, მაგრამ ამით
როდი კმაყოფილდება. მთქმელმა
კარგად იცის, რომ მის წინაშეა
ლაზეთის წარსულით, აწყუოთი
და მომავლით დაინტერესებული
ქართველი მეცნიერი იოსებ ყიფ-

შიძე.² მთქმელი მას „ჩემო ძმაო ბეჭედის მიმართავს და ქვეყნის ჭირ-ვა-
რამის გაცნობის შემდეგ იშველი-
ებს წინაპართაგან მემკვიდრეო-
ბით მიღებულ ცოდნას ქართველ
ტომთა ნათესავობისა და ისტორი-
ული ურთიერთობის შესახებ:

გურჯისტანის დიდო რენ
არქადაშეფე ჩქინი!
გურჯისტანის რენან-ი
ნოსერი ჯუმა ჩქინი?
მჯვეში გურჯიშენ მოხთეს,
გიჩქინი, ჯუმა ჩქინი!
ჩქინ გოჭკონდინერი ვორეთ,
მჯვეშური ჯუმა ჩქინი!
ლაზი, გურჯი, მეგრელი —
ორელითი ჯუმა ჩქინი!
თურქიქ დომჭვეს, დომხალეს,
ამბაი ვარ გიჩქინი!..³

საქართველოში ბევრია
ჩვენა ამხანაგები!
საქართველოში არიან
ჩვენი ჭკვანი ძმები?
ძველ ქართველთა მოდგმა ვართ
თუ იცი, ჩემო ძმაო?
დავიწყებულები ვართ ჩვენ,
ჩვენი ძველო ძმაო!
ლაზი, ქართი, მეგრელი, —
ჩვენი ძმები ყველანი!
თურქმა დაგვწვა, დაგვდაგა,
შენ არ იცი ამბავი?

ამასთან ერთად ლექსში სინანუ-
ლი და საყვედურიცაა გამოთქმუ-
ლი.

ჩქინ თქვანი ნამუ ვორეთ,
აწიშა ვარ მიჩინით..
დიდო ბგორით მჯვეშეფე,
ალანი ვარ ვიჩინით.⁴
ჩვენ კი თქვენი ვინა ვართ,
აქმდე ვერ გიცანით

2 პროფესორი იოსებ ყიფშიძე 1917 წლის ზაფხულში მივლინებული იყო ლა-
ზეთში ლინგვისტური კვლევის მიზნით.
3 ი. ყიფშიძე, ჭანური ტექსტები, 83. 20.
4 იქ 3 ე.

გევრები ქველნი ვინატრეთ,
ახლები ვერ ვიცანით.

მაგრამ მთქმელი პესიმიზმს არ
ეძლევა, მისი სიტყვით, დედასამ-
შობლომ კვლავ ხელი უნდა
გაუწოდოს და შეიფაროს მისი
ღვიძლი ძმა.

ლექსი თავიდან ბოლომდე
პატრიოტიზმის ღრმა გრძნობით
არის გაუღენილი. მასში მშობ-
ლიური ქვეყნისა და ხალხისადმი
უსაზღვრო სიყვარულია გამოხა-
ტული. საგულისხმოა, რომ მთქმე-
ლის ეროვნული თვითშეგნება და
პატრიოტიზმი არ იფარგლება
ვიწრო ჩარჩოებით. ლაზები, ქარ-
თები, მეგრელები, ყველაზი
ძმები ვართო. — ნათქვამის ლექ-
სში და კარგადაა გამოხატული
ქართული ეროვნული ერთიანო-
ბის ის საერთო იდეა, რომელიც
ქართველმა ტომებმა თავიანთი არ-
სებობის მრავალსაუკუნოვანი ის-
ტორიის გრძელ მანძილზე გამოი-
მუშავეს. ამ მოტივით ლექსი
ძვირფას ფურცელს ქმნის არა
მარტო ლაზურ ხალხურ პოეზი-
აში, არამედ იგი თავის წმინდა
ადგილს პოულობს საერთო ქარ-
თულ ფოლკლორულ შემოქმედე-
ბაშიც.

უთვისტომოდ, უცხო ეროვ-
ნულ და პოლიტიკურ გარემოც-
ვაში მყოფ ლაზთავის მუდამ სა-
ნუქვარი იყო მოძმე ტომის წარ-
მომადგენლებთან შეხვედრა. თუ
არ მივიღებთ მხედველობაში ოს-
მალეთის მთავრობის მოხელეებს,
უანდარმებსა და აგენტებს, ლა-
ზეთში ჩასულ ქართველ მკვლე-

ვარებს ლაზები აღფრთოვანებით
ხვდებოდნენ. 1917 წელს ლაზეთ-
ში მყოფი ოფიცერი დ. კლდიაშ-
ვილი, რომელიც იმ ღროს ლა-
ზეთში ჩასულ ი. ყიფშიძეს შეხ-
ვდა, წერს: „იგი (ი. ყიფშიძე —
ზ. თ.) მოვიდა სოფ. ვიწედან ფე-
ხით. იგი მოგზაურობდა ლაზისტა-
ნში ჭანურ-მეგრულის შესწავლის
მიზნით. მთხოვა მომეხმო ადგილ-
ობრივი მცხოვრებნი, რომ მათგან
ჩაეწერა ლექსები, ზღაპრები,
თხზულებანი. მოვიხმე თავდა-
პირველად მოხუცი მუსტაფა. მუსტაფას
ხან ქართულად, ხან მეგრულად გამოელაპარაკა; გუ-
ლიანი მუსაიფი გააძეს... გავსწი-
ეთ ზღვის ნაპირზედ დუქნებისა-
კენ. აქ გამოვატანინე მაგიდა,
დავაჯინე იოსები, მოვუსხი ლაზე-
ბი და გაიმართა საუბარი. ლაზე-
ბი გაკვირვებას იყვნენ ი. ყიფ-
შიძის ლაზური კილოვავების ზედ-
მიწევნით ცოდნით... შეყრილი
ხალხი ისე დააინტერესესა, ისე ჩა-
იყოლია, შეახალისა, რომ პირდა-
პირ საყურებელი სურათი იყო:
გატაცებული მეცნიერი ამოძრა-
ვებულ ხალხს შორის“.⁵

ისტორიული ეროვნული თვალ-
საზრისით საინტერესოა აგრეთვე
ექსპრომტული ლექსი, რომლითაც
ი. ყიფშიძეს მიმართეს ხოფელმა
ლაზებმა:

სი ხოფაშა-ნა მოხთი,
ხოშ მოხთი, სეფა მოხთი,
პოტე დოგაჭინდუი,
ეკო დ ერის-ნა გოხთი?!
ჩქინ გურის მემაჭვეს-ჩქვა,

5 დ. კლდიაშვილი, მემუარები, თბ.,
1932, გვ. 358-359.

სინა აქშალა მოხთი,
ჰელბეთ მუთუ ივასენ,
ცუდიში ჩეა მუ მოხთი.
ჩინ გყორობთ, სი ვა მყოროფთ;
აქშალა მუჭო მოხთი?!
ლაზიშ ნენა მოგწონს-ი
სინა აქშალა მოხთი?
ხოფაში რომ მოხვედი,
მოსვლა იყოს კეთილი,
ამდენი რომ იარე,
იქნებ კი ხარ დაღლილი?!
გეოცოდები, რომ განვლე
შენ ახელა მანძილი,
ალბათ საქმე გექნება,
ტყულიდ არ ხარ გარჯილი.
ჩვენ გვიყვარხარ, შენ თუ გაქვს
ჩვენდამი სიყვარული?
აქმდე რომ მოხვედი,
მოგწონს ცნა ლაზური?!

ანალოგიურია 1910 წელს ლაზეთში ნ. მარის ჩასვლასთან
დაკავშირებით გამოთქმული ლექსი:

ხელა დო კაობათე,
სოლემოგალუ, მარი?
ვა ბძირი სქანისთერი
ჭიათურალი, ნოსიარი.
ნა არიჭი იშ ხოგა რე,
ენ დიდი ჰეშო ვარი?
ჯუმანიდან ლუმჯიში—
ქის ბითენ ლაზური ჭარი.
ნამ კირალიშ კოჩი რე?
არ ია გამამისვარი!
დაღიში კოჩი რე,
დოქსე თა-მჩხენ ნოღარი?
რუსიშ კოჩი სი რე-ნა,
პიჯი ვარ გიღუნ სარი,
აწიშ-ქულე თქ ჭან-კალა
ბორტათენ კაჭარარი,
ლაზური ნენაფეთე
ქითბეფე დოსვარი...⁷
სიკეთე-სიხარულით,
საიდან მოსულხარ, მარი?

6 ი. ყიჯშიძე, ჭანური ტექსტები, გვ. 19.
7 H. Marr, Грамматика чеченского
(лацкого) языка, 1910, გვ. 109.

ვერვინ ვნახე შენსავით
მოაზროვნე, ჰევიანი.
განსწავლული ხოგა ხარ
დიდი, აგრე არ არია?
ლილიდან საღამომდის
მუდამ წერე ლაზური.
რომელი მეფის კაცი ხარ,
ზუსტად მითხარ ყოველი.
მთიელი კაცი ხარ, თუ
მსხვილთავა ქალქელი?
თუ შენ რუსი კაცი ხარ,
სახე არ გაქვს ყვითელი,
ამის შემდეგ მე და ოქვენ
ვიქენებით მეგობრები.
ლაზურ მეტყველებაზე
დაახვავე წიგნები...
ან კიდევ მეორე ექსპრომტუ-
ლი ლექსი მარისადმი:
იდა-ის პეტრეპოლის
ოკითხაფარე დერსი,
სი ჰექ იკითხაფი დო
ჩენი ჰაქ ბოგნათენ სერსი.
ლაზურიში ლოგურუს
დიდო გიღუნ ჰავესი,
არ ლაზი მენდიონი,
უხენი-დო კა ტესი,
ბერეფეს იკითხაფუს
დიდო უკორემს სესი.
თიშე შაპკა დოდვი დო
მუშენ გეითვი ტესი?
აგაფ ნახა კაი რენ,
შაპკა დო ჭითა ფესი?
მუსლიმანი დივი-ნა.
ვარ ეჭოფუმ აბდესი,
ქითაბი მომინჯლუნი,
ჩეუნ მიღუნან ჰავესი.
ლაზური ვარ გიჩქირტუ:
მიქ გოკითხაფუ დერსი?
ვიწეშე პეტრეპოლის
ნაკო ივასტუ ვერსი?⁸

წახვალ პეტრეპოლში და
კვლავ დაიწყებ სწავლებას,
შენ მათ იქ ასწავლე და
ჩვენ აქ გავიგონებთ ხმას.

8 ი ქ 3 9, გვ. 108.



ლაზურის სწავლისადმი
ინტერესი დიდი გაქვს,
აქედან ერთი ლაზი
წაიყვანე წასკოლისა,
დიდი ჯაფა სჭირდება
პატარების სწავლებას.
ქუდი მოიხადე და
რად დაიხურე ფესი?
ნეტავი რომელი სჯობს,
ქუდი? წითელი ფესი?
მუსლიმანი თუ გახდი,
რად არ აიღე აბდესი?
წიგნი გამომიგზავნე,
ჩვენცა გვაქვს ინტერესი.
ლაზური არ აცოდა,
ვინ შეგასწავლა დერსი?¹⁰
ვიწერან პეტრეპოლამდის
რამდენი არის ვერსი?

დიდად საგულისხმოა სიტყვები:
„წიგნი გამომიგზავნე, ჩვენცა
გვაქვს ინტერესიო“. 6. მარი ღლ-
ნიშნავს აგრეთვე, რომ მას ლაზე-
ბმა სთხოვეს: ლაზური ენის გრა-
მატიკას რომ დაწერთ, გამოგვიგ-
ზავნეთ, თუნდაც რუსულ ენაზე
და მას ჩვენ ვათარგმნინებთ კონს-
ტანტიინოპოლიში.¹¹

მშობლიური ლაზურ-ქართული
წიგნებისადმი ლაზთა ინტერესი
მეტად დიდია. აქ საკმარისია მო-
ვიტანოთ ერთი საინტერესო ამბა-
ვი, რომელიც გრიგოლ გურიელს
ზ. ჭიჭინაძისთვის უამბნია: ლაზე-
თში ლაზებისათვის ვიღაცას შიუ-
ტანია მარი ბროსეს მიერ ფრან-
გულ ენაზე გამოცემული „ქართ-

⁹ აბდესი — წყლის პროცედურა, გან-
ბანვა მუსლიმანური ლოცვის (ნამაზის) წინ.

¹⁰ დერსი — გავვეთილი.

¹¹ Н. Марр, Из поездки в Турец-
кий Лазистан, ИИАН, № 7, СПБ,
1910, გვ. 629.

ლის ცხოვრება“ და ვახუშტი და მარტოველის გეოგრაფია“. 1892 წელს ფრანგული ენის კარგი მცოდნე სამი ლაზი ჩამოსულა ბათუმში, რომ ზემოალნიშნული წიგნები ეშოვნათ. ისინი ჯერ ჭო-
ბულეთში ჩასულან გულო-აღა კა-
იკაციშვილთან, რომელსაც ეს ლა-
ზები იმ დროს ბათუმში მყოფ
გრიგოლ გურიელთან გაუგზავნია.

თავიანთი ისტორიით, ეროვნუ-
ლი ვინაობით, ქართველ ტოშებ-
თან ისტორიული და ეთნიკური
ნათესაობით დაინტერესებულ
ლაზებთან საუბრით აფრითოვანე-
ბულ გრიგოლ გურიელს მათთვის
მიუცია მარი ბროსესა და ვახუშტ-
ის ნაშრომები, აგრეთვე ფრან-
გულ ენაზე დაბეჭდილი სხვა წიგ-
ნები.

ლაზები დიდად კმაყოფილი და-
ბრუნებულან.¹²

ზ. ჭიჭინაძე მოგვითხრობს აგ-
რეთვე, რომ გასული საუკუნესი
80-იან წლებში იგი ბათუმში შეხ-
ვდა რამდენიმე ლაზს. მათ შორის
ქართული ენის კარგი მცოდნეც
ყოფილა. დიდხანს უსაუბრიათ და
ლაზებს თხოვნით მიუმართავთ ჭი-
ჭინაძისათვის: „დიდის გულმოღ-
გინებით დამვალეს და მთხოვეს
კილეც შემდეგი: თუ შეიძლება შე-
გვატყობინეთ, თუ როცა ოსმალი
მოსულან ლაზისტანში, მაშინ რო-
გორ მოხდა, რომ ჩვენ და მეგრე-
ლები ერთმანეთს დავცილებუ-
ლვართ, ოსმალებს ჩვენ გამოუ-
რეკივართ აქეთ, თუ მეგრელები

¹² ზ. ჭიჭინაძე, ლაზისტანი, გვ. 45-46.

გაურეკიათ იქით? ამის გაგება ღიდად გვინდოდა ჩვენ და იშედი გვაქვს, რომ ამ დავალებას შევისრულებთ, მობრძანდებით ჩვენსას და გვიამბობთ ამ ამბავსო".¹³

მრავალი ანალოგიური მასალის მოტანა შეიძლება ლაზური ფოლკლორიდან. გვაქვს ლეგენდები, თქმულებები, ისტორიული ვადმოცემები, რომლებშიც ასახულია ლაზთა ბრძოლა საკუთარი მეობისა და ეროვნული ოვითმყოფობისათვის. „ბრძოლებში დამწვარი“ ლაზების შესახებ ერთ ლექსში ნათქვამია:

დიდო ჰერსლი ივენ ლაზიში კოჩი.
გინძნ-ნა დაჩხურის ქომეშატკოჩი.
გინძნ-ნა მარტინი გორენქსის ნოტკოჩი,
გეგაფერი რენან კავლის ჭვერეფი.¹⁴
ლაზები ძლიერ ფიცხი ხალხია:
თუ გინდა იგი შეაგდე ცეცხლში,
გინდ მკერდში სტყორცნე ქარიყლაპია,
შეჩვეული არიან დამწვარნი
ბრძოლებში

სიფიცხესთან ერთად ლექსში ხაზგასმულია ლაზისათვის დამახა-
სიათებელი სხვა ოვისებები:

ამა ერლულით მოწყი ქუდი,
ილლა მოთ უწუმერ დუბარა მცუდი!
ქიბირი ვა რენან, ტესკოთი, ქთურდი,
ალჩალი უდუნან ჰეშო გურეფი.¹⁵
კეთილი ზრახვით კი მოხადე ქუდი,
არასდროს უთხრა თვალთმაქცური
ტყუილი!

არ არიან ამაყნი, ბოროტნი, ქურდნი,
თავმაბალნი არიან და გულმართალნი
ლაზურ საისტორიო სიტყვიერე-

13 იქ 3 ვ; ვგ. 41-42.

14 სსრკ მცნიერებათა იყადების არ-
ქივის ლენინგრადის განყოფილება, ფონ-
დი 800, აღწ. 1, № 1941, ფურცელი 84.
იხ. იგრეთვე: II. Marr, ერაკო გამა-
ნის ენა (ლაზეთი) ენა, გვ. 109

15 იქ 3 ვ.

ბაში გვხვდება უფრო აღრინდელ
პერიოდთან, კერძოდ, საქართვე-
ლოს ისტორიის ბრწყინვალე ეპო-
ქისთან დაკავშირებული ხალხური
საისტორიო ნაწარმოებები. ასეთი
ნაწარმოებები ძირითადად სახე-
ლოვანი ქართველი მეფე ქალის-
თამარის სახელთან არის დაკავში-
რებული. ეს ნიმუშები კიდევ უფ-
რო ამდიდრებენ თამარ მეფეზე
არსებულ ნაწარმოებთა ციკლს,
რომელიც წარმოადგენს „ყველა-
ზე დიდს, მრავალფეროვან და უა-
რთოდ გავრცელებულ ციკლს უძ-
ლიერები ქართული ფეოდალური
მონარქიის ხანასთან დაკავშირე-
ბულ ნაწარმოებთა შორის“.¹⁶

სპეციალურ ყურადღებას იშვა-
ხურებს მე-17 საუკუნის ცნობი-
ლი თურქი ისტორიკოსის ევლია
ჩელების მიერ ლაზეთში ჩაწერი-
ლი ლექსი, რომელიც მოცემულია
მისი „მოგზაურობის წიგნის“ მე-
ორე ტომში.¹⁷ ამ ლექსს განსაკუთ-
რებული მნიშვნელობა ეძლევა იმ
მხრივაც, რომ იგი პირველ ლა-
ზურ ფოლკლორულ ჩანაწერს წა-
რმოადგენს და სამი საუკუნის ის-
ტორია აქვს. ლექსი, გარდა თავი-
სი შინაარსისა, გარკვეულ ინტე-
რესს ქმნის ლინგვისტური თვალ-
საზრისითაც, მაგრამ მისი სიტყვი-

16 ქ. სიხარულიძე, ქართული ხალ-
ხური სასტორიო სიტყვიერება, I, თბ.,
1961, გვ. 24.

17 ევლია ჩელები, მოგზაურობის წი-
გნი (თურქ. ენზე), II, სტამბოლი, 1897.
იხ. აგრეთვე, ევლია ჩელების „მოგზაუ-
რობის წიგნის“ ქართული თარგმანი,
ნაკვ. 1, 1971, გვ. 92 (თურქულიდან თა-
რგმნა, კომენტარები და გამოკვლევა და-
ურთო გიორგი ფუთურიძისებრ).

ერი მასალა ლაზურის ლექსიკურ
ფონდის ზუსტად არ ემთხვევა და
ლექსის შინაარსი გაუგებარია.

ლექსთან ერთად ევლია ჩელეპი
საინტერესო ცნობებს იძლევა ლა-
ზებისა და ლაზურის შესახებ. ჩე-
ლების ამ მასალებს სპეციალური
გამოკვლევა მიუძღვნა პროფ.
ს. ჯიქიამ.¹⁸

ლაზური მეტყველების თავისე-
ბურებით გაკვირვებულ ევლია ჩე-
ლების მიერ ლექსი არაბული
ტრანსკრიფციით არის ჩაწერილი.
ტექნიკური მიზეზების გამო აღნი-
შნული ლექსის არაბული ტრანს-
კრიფციით აქ მოტანა შეუძლებე-
ლია. ამიტომ ამ ლექსს მოვიტან
ს. ჯიქიას მიერ შესრულებული
ტრანსლიტერაციით:

თუ/ო/ნ ზარილუ/ო/ნ თაბინჩ/ჟ/არუ/ო/ნ
თუ/ო/მუ/ო/რ უ/ო/ნდა ფალიფარუ
აფხაზიგ/ე/ა ღუბა/ღოხა თუ/ო/ნა
ქფხა ფაის თო/უ/ხმამუ/ო/.¹⁹

ჩელების სიტყვით, ეს ლექსი
„ჩიჩუ“ და ჭლათა (ჩხათა, ჭლეთა,
ჩეთა) ლაზების ერთ-ერთი ძვე-
ლი, მივიწყებული ლექსია და ლა-
ზიკელთა ენაზე.²⁰

იბადება კითხვა: ვინ არიან „ჩი-
ჩუ“ და „ჭლათა“ (ჭლათა, ჩლეთა,
ჩლათა), ლაზები? არის თუ არა მა-
თგან ჩაწერილი ლექსი ლაზური?

ევლია ჩელების „ჩიჩუ“ და
„ჭლათა“ ლაზურ ტომებად პყავს

18 ს. ჯიქია, ევლია ჩელები ლაზებისა
და ლაზურის შესახებ, იბერულ-კავკასი-
ური ენამთეცნიერება, VI, თბ., 1954..

19 იქვე, გვ. 253.

20 ევლია ჩელების „მოგზაურობას წი-
გნი“, ქართული თარგმანი, ნაკ. I, 1971,
გვ. 92 (თურქულიდან თარგმნა გიორგი
ფუთურიძემ).

მიჩნეული. ისტორიულად ასეთი
ტომები ცნობილი არ არიან. ს. ჯი-
ქია უარყოფს „ჩიჩუსა“ და „ჭლა-
თას“ ტომობრივ სახელებად ჰიჩ-
ნევას და გვარებს უკავშირებს
მათ: „ჩიჩუ“-ს მიიჩნევს ჩიჩუად,
ხოლო ჭლათა//ჭლეთა, ჩეთა//ჩხა-
თა-ს — ჩეტიად.²¹

„ჩიჩუს“ ჩიჩუად, ხოლო „ჭლა-
თას“ ჩეტიად მიიჩნევს აგრეთვე
გ. ფუთურიძე.²² ეს შესაძლებელია
და საქმიოდ სარწმუნოც. ლაზეთ-
ში ქართულ-ლაზური გვარები ჯერ
კიდევ ბევრს ახსოვს. ასეთებია:
ხეცია, კელენჯერიძე, ჩხეიძე, ფან-
ცუფეში (იგვე: ფანცულაია), პა-
ტარაია, ნარაკია, ჩიჩუა და სხვ.
მაგრამ არსებობს ჩელების შეირ
მოტანილი „ჩიჩუ“ და „ჭლათა“
სახელების სხვაგვარი ინტერპრე-
ტაციის შესაძლებლობაც. ჩვენი
ვარაუდით, ჩელებისეული „ჩიჩუ“
და „ჭლათა“ შეიძლება არც ტო-
მობრივი სახელები იყოს და არც
გვარები. ისინი შეიძლება გავიკოთ
ამა თუ იმ კუთხის ლაზთა (თუ
მთელი გვარის) მეტსახელებად,
შერქმეული მეზობელი ლაზები-
საგან.²³ ცალკეული პირებისა და
მთელი კუთხის მცხოვრებთა ში-
მართ მეტსახელები ლაზეთში, ისე
როგორც საქართველოს სხვა კუ-

21 ს. ჯიქია, ევლია ჩელები ლაზებისა
და ლაზურის შესახებ... გვ. 248-249.

22 ევლია ჩელების „მოგზაურობას
წიგნი“, ქართული თარგმანი, ნაკ. I, თბ.,
1971, გვ. 92.

23 ს. თანდილავა, ლაზური ზეპირსატ-
ყვიერების კვლევის ისტორიიდან, საქარ-
თველოს სსრ შეცნიერებათა აკადემიის
ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტი-
ტუტის „შრომები“, II, 1962, გვ. 86.

თხეებში, ძლიერ გავრცელებულია. „ჩიჩუ“-ს ოგონოც მეტსახელს ასახელებს თვითონ ევლია ჩელებიც. ტრაპიზონისა თუ მისი სანახების მცხოვრებთა მეტსახელებს შორის ევლია ჩელების მოცემული აქვს „ჰაჯი ჩიჩუ“.²⁴

საბოლოოდ ოგორიადაც არ უნდა გავიგოთ „ჩიჩუ“ და „ჭღათა“ სახელები, ე. ი. ს. ჯიქიას ახსნას მივიღებთ, თუ ჩეკნს ვარაულს გავიზიარებთ, ეს სახელები მაინც ცალკე ტომები არ არიან და არც რამე მიუთითებს იმაზე, რომ მათი მეტყველება განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, ან საერთოდ ლაზურისაგან. ამას თვითონ ჩელების სიტყვებიც ამტკიცებს, რომ ლექსი „ჩიჩუ“ და „ჭღათა“ ლაზებს შორისაა ჩაწერილი და „ლაზიკელთა ენაა“.

ევლია ჩელების ძლიერ გასჭირებია ლაზური ენობრივი ნიმუშების ჩაწერა და საყვედურის კოლოთი ამბობს: „ლაზიკელთა ენა კალბს არ ემორჩილება, არ ჩაიწერება, ძლიერ უცნაური ენაა“.²⁵

ს. ჯიქიას აზრით, ევლია ჩელების ჩივილი სავსებით სწორი და მართებულია. ლაზური სიტყვიერი მასალის გადმოსაცემად ევლია ჩელები შეზღუდულია თავისი არაბულ - თურქული სატრანსკრიფციო ნიშნებით. რიგი ლაზური თანხმოვანებისათვის, მაგალითად, მკვეთრებისათვის, აგრეთვე რამ-

დენიმე აფრიკატისათვის თურქულს არავითარი ნიშანი არ გააჩნია. გარდა ამისა, ლაზური მრავალთანმოვნიანობა თურქულისათვის სავსებით უჩვეულოა ისევე, ოგონოც ლაზურ თანხმოვანთა ბუნებრივი კომპლექსები ძნელად წარმოსათქმელია თურქისათვის“.²⁶

ს. ჯიქია მიუთითებს აგრეთვე, რომ თურქეთში ევლია ჩელების მეცნიერული მემკვიდრეობა ჭერ კიდევ კრიტიკულად შესწავლილი არ არის, და აქვე იმოწმებს აკად. ვ. ბართოლდის სიტყვებს, რომ ევლია ჩელების ნაშრომთა კონსტანტინოპოლის გამოცემა კორექტურის მხრივ სრულიადაც არ არის სანდო.²⁷ ს. ჯიქია ბოლოს დასკვნის: ჩელების წიგნში მოთავსებული „ლექსი რომ ლაზურია, მის რომელიღაც კილოკავზე ჩაწერილი, ეჭვს არ იწვევს“. მაგრამ თუ ჩვენთვის შინაარსის გაგება მაინც ძნელდება, ამის მიზეზი ის არის, რომ „ევლია ჩელების მიერ ჩაწერილი ეს ლაზური ლექსი დიდი დეფექტებით უნდა იყოს ჩვენამდე მოღწეული, ჭერ ერთი იმიტომ, რომ მის ჩამწერს ძლიერ უჭირდა ლაზური სიტყვების აღჭმა, მეორე — მას ჰქონდა ამისათვის ძლიერ დეფექტური სატრანსკრიფციო საშუალება, მესამე — ორიგინალიდან გადმოწერილია

24 ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკ. 1 (ქართული თარგმანი), გვ. 84. 25 იქვე, გვ. 92.

26 ს. ჯიქია, ევლია ჩელები ლაზებისადა ლაზურის შესახებ... გვ. 253. 27 იქვე.



შეცდომებით და, ბოლოს, ცუდად აქვს გაკეთებული კორექტურა“.²⁸

ს. ჯიქია იძლევა ლექსის ზოგიერთი სიტყვის ახსნას, რის საფუძველზედაც იქნება შთაბეჭდილება, რომ ლექსის შინაარსი მეოუგზეობასთან არის დაკავშირებული.

ლაზური ხალხური პოეზია საკმაოდ მდიდარია მეთევზეობის თემატიკაზე შეთხზული ლექს-სიმღერებით. ევლია ჩელების მიერ ტრაპიზონში ლაზებისაგან თურქულ ენაზე ჩაწერილი ლექსიც მეთევზეობას შეეხება.

თრაპიზონი ხერუმუზ,
ახჩა თუთმაზ ელუმუზ,
ხაფსი ფალუქ ოლმასა,
ნიჩე ოლურთი ხალუმუზ.²⁹

ტრაპიზონია ჩვენი მიწა-წყალი,
ფული არ ჰყვება ხოლმე ჩვენს ხელს,
ხამსას თევზი რომ არ იყოს,
რა გვეშველებოდა ჩვენ.³⁰

ადვილი შესაძლებელია, ჩელების მიერ ჩაწერილი ლაზური ლექსიც მეთევზეობის თემატიკაზე იყოს შეთხზული, მაგრამ სანამ ამ ლექსში ყველა სიტყვა (მისი შეტი ნაწილი მაინც) ახსნილი არ იქნება, ცხადია, ლექსის შინაარსი საბოლოოდ გაგებულად ვერ ჩაითვლება. „ლექსის შინაარსის საბოლოოდ გაგებისათვის, — წერს ს. ჯიქია, — საჭიროა იგი, ისევე როგორც ევლია ჩელების სხვა ქართ-

ველური ენობრივი თუ სხვა ხსნდების მასალები, შეეწამოს ჩელების ნაწარმოებთა იმ ხელნაწერებს, რომლებიც სტამბოლის სისველეთსაცავებში ინახება“.³¹

მაშასადამე, სანამ ჩელებისეული ლაზური ლექსის დედანი დაგენილი არ იქნება, მის შესახებ გამოთქმული აზრი ვარაუდს ვერ გასცილდება. ლექსის ჩვენს ხელთ არსებული ვარიანტი კი სხვადასხვა ვარაუდის საფუძველს უთუოდ იძლევა. ვფიქრობთ, თუ ასეთ ვარაუდს ჩვენც გამოვთქვამთ, იგი სასარგებლო იქნება ლექსის ჭემარიტი აზრის საბოლოოდ დაღვენისათვის.

ლექსის ცალკეული სიტყვების ასახსნელად უნდა გავითვალისწინოთ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ის ძირითადი მიზეზი, რომლებმაც ს. ჯიქიას აზრით, ტექსტი ღვეფტური გახადეს. ამასთანავე საჭიროა ვიცოდეთ, ლაზურის რომელ კილოვაგზე, რომელ თქმაზე, ლაზეთის რომელ კუთხეში ჩაიწერა ეს ლექსი ევლია ჩელებიმ. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ლექსი „ჩიჩუ“ და „ჭლათა“ ლაზების ერთ-ერთი მივიწყებული, ძველი ლექსია და ლაზურ ენაზეა. ევლია ჩელები „ჩიჩუ“ და „ჭლათა“ ლაზებს ასახელებს ტრაპიზონთან, რიზესთან და გონიოს ციხის მიდამოებთან, მაგრამ არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ რომელ ამ კუთხეთაგანში მცხოვრებთაგან ჩაიწერა ლექსი.

28 იქ ვ. გვ. 253-254.

29 იქვე, გვ. 249, ლექსის ქართული ტრაპიზოთცა შესრულებულია ს. ჯიქიას მიერ.

30 იქვე. ლექსის თარგმანი ეკუთვნის ს. ჯიქიას.

ამიტომ უნდა გავითვალისწინოთ როგორც საერთოდ ლაზურისათვის, ისე მისი ცალკეული კიღლოკავებისა და თქმებისათვის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებანი. მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს აგრეთვე მთქმელს, რომლისაგანაც ჩაიწერა ევლია ჩელებიმ ეს ლექსი. ჩელების მიურ ლექსის დეფექტურად ჩაწერაში ეგიბ მთქმელსაც მიუძღვის პრალი, მითუმეტეს, რომ ევლია ჩელების თქმით, ეს ლექსი „მივიწყებულ ლექსს“ წარმოადგენდა. მთქმელის მეტყველებისათვის დამახასიათებელ ინდივიდუალურ თავისებურებასთან ერთად სავარაულოა აგრეთვე, რომ იგი (მთქმელი) ანგარიშს უწევდა ჩამწერს და ძნელად წარმოსათქმელ სიტყვებს ნაწილ-ნაწილ, მარცვალ-მარცვალ კარნახობდა. სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე მთქმელისა და ჩამწერის ურთიერთობის დროს ეს რეალური მოვლენაა.

ტექსტში მოტანილი ენობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე² ლექსი ასე უნდა წავიკითხოთ:

თუნას არ უღუნ თაბაჩიარუ,
თამარ (თემურ) პანდა ფალიკარუ,
აფხანკა ლურატუ-ნა,
გებლაფეის დონგამუ.

ქვეყნად ერთია დამაბაზიანი,
თამარ (თემურ) მუდამ გმირი,

32 იხ.: ზ. თანდილავა, ლაზური ზეპირ-სიტყვების ძირითადი ენობრები (საღა-სერტაციო ნიშტომი, ნებაწერი), რბ., 1967, გვ. 303-336. არაბულ სატრანსკრიფციო ნიშნებთან დაკავშირებული ტექნიკური სინტერენების გამო ენობრივ ანალიზს აქ გვერდს ვუვლით.

როგორც ვხედავთ, ლექსი ის-ტორიული ხასიათისაა, მასში ქლიერ, მამაც პიროვნებაზე, გმირზეა ლაპარაკი, რომლის მსგავსი, მთქმელის აზრით, არავინაა ქვეყნაზე. ლექსის მიხედვით, ეს გმირი ხალხისადმი სიყვარულითაა გამსჭვალული: ამხანაგი, თანამებრძოლი რომ მოქვდარიყო, მას დამარხულსაც ლოცვადაო.

ვინ არის ეს გმირი, რომლის შესხებაც ლაპარაკია ლექსში, — თამარი თუ თემური?

თუ ჩელებისეული ტექსტის „თომორ//თემურ“ სიტყვას თემურად წარმოვიდგენთ, მაშინ ლაზეთის ისტორიაში საებარი ხდება ასეთი სახალხო გმირი. თუ მას თემურ-ლენგად მივიჩნევთ, ლექსში საქმე გვექნება ისეთ ისტორიულ პიროვნებასთან, რომელსაც ხალხი ყოველთვის მურგან-ურუსად შაპ-აბასის გვერდით იხსენიებს.

ცნობილია, რომ ხალხი ყოველთვის რეალურად აფასებს და თავის სულიერ შემოქმედებაში ქება-დიდებას ასხამს ისეთ სახელოვან შვილს, რომელიც მშობლიური ქვეყნის ინტერესებით არის შთაგონებული და მასვე სწირავს სრცოცხლეს. ასეა მსოფლიოს ყველა ხალხის ფოლკლორში, ასეა საერთოდ ქართულ ზეპირსიტყვიერ შემოქმედებაში. ამის დამადასტურებელი ფაქტები ლაზურ ფოლკლორშიც მოგვეპოვება. მე-16

საუკუნიდან მოყოლებული ლა-
ზებს ბევრი ძლიერი სულთანი და
ფაშა უნახავთ. თუ სულთა-
ნებისა და ფაშების ქება თუ-
რქული ფოლკლორის საისტო-
რიო ლექსების ერთ-ერთ ძირ-
ითად თემას წარმოადგენს, ლაზურ
პოეზიაში მათი სახელის მაღიდე-
პელი ერთი ტაეპიც არა გვაქვს.
პირიქით, ლაზურ ფოლკლორში იმ
სახალხო გმირთა სახელებია და-
ცული, რომლებსაც ოსმალთა და-
მპურობლური ძალების წინააღმ-
ლეგ ბრძოლებში პატივი და სიყვა-
რული დაუმსახურებიათ. ასეთთა
შორის ერთ-ერთია პეტრო ხეცია,
რომელსაც სულთან-სელიმ მეორ-
ეს წინააღმდეგ ბრძოლაში ლაზე-
ბის უბირველეს ამოცანად სამშო-
ბლოს დამოუკიდებლობისა და ერ-
ოვნული სიწმინდის, საკუთარი
„თესლის“ სიწმინდის დაცვა მიაჩ-
ნდა.³³

სულთან აბდულ ჰამიდ მეორე
ოცდაცამეტი წლის მანძილზე თა-
ვი ვამოიჩინა ძლიერი რეფიმის
დამყარებით ქვეყნის შიგნით. ეისი
მოღვაწეობის პერიოდში წარმოე-
ბული ბრძოლები და ცალკეული
ეპიზოდები კარგად არის ასახული
თურქულ ფოლკლორში, სადაც
აბდულ-ჰამიდ მეორე უძლეველ
სულთანად არის მიჩნეული.³⁴ მა-
გრამ ლაშებს აქაც დიდი სიძუნებ
გამოუჩენიათ და თურქეთის ნი-

კოლოზ მეორედ წოდებული აშენდა
სულთანის ძლიერების დასასრუ-
ლის აღსანიშნავად მხოლოდ ორ-
ტაეპიანი ლექსი შეუთხზავთ:
სულთან ჰამიდიშ კამა
აწი ლიყუ არტამა.
სულთან ჰამიდის ხანგალი
ახლა გახდა არამი.
ზემოთქმულიდან გამომდინარე,
შეიძლება დაბეჭითებით ვთქვაო,
რომ ევლია ჩელების მიერ ჩაწე-
რილი ლექსი არ შეიძლება ქვეყ-
ნის დამარტინების თემურ-ლევის
სახელთან იყოს დაკავშირებული.
ლექსში მოტანილი „თომორ//თე-
მურ“ მხოლოდ და მხოლოდ „თა-
მარ“-ად შეიძლება გავიგოთ. ლექ-
სი სახელოვანი ქართველი მეფის
თამარის სახელთან უნდა იყოს
დაკავშირებული.

თამარ მეფის სახელი ლაზთა
მეხსიერებაში ჯერ კიდევ დაცუ-
ლია. იგი გვხვდება ტოპონიმებში,
ისტორიულ გაღმოცემებსა და ლე-
გენდა-თქმულებებში. აქ მოვი-
ტანთ მხოლოდ ზ. ჭიჭინაძის მიერ
ჩაწერილ ერთ თქმულებას, რომ-
ლის მიხედვითაც ლაზები ლაზეთ-
ში ხელოსნობის განვითარებას
თამარის სახელს უკავშირებენ.

„თამარ მეფეს ერთხელ დასჭივ-
რდა... ნაშთების (იშხანი, ანჩა,
პარხალი, ხახული) შეკეთება. ამი-
ტომ მას თავიდან ერთი თმა გა-
მოუძვრია, ლაზებისათვის მიუ-
ცია, მერე ამ თმის საშუალებით
ლაზებს ოქროს ხაზინა თუ მაღანი
უპოვნიათ და მერე ამით დაუმ-
თავრებიათ ხსენებული ნაშთები.

5 33 o. ყითშიძე, ჭანტრი ტექსტები, 83.
და 34.

34 Б. Данциг, Турция, М., 1949,
23—36

ამ ნაშთების შეკეთების შემდეგ თამარ მეფემ ლაზები დალოცა და მათი ხელოსნობა კურთხეულ იქნა. ამიტომ იყო, იმ დღიდან ლაზებში დიდს წარმატებას და გავრცელებას მიეცა სახელოსნო საქმები³⁵.

როგორც ჩანს, ლაზთა წარმოდგნაში თამარი არა მარტო ამქვეყნიური მეფე ქალია, არამედ იგი, ამასთანავე, რაღაც მისნური, ჯადოსნური ძალით აღჭურვილი ზებუნებრივი ადამიანია. ეს გარემოება თქმულებას ლეგენდისებურად წარმოგვიდგენს, მაგრამ შინაარსობრივად მასში მოთხოვბილი ამბავი უთუოდ სინამდვილის უშუალო ანარეკლი უნდა იყოს.

ლაზებში სახელოსნო საქმიანობას, ბუნებრივია, უფრო აღრინდელი საწყისები აქვს და მისი დაკავშირება თამარის ეპოქასთან თამარის სახელთან, ცხადია, სინამდვილეს არ შეეფერება. მაგრამ მიუხედავად ანაქრონიზ მისა, გვაქვს სწორი ფსიქოლოგიური გააზრება.

საუკუნეთა განმავლობაში დაქუცმაცებული საქართველოს გვ-

35 ზ. ჭიჭინაძე, ლაზისტანი, გვ. 51.

ერთიანებამ და თამარის შეფილის დროს ტრაპიზონის იმპერიის შექმნამ უაღრესად დიდი როლი შეასრულა ლაზეთის არა მარტო პოლიტიკური, არამედ აგრეთვე ეკონომიური და კულტურული ყოფის ამაღლების საქმეში. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, ლაზთა მეხსიერებაში, ისე როგორც მთელ ქართველ ხალხში, ეს ხანა და თვითონ თამარ მეფე დაუვიწყარი დარჩა. ბუნებრივია ისიც, რომ ლაზები თამარის მიერ დალოცვილად თვლიან თავს და ყოველ ღისებუსანიშნავს მას მიაწერენ. დაბოლოს, სრულიად ლოგიკურია, მაღლიერ ლაზებს ეფიცათ, ელოცათ თამარის სახელზე, პოეტური სიტყვებით შეემკოთ იგი, მიეჩნიათ ქვეყნად ერთადერთ ძლიერ ადამიანად, ხმლის ნაცვლად ექოთ შისი დამბაჩა, როგორც მამაცობისა და ვაჟკაცობის სიმბოლო.

ჩელებისეული ლაზური ლექსი შეიძლება მივიჩნიოთ „ქართლის ცხოვრებაში“ მოტანილი იმ ცნობის გამოხმაურებად, რომელშიც ნათქვამია, რომ მე-12 საუკუნეში „ზღუასა შინა მენავენი, ნიავკეთილობათა შინა, თამარის ქებათა იტყონდიან“.³⁶

36 ქართლის ცხოვრება, II, თბ. 1959, 146.

ნიგერის მიმოხილვა



პროფ. გ. შამედაშვილი

ქართული ენის აჭარული დიალექტის ლექსიკა

ლექსიკოლოგია, როგორც ენის ზოგადი თეორიის ცალკე ნაწილი, საბჭოთა ენათმეცნიერებამ შექმნა. დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ლინგვისტიკაში ლექსიკოლოგია, როგორც ცალკე დისციპლინა, არ არსებობს. ეს იმით აიხსნება, რომ იქ სიტყვას არ მიუღია, როგორც მეცნიერული ცნების, აღიარება. საბჭოთა ენათმეცნიერებაში კი, პირიქით, სიტყვა გამოდის ენის ძირითად და მთავარ ერთეულად და ამიტომაც იგი სპეციალური შესწავლის საგანია.

როგორც ცნობილია, მსოფლიოში სპეციალისტები დაახლოებით 3.000-მდე ენას ანგარიშობენ. აქედან 130-მდე ენა სსრ კავშირ-

* შ. ნიუარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი. ლექსიკა. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1971 (რედაქტორი ა. ა. სურგულაშვილი).

შია. ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ 20 ეროვნების ხალხს აქვს ძევლი სამწერლო ენა, 50 ეროვნებისას კი — ახალი სამწერლო ენა. დაახლოებით 60 ეროვნების ხალხებს არ სურთ ჰქონდეთ თავიანთი დამწერლობა, ვინაიდან ისინი მეტად მცირერიცხოვანი არიან (რამდენამე ასეულიდან რამდენიმე ათასა-მლე) და სარგებლობენ უფრო მრავალრიცხოვან ხალხთა ლიტერატურული ენით.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებს შორის ქართული ერთურთი უძველესი და ამავე დროს წერილობითი ძეგლებით უძლიდესი ენაა მსოფლიოში. ამ ენას თავისი გრამატიკული წყობის მოქნილობით, მდიდარი ლექსიკოთა და სრულყოფილი, დახვეწილი ბგერითი შედგენილობით მსოფლიოს გამოჩენილი არა ერთი შე-

ცნიერი-ლინგვისტი მოუხიბლავს და ოლუფრთოვანებია. ვინ იცია, რამდენმა ქართველობა და ირიენტალისტმა მიუძღვნა ქებათა-ქება რუსთაველისა და საბას, ბარათაშვილისა და ორბელიანის, ილიას, აკაკისა და ვაჟას ტკბილ ქართულ... ქართული ენა მდიდარია კილოებითაც; ქართლური და კახური, აჭარული და გურული, თუშური და იმერული, იმერხეული და ინგილოური, მესხეურ-ჯვანური და მოხეური, რაჭულ-ლეჩხუმური და ფერერდნული, ფშაური და ხევსურული... ქართული ენის დიალექტებია. ამათ შორის აჭარული კილო თავისი განსაკუთრებული ბედითა თუ უბედობით, წარსულითა და აწყობს ვითარებით ყოველთვის იპყრობდა მკვლევართა, სპეციალისტთა თუ ძოგზაურთა ყურადღებას. ქართველი საბჭოთა ლინგვისტების სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მათ ღრმა მეცნიერული და თანხმდევრული კვლევის საგნად აქციეს არა მარტო ეროვნული ენის ლექსიკური შემადგენლობა, არამედ დიალექტური ლექსიკაც. ამითაც განსხვავდება ჩვენი ენათმეცნიერება ბურუუაზიული დასაცლეთის ლინგვისტიკისაგან არა მარტო მეთოდოლოგიურად, არამედ საკვლევი ობიექტის შერჩევის თვალსაზრისითაც.

აჭარული კილო ქართული ენის დასავლურ დიალექტთა ჯგუფის ერთ-ერთი მსხვილი ერთულია. ამ კილოს მეცნიერულ შესწავ-

ლას დასაბამი მიეცა მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. რა თქმა უნდა, მანამდეც გვქონდა ცალკეული მოსაზრებანი გამოთქმული ამ დიალექტის შესახებ, მაგრამ მისი მეცნიერულ შესწავლა დაიწყო ჩვენი საუკუნის 40-იანი წლებიდან. ამ მხრივ დიდი ამაგი მიუძღვის ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს, ბათუმის პედიონტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგეს, დოკუმენტითან ნიუარაძეს. ახლახან მან კიდევ ერთხელ გაახარა არა მარტო სპეციალისტი - ენათმეცნიერები, არამედ ყველა, ვისთვისაც ძვირფასი და ახლობელია ქართული ენა. კარგი საქმე გააკეთა გაძმეულობა „საბჭოთა აჭარაშ“ შ. ნიუარაძის ფუნდამენტური მონოგრაფიული გამოკვლევის — „ქართული ენის აჭარული დიალექტი. ლექსიკა“ გამოქვეყნებით.

შეიძლება დაბეჭითებით ითქვას, რომ შ. ნიუარაძეს ქართველ მკვლევართაგან ყველაზე დაღიდამსახურება აქვს აჭარული კილოს შესწავლის საქმეში. ამ საქმეს მან ხელი მოჰკიდა ჯერ კიდევ 1938 წლიდან და დღემდე მრავალი მონოგრაფიული გამოკვლევა, საურნალო წერილი, საგაზეთო სტატია თუ მოხსენების თეზისები გამოაქვეყნა. იგი ხშირად გამოდის მოხსენებებით საქ. სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა სამეცნიერო-მეთოდურ კონფერენციებზე აჭარული

დიალექტის გრამატიკულ-ლექსიკურ თავისებურებათა შესახებ და მისი მოსაზრებები ყოველთვის იმ-სახურებს საყოველთაო მოწონებას.

შ. ნიუარაძის მონოგრაფიულმა გამოკვლევებმა „ზემო აჭარულის თავისებურებანი“ (ბათუმი, 1957), „ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი“ (ბათუმი, 1961) სპე-ციალისტთა ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა. გარდა ამისა, აქვე უნდა მოვისხენით შ. ნიუა-რაძის ისეთი შრომები ამ საკითხზე, როგორიცაა: „არქაიზმების საკითხისათვის აჭარულ დიალექ-ტში“ (1963), „აჭარულის ძირითა-დი ფონეტიკური თავისებურებანი მეტყველების ნიმუშებითურთ“ (1952), „მასალები აჭარული დია-ლექტური ლექსიკონისათვის“ (1959), „აჭარის ტოპონიმიკის ძი-რითადი საკითხები“ (1969), „ძი-რითადი მორფოლოგიური თავისე-ბურებანი აჭარულში“ (1953), „ძი-რითადი სინტაქსური თავისებურე-ბანი აჭარულში“ (1954), „ქომუ-ლეთური მეტყველების დიალექ-ტოლოგიური განსაზღვრებისათ-ვის“ (1971) და სხვ. ეს შრომები წლების მანძილზე ამზადებდა ნია-დაგს ისეთი სქელტანიანი მონიგ-რაფიული გამოკვლევისათვის, რო-გორიცაა იმავე ავტორის „ქართუ-ლი ენის აჭარული დიალექტი. ლექსიკა“, რომელიც სულ ახლანან გამოქვეყნდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემი-კოსის სერგი ჭიქიას რედაქტორ-ობით. ეს ფაქტიც თავისთვალ იმ-

აზე მეტყველებს, რომ შ. ნიუარაძის ნაშრომი ქართული ლექსიკო-ლოგიურ-ლექსიკოგრაფიული ლი-ტერატურის საყურადღებო და დი-დმნიშვნელოვანი შენაძენია.

აჭარული დიალექტის შესახებ სხვადასხვა დროს სხვადასხვა სა-კითხთან დაკავშირებით შრომები გამოაქვეყნეს და მოსაზრებები გა-მოთქვეს შ. ძიძიგურმა, ჭ. ნოღაი-დელმა, პ. გაჩეჩილაძემ, ც. კაჭა-რაგამ, ქ. ლომთათიძემ, ი. მეგრე-ლიძემ, ა. მსხალაძემ, სტ. მენო-შაშვილმა, ბ. ფოჩხუამ, ნ. საბაშ-ვილმა, ი. სიხარულიძემ, მ. ცინცა-ძემ, მ. ხუბუამ, ზ. ჯორბენაძემ და სხვებმა. ცალკეული მოსაზრება გამოთქვეს ა. შანიძემ, გ. ახვლე-ლიანმა, არნ. ჩიქობავამ, ვ. თოფუ-რიამ, ს. ჭიქიამ, ს. ულენტმა. აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის საყურადღებო ფაქტი, რომ 1971 წელს პოლიკარპე ჭავანიძემ საღო-კტორო დისერტაცია დაიცვა სჭო-რედ აჭარულ დიალექტზე — „ვუ-რული დიალექტი აჭარულთან მი-მართებაში“, ხოლო 1968 წელს ნ. გურგენიძემ — საკანდიდატო დისერტაცია „თურქული ლექსი-კური ელემენტების შესახებ აჭა-რულსა და გურულ დიალექტებ-ში“. ეს ფაქტები ნათლად ღალადე-ბენ იმ ინტერესთა შესახებ, რასაც ჩვენი მკვლევარები იჩენენ აჭარ-ული კილოს მიმართ.

შეიძლება დაბეჭითებით ითქვას, რომ ქართული ენის დიალექტება-დან აჭარული დღესდღეობით ჭელ-ნიერულად სჭორედ ისეა შესწავ-ლილი, როგორც ამას მოითხოვს

ქართული ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე დონე. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს წერილობითი ძეგლების „შესწავლისა და საერთო-სახალხო ენის გამდიდრების საქმეში. აჭარული დიალექტის გამოწვლილვათი ანალიზი, როგორც ეს მოცემულია სარეცენზიო წიგნში, ერთხელ კიდევ გვიდასტურებს იმ ღებულებას, რომ დიალექტური ლექსიკა ენის სიმდიდრეა. ყოველ კუთხეში ლოკალიზებულია ათასობით სიტყვა, რომლის მნიშვნელობა მეორე კუთხისათვის ხშირად უცნობია. ამასთან ერთად დიალექტური ლექსიკა მწერლობისათვის სიტყვობრივი მასალის ამოუწურავი სალაროა. ასეულობით კუთხური სიტყვა დამკიდრებულა სალიტერატურო ენის საგანგურში მწერლობის მეშვეობით. ამათუ იმ კუთხიდან გამოსული მწერლები ცდილობენ, თავიანთი სალაპარაკო კილოკავის შესაფერის სიტყვებს ტრიბუნა დაუთმონ თხზულებებში. ცნობილია, რომ ამ მხრივ ერთი ტენდენცია გრძელდება ძველსა და ახალ მწერლობაში: გურამიშვილთან გვხვდება კახიზმები, ვაჟასთან — ფშავიზმები, ს. მგალობლიშვილთან — ქართლიზმები, დ. კლდიაშვილთან — იმერიზმები, ეგნ. ნინოშვილთან — გურიზმები, ჭ. ლომთათიძესთან — აჭარიზმები და ა. შ. (იხ. ა. ლ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1964, გვ. 58-59).

შ. ნიუარაძის სარეცენზიო ნაშრომი ქართული დიალექტებიდან

ერთი პირველთაგანი გამოკვლეულია, რომელიც მიზნად ისახავს მთელს სისრულით წარმოაჩინოს აჭარული დიალექტის ლექსიკური სიმდიდრე და მრავალფეროვნება. ვანსცენებული სტ. მენეთშაშვილის „ქიზიყური ლექსიკონის“ (1943) შემდეგ ეს პირველი ვრცელი ნაშრომია, რომელშიც ასე სრულყოფილად გამოაჩინა ავტორმა აჭარული კილოს ლექსიკური სიმდიდრე.

„აჭარული ქართული ენის ერთერთი უძველესი და უაღრესად მნიშვნელოვანი კილოთაგანია. იგი აჭარლების მეტყველებაა. აჭარლები ოდითვე კომპაქტურად მკვიდრობენ საქართველოს განუყოფელ ნაწილში, აჭარაში, რომელიც ამჟამად ავტონომიურ ააპიროთა რესპუბლიკას წარმოადგენს. აჭარული კილო გავრცელებულია აგრეთვე ჩიხატაურის რაიონის ორ სოფელში (გურიაში), სადაც აჭარლები სახლობენ, და აჭარის იმ ნაწილში, რომელიც სამხრეთ საქართველოს სხვა მხარეებთან ერთად თურქებს აქვთ მიტაცებული“ (ი. გიგინეიშვილი, ვთოთურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, 1, თბ., 1961, გვ. 389).

აჭარული ამჟამად გავრცელებულია ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის, ქობულეთის რაიონებში. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ აჭარული კილოს შ. ნიუარაძისეულ დაყოფას — ზემოაჭარულად დაწვემოაჭარულად, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დაყოფა არ ეშთხ-

ვევა გეოგრაფიულ დაყოფას, რა-
მდენადაც ქედისა და ხელვაჩაუ-
რის რაიონები ქვემო აჭარაში შე-
მოდის და მეტყველება კი ზემო-
აჭარულად არის მიჩნეული. საგუ-
ლისხმოა, რომ განსვენებული
მკვლევარი ჭ. ნოღაიდელი ზემო-
აჭარულისა და ქვემოაჭარულის
ნაცვლად ხმარობდა ტერმინებს
მთის აჭარული და ბარის აჭარუ-
ლი. ჭ. ნიუარაძისეულ დაყოფას
(ზემოაჭარული და ქვემოაჭარუ-
ლი) მხარს უჭერს აჭარული დია-
ლექტის შესწავლის ტრადი-
ციაც; მაგ. ისტორიკოს-ენათმეც-
ნიერი დიმიტრი ბაქრაძე თავის
შესანიშნავ ნაშრომში „არქეოლო-
გიური მოგზაურობა გურიასა და
აჭარაში“, რომელიც ავტორმა
ცნობილ ქართველოლოგს პარი
ბროსეს უძღვნა, მხარს უჭერს
აჭარულის დაყოფას ზემოაჭარუ-
ლად და ქვემოაჭარულად (იხ.

Дм. Бакрадзе, Археологическое путеше-
шествие по Гурии и Адчаре, Санкт-
Петербург, 1878, გვ. 20).

ჭ. ნიუარაძე „ქართული ენის
აჭარული დიალექტის ლექსიკაში“
(შესავალში) მსჯელობს აჭარული
დიალექტური ლექსიკის შესწავ-
ლის მნიშვნელობის შესახებ. მოკ-
ლედ გაშუქებულია ამ კილოს წა-
რსული; აღნიშნულია, რომ საქარ-
თველოს პოლიტიკურ გაერთიანე-
ბამდე, მე-8-9 საუკუნეებიდან, აჭ-
არა სამხრეთ საქართველოს სხვა
კუთხეებთან ერთად შედიოდა
ტაო-კლარჯეთის სამთავროში, რო-
მელიც ძირითადად ჭოროხის ხეო-
ბის ორგვლივ მდებარეობდა, შემ-

დეგ საუკუნეებში აჭარა გაერთია-
ნებულ საქართველოს ნაწილს უკავ-
რმოადგენდა. განსაკუთრებით
მძიმე იყო აჭარისათვის თურქეთი-
ს უღელი. თურქები ცდილობდ-
ნენ აჭარელთა შეგნებიდან ამოეგ-
დოთ ყოველგვარი ქართული (ზნე-
ჩვეულება, კულტურა, ენა, რელი-
გია და სხვ.), აჭარლები გაეთურ-
ქებინათ. ამ მიზნის მისაღწევად
ისინი იყენებდნენ სხვადასხვა
ხერხს: არბევდნენ და აწიოკებდ-
ნენ სოფლებსა და ქალაქებს, ანა-
დგურებდნენ კულტურულ ფასეუ-
ლობას, შორეულ მხარეში ასახ-
ლებდნენ და ფიზიკურად სპობ-
დნენ ხალხს, ძალით ავრცელებდ-
ნენ მაჰმადიანურ სარწმუნოებას.
მიუხედავად თურქი ასიმილატო-
რების სამასწლიანი ბატონობისა
აჭარაში, გმირული სულის პატრო-
ნმა ხალხმა მაინც შეინარჩუნა ქა-
რთული ზნე-ჩვეულება, მშობლი-
ური ქართული ენა (იხ. ჭ. მეგრე-
ლიძე, აჭარის განთავისუფლება
თურქთა ბატონობისაგან, ბათუმი,
1956, გვ. 12-13). მაშასადამე, თა-
ვისი ისტორიული წარსულითაც
საგულისხმოა აჭარული დიალექ-
ტი. ამასთან ერთად გასათვალისწი-
ნებელია ისიც, რომ საბჭოთა ხე-
ლისუფლების დამყარების შემდეგ
აჭარაში „აჭარულმა კილომ ძირე-
ული ცვლილებები განიცადა. გა-
ნახლებული და აღორძინებული
აჭარის კულტურულმა ცხოვრებამ
ქართულ სალიტერატურო ენას გა-
ვრცელების ჯერ არნახული ასპა-
რეზი გადაუშალა, თანდათან იშ-
ლება და დავიწყებას ეძლევა

დრომოჭმული და საუკუნეთა ში-
აღში შემუშავებული სიტყვები და
გამოთქმები, მათს ნაცვლად მკვი-
დრდება და ფეხს იდგამს ახალი
ყოფის ამსახველი ტერმინოლოგია,
იცვლება დიალექტის გრამატიკუ-
ლი სტრუქტურა, ლიტერატურუ-
ლი ფორმები ლრმად იქრება მო-
სახლეობის ფართო ფენებში, დი-
ალექტის დაფენებაში აქტიური
ხდება ქართული საერთო სახალ-
ხო ენისათვის ნიშანდობლივი
სტრუქტურული ნიშნები (შ. ძიძი-
გური, რედაქტორისაგან). წიგნში:
შ. ნიუარაძე, ქართული ენის ზე-
მოაჭარული დიალექტი, გვ. 8).

შ. ნიუარაძე მოკლედ, ნათლად
და გასაგებად, დებულებების სახ-
ით აყალიბებს აჭარული კილოს
შესწავლის მნიშვნელობას. აქე-
დან, ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშ-
ვნელოვანია ავტორის უკანასკნე-
ლი, მეოთხე დებულება, რომელ-
შიც ნათქვამია: „აჭარული დიალე-
ქტის ხანგრძლივად უცხო ენიბ-
რივ (თურქულის) გარემოცვაში
მოქცევამ მასში წარმოაჩინა ენათ-
მეცნიერულად საინტერესო ლექ-
სიკური მასალა, რაც ბევრ შემთხ-
ვევაში დახმარებას გვიშევს სტრუ-
ქტურულად სრულიად განსხვავე-
ბულ ქართულ და თურქულ ენათა
ურთიერთობის შესწავლაში“ (გვ.
6). ამ დებულებას, რომლის გამ-
ლა-ილუსტრაცია-ხორცმესხმა მო-
ცემულია სარეცენზიონ ნაშრომის
მომდევნო ნაწილში, აქვს მნიშვ-
ნელობა არა მხოლოდ ქართული
და ქართველური ენებისათვის,
არამედ მას გარკვეული ლირებუ-

ლება ენიჭება ზოგადი ენათმეც-
ნიერების თვალსაზრისითაც, გან-
საკუთრებით დღევანდელ ეტაპზე,
როცა სტრუქტურალიზმა ასეთი
დიდი გაქანება და ავტორიტეტი
მოიპოვა ქართველ ლინგვისტთა
შორისაც.

შ. ნიუარაძე კარგად და დაკვირ-
ვებულად აანალიზებს აჭარულ
ლექსიკას; გვაძლევს საქმაოდ ნა-
თელ წარმოდგენას აჭარული ლექ-
სიკის ფონეტიკურ თავისებურე-
ბებზე. ავტორი იზიარებს სპეცი-
ალურ ლიტერატურაში გამოქ-
მულ მოსაზრებას იმის შესახებ,
რომ ფონეტიკური მოვლენებით
აჭარული დასავლურ დიალექტთა
წრეს განეკუთვნება, მაგრამ ჩივი
სპეციფიკური ნიშნებით საქმაოდ
განსხვავდება როგორც დასავლუ-
რი, ისე განსაკუთრებით აღმოსავ-
ლური დიალექტებისაგან. (იხ. სა-
რეცენზიონ წიგნი, გვ. 7).

უპირველეს ყოვლისა, განხი-
ლულია ასიმილაცია (მაგ. ფომ-
ფო, ავანტყოფი, ტაპიკი, ფაფრი-
კი), დისიმილაცია (არაფელი, სუნ-
თელეთი, ფეხშველა, ორდეყეში),
მეტაფეზისა (ჭროფლი, მონალება,
ქარახსი, ჩირბული), სუბსტიტუ-
ცია (დედომიწა, შიშა, სანდუმია-
ნი, ონაგირი, კროხი, მაყაყი, უნ-
ცროსი, იმტერესი, ოლომ), კომპ-
ლექსთა მონაცვლეობა (შტვირი,
ჩეშტი, ბოჭკა, მარინწკი, ჩერვონ-
წკი), აფრიკატიზაცია (გაძანგული,
შეგძნება, ციციელი, ჭვირთი, პა-
რკოლა, გვერძე, ვარძე), დეზა-
ფრიკატიზაცია (დაუდუმლება,
კინტლობა, ნიზლავი, სტავლა),

ბგერათა დაკარგვა (დაბმავებული, ახალგაზდა, სიგძე, ფჩხილი, სივცე, კინიგვარი), **ბგერათა განვითარება** (მომპყრობა, გამჭავრება, მარყვალა, წრიხლი, მეთქინ, მემრენ), **რედუქცია** (ნახვენ, ნახვარი, ნახვარპინა, სკემბი, წამწმები), **სრულხმოვანობა** (ტკიბილი, კილდიძირი, ხეჭებო, ფილავი, წიგინი, კილდე), **ბგერითი ანალოგია** (მფხარი, დომფხალი, ერთმანები). ამ უკანასკნელი ფორმის შესახებ უნდა შევნიშნოთ შემდეგი: თანამედროვე ქართულში გვაქვს ერთმანეთი, ძვ. ქროთულში გვქონდა ერთმანერთი. გურულში გვხვდება ერთქამეთი. აქ კი იგივე ოდენობა უნდა იყოს, ჩვენი აზრით, რაც მეგრულში გვაქვს ქ მოთხობითი პროცენტის ნიშნად: ქომონჯქ, ღიღდექ, ბოშქ (ქმარმა, დედამ, ბიჭმა). ამათ გვერდში უდგას ენობრივად მეტად საყურადღებო აჭარული ფორმა ერთმანები.

კიდევ უფრო ვრცლად და საინტერესოდ აშუქებს შ. ნიუარაქე სახელთა მორფოლოგიას: მოტანილია ისეთი მაგალითები, სადაც სახელობითი ბრუნვის ნიშნად გვხვდება იოტი. ავტორი სპეციალურად ჩერდება მიცემითი და ვითარებითი ბრუნვის მონაცელეობაზე, და გვთავაზობს ასეთ საგულისხმო დაკვირვებას — აჭარულში გვხვდება მაგალითები, რაცა კონტრექსტის მიხედვით ვითარებით ბრუნვაში მოსალოდნელი ფორმა მიცემით ბრუნვაშია. ეს ეხება როგორც მარტივს, ისე ნაწარმოებ სახელებს. ბევრ შემთხვევაში

ვითარებითი ბრუნვის ნაცვალული გამოყენებულია თანდებულისში (-ში, -ზე) მიცემითი. ამის საილუსტრაციოდ მოტანილია შემდეგი საგულისხმო მაგალითები: „იმდენზე მაც [ნ] ც მეიხედავდეს, რომ ფეხებ წამოდგებოდეს“, „პირველში გამიჭირდა...“ „უეჭველში ჩამოა...“ (იხ. გვ. 18).

შ. ნიუარაქე აჭარულში ადასტურებს მენა ნაცვალსახელს, რომელიც, როგორც სპეციალური ლოტერატურიდან ვიცით, დამახასათებელია ქიზიურისათვის, კახურისათვის (მოვიგონოთ ილიას გლახა ჭრიაშვილის გაუთავებელი „მენა“...). ვრცლად ჩერდება ავტორი თანდებულიან სახელებზე (-დამ, -ში, -ვით, -თვის, -თვინ), ზმნიზედების თავისებურებებზე (დანაბოლოს, ხანჯელ, მასქან, მასხანში, გლიშამ, პირვანდულა); აქვე განხილულია: ზმნათა თავისებურებები პირის ნიშნების მიხედვით, თემა, ზმნისწინი, გვარის წარმოებიდან, თავისებური ზმნური ერთეულები, სიტყვაწარმოება, კომპოზიტები.

სარეცენზიონ წიგნის ავტორი არც აჭარული დიალექტის იდიომაზე მიზებს ივიწყებს. იდიომი არის შესიტყვების ფორმის მქონე დაუშლელი ლექსიტური ერთეული, რომლის მნიშვნელობა არ ვამომდინარებს კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამიდან. მართლია, შ. ნიუარაქე მიზნად არ ისახავს აჭარული დიალექტის იდიომთა ეტიმოლოგიის გარკვევას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ავტორი

იძლევა გარკვეულ ისტორიულ ფაქტთან დაკავშირებული ზოგიერთი იდიომის წარმოშობის ახსნის ცდას. ეს ცდა, შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში, წარმატებით მთავრდება.

ცალკე მსჯელობს. ავტორი ძველი ქართული ლექსიკური ფენის შესახებ აჭარულ დიალექტში, გამოყოფილია ასეთი ლექსიკური ერთეულები (მაგ. აწმისიქით, გარგანი, საფერხელი, ნარცხი, ფეშხუმი, ქარაქოზი, ბრუმო და სხვ.). განსაკუთრებით საინტერესოა საკუთრივ აჭარული ლექსიკური პლასტები (მაგ. ახორთლაღება, ბაძანგარი, გასასკიპარჭავი, დაკიმანჭვა, დამინნეთება, ენაჯილველი, უსკურა, ხამ-მოდული და სხვ.).

ენათმეცნიერული თვალსახრისით მეტად ფასეულია სარეცენზიო წიგნის ცალკე განყოფილება, რომელსაც ასეთი სათაური აქვს: „საბას „ქართული ლექსიკონი“ და აჭარული ლექსიკა“. როგორც ცნობილია, საბას „სიტყვის კონაში“ საკმაოდაა შეტანილი ცოცხალი მეტყველებიდან აღებული სიტყვები საერთოდ და კერძოდ კი აჭარული დიალექტიდან ცნობილი ლექსიკური ერთეულები. სარეცენზიო წიგნის ავტორს მიზნად დაუსახავს, შეედარებინა აჭარული კილოს ლექსიკა საბას „ქართული ლექსიკონისათვის“ და გამოირკვა, რომ ბევრი საბასეული სიტყვა, რომლებიც არაა შეტანილი თანამედროვე ქართული ენისა და ზოგ ქართულ დიალექტოლოგიურ ლე-

ქსიკონში, ცოცხალია აჭარულში. ასევე საყურადღებოა შ. ნიუარატაძის შემდეგი დებულება: „შედარების შედეგად დადგინდა აგრეთვე ისიც, რომ უცხოური წარმოშობის (თურქულ-არაბულ-სპარსული) სიტყვები, რომლებმაც სათანადო ასახვა პპოვეს საბას ლექსიკონში, ზოგჯერ იმავე მნიშვნელობითა და ფორმითაა ან ოდნავ სახეცვლილია აჭარულში“ (გვ. 38). ავტორს მოაქვს ამის საილუსტრაციო მდიდარი, უტყუარი ბასალა აჭარული დიალექტიდან და საბას ლექსიკონთან შედარება-შეპირისპირების გზით ნათელს ხდის წამოყენებულ დებულებას.

ასევე საინტერესოა ნაშრომის ცალკე ქვეთავი — „აჭარული ლექსიკა და „ვეფხისტყაოსანი“. ჯერ კიდევ ამ სამი ათეული წლის წინათ აკადემიკოსი არნ. ჩიქობავა წერდა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მოიპოვება როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ბარის კილოების (ქართლურ-კახურის, პირველ ყოვლისა) დამახასიათებელი მოვლენები, ისე დასავლეთ-საქართველოს (იმერეთ-გურია-აჭარის) დიალექტური სინამდვილისათვის ნიშანდობლივი მონაცემები. მასთან, პირველი შეხედვით, სწორედ ეს უკანასკნელებია, ცხადად რომ ჭარბობს“ (იხ. არნ. ჩიქობავა, დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“: ენიმკის მოამბე, III, 1938, გვ. 212). ამ დებულებას ავითარებს შ. ნიუარაძე და აჭარული დიალექტის კონკრეტული

მაგალითებით ნათელს ხდის ამ ფაქტს, რომ პოემაში სიტყვების დიდი ნაწილი (ასევე გრამატიკული ფორმები) მესხურ-ზემოაჭიარულ - იმერხეულისითვისაა დამასასიათებელი... სამხრეთული და-ალექტიზმების მოჰარება პოემის ენაში არ უნდა იყოს შემთხვევითი მოვლენა. ამ ფაქტს გარკვეული მნიშვნელობა აქვს რუსთაველის ენის სამხრეთულ დიალექტურ სექტორთან დაკავშირების თვალსაზრისით, — სავსებით სამართლიანად წერს სარეცენზიონ წიგნის ავტორი (გვ. 42).

აჭარული დიალექტის ლექსიკის გამოწვლილვითი შესწავლა შეუძლებელია ე.წ. სემანტიკური ჯგუფების ანალიზის გარეშე. ამიტომაც არის, რომ შ. ნიუარაძე იხილავს ასეთ სემანტიკურ ერთეულებს: სახლი, სხვადასხვა ნაგებობანი და მათი ნაწილები, საოჯახო, ნივთები, იარაღი, ჭურჭელი, შრომა-საქმიანობა, ნიადაგები, სიჩრდისა და ლობიოს ჯიშები, მეცუტკრეობა, მეხილეობა, მესაქონლეობა, საქონლის დაავადებანი, რძისა და რძის პროდუქტების დაზა-დება, ხილ-ბოსტნეული, მცენარეები, ფქვასთან დაკავშირებული ტერმინები, საჭმელი, სხეული და მისი ნაწილები, ზომა-წონისა და საწყალს ერთეულები, ნათესაური ურთიერთობა, აღათ-წესები და ზნე-ჩვეულებანი, ხალხური კალენდარი, ბუნების მოვლენები, ცეკვა-სიმღერები, თამაში და გართო-

ბა, მეტსახელები. ეს ეთნოგრაფიულ-ყოფითი მასალები ავტორის აინტერესებს მხოლოდ ენობრივი თვალსაზრისით, ტერმინოლოგიის შესწავლის მიზნით. აღნიშნულ განყოფილებაში ბევრ საინტერესო მასალას იპოვნიან არა მარტო ენა-თმეცნიერები, არამედ მომიჯნავე შეცნიერებათა წარმომადგენლებიც.

ცნობილია, რომ აჭარული დიალექტის ლექსიკასა და გრამატიკულ მოვლენებში, აგრეთვე ტოპონიმიკაში დასტურდება შეგრულ-ჭანური (ზანური) ელემენტები. ეს ფაქტი დასტურდება აგრეთვე გურულში, რამაც თავიღანვე მიიპყრო მკვლევართა (ნ. მარი, ი. ყიფშიძე, ივ. ჭავახიშვილი, არნ. ჩიქობავა, ქ. ლომთათიძე, გროგავა, ს. ულენტი, ი. მეგრელიძე, ალ. ლლონტი, ზ. სარგველაძე და სხვ.) ყურადღება. ზანიშვები არა მარტო გურულსა და აჭარულში დასტურდება, არამედ სალიტერატურო ენაშიც შეინიშნება (მაგ. ჭაჭვი, ბორკილი, მარყუჭი და ა. შ.).

დიალექტოლოგიის სპეციალისტები ზანიშმებად თვლიან მხოლოდ და მხოლოდ ზანური განმოვანების ისეთ ლექსიკურ ერთეულებს ან გრამატიკულ ფორმანტებს, რომლებსაც ქართულში მოეპოვება კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისი. ჩვენ სწორედ ამ კრიტერიუმით ვუდგებით შ. ნიუარაძის მიერ ზანურ ელემენტებად მიჩნეულ ფაქტებს. სავსებით სწორად მსჯელობს შ. ნიუარაძე,

როცა შენიშნავს, რომ ზანიზმები აჭარულ ლექსიკასა და ტოპონიმიკაში ისე უხვად არა წარმოდგენილი, როგორც გურულში, ვაგრამ ზანიზმები ლექსიკაში აჭარული ღიალექტისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. შ. ნიუარაძე ზანიზმად მიიჩნევს აჭარულში ისეთ ლექსიკურ ერთეულებს, როგორიცაა: მარყუჯი, კალაში, ქაფშია, ქარგვალი, მოჩხოტვა, ოჭივარა, ჩამური, ოჯინჯალი, დოხჩხაური, ჯინეში, ჩორჩი, კეში, ჯუმადია, ბადიში და სხვ. ავტორი ზანიზმებს ადასტურებს აგრეთვე აჭარის ტოპონიმიკაშიც (ოჯინჯი, ოტოფნარა, ონჩომეთი, საქორათი, ჭყანიში, ჩხუში, კინგიში, კონკიში, ჯინიში, ყანაშგვალა, საბუქარათი, ჭავალოხორი და სხვ.),

ენობრივი სუბსტრატის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა თურქიზმები აჭარულში, რადგან, როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, თითქმის სამასი წელიწადი იბატონეს აჭარაში თურქებმა და ყველაფერს ხმარობდნენ იმისათვის, რომ მოსახლეობა გაეთურქებინათ. დიდი ბრძოლის შემდეგ მიზანს ნაწილობრივ მაინც მიაღწიეს: აჭარლები ძალით გააძამადიანეს, ეროვნული გრძნობა მიუძინეს, მაგრამ დაჩოქებით მაინც ვერ დააჩოქეს. თავისუფლების მოყვარე აჭარლებმა შეინარჩუნეს თავიანთი ენა და, როგორც მართებულად შენიშნავენ „ქართული ღიალექტოლოგის“ ავტორე-

ბი, აჭარლების მიერ დედაენის მტკიცედ დაცვა აჭარელ დედალოგია განუზომელი დამსახურებაა. მაგრამ თურქი ასიმილატორების პატონობამ თავისი კვალი, უპირველეს ყოვლისა, ენაზე დატოვა, ქართული ენის აჭარულ ღიალექტში საკმაოდ დარჩა ე.წ. თურქიზმები, თურქული ფენა განსაკუთრებით ლექსიკაში შეიმჩნევა. შ. ჩიუარაძე თურქიზმებს რამდენიმე ჯგუფად ყოფს: 1. ისლამურ-რელიგიურ ცნებათა ლექსიკა (არაფა, ეზანი, თერავი, მევლუდი, შიხარე, რემეზანი და სხვ.), 2. სამოხელეო-წოდებრივი სიტყვები (ბეგი, მუთესერიფი, მუფთი, მუხტარი, ხანუმი), 3. ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი ტერმინები (ბალდიზი, ბაჯანაღი, ბაჯია, დედე), 4. ტანსაცმელ-სამკაულის ტერმინები (ბილეზუგი, ბინიში, ჩერჩეფი), 5. საჭმელ-სასმელის ტერმინები (ბურმა, ყათმერი, რახი, შერბეთი).

შეტად საინტერესოა შ. ნიუარაძის ღავირვება იმის თაობაზე, რომ ხშირად აჭარულში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა აღგრლობრივი მკვიდრის მეტყველებაში წარმოდგენილია თურქულ-აზეულ-სპარსული წარმოშობის სიტყვებიც და აღგილობრივი ღრულექტური ან ლიტერატურული ფორმებიც ერთი და იმავე ცნების გამოსახატავად (გვ. 62). წიგნში ამის საილუსტრაციოდ მდიდარი მასალაა დამოწმებული. ერთი სიტყვით, სარეცენზიო წიგნის ის აღ-

გილები, სადაც ლაპარაკია უცხო-
ური ენობრივი ზეგავლენისა და
მისი კვალის შესახებ აჭარულ დი-
ალექტზე, რომა შთაბეჭდილებას
ტოვებს.

კიდევ უფრო საყურადღებოა
სარეცენზიო წიგნის მეორე ნაწი-
ლი — აჭარული დიალექტის
ვრცელი ლექსიკონი. იგი შეიცავს
376 გვერდს (გვ. 75-451), მასში
შევიდა 8.000-მდე სიტყვა, ფიქსი-
რებული სხვადასხვა ავტორთა მი-
ერ აჭარის ზეპირსიტყვიერების
ნიმუშებში, დიალექტოლოგიურ
და ეთნოგრაფიულ შრომებსა და
ლიტერატურულ ნაწარმოებებში.
ამას უნდა დაემატოს აგრეთვე ის
მასალა, რომელიც თვით ავტორქა
მოიპოვა წლების მანძილზე ინ-
ფორმატორების მეშვეობით.

შ. ნიუარაძე დაკვირვებული
ლექსიკოლოგია. საყურადღებოა
ის ფაქტი, რომ მისი ნაშრომი „შე-
მოაჭარულის თავისებურებანი, გა-
მოკვლევა, ტექსტები ლექსიკონი-
თურთ“ (1957) მითითებულია სა-
ბჭოთა კავშირის მეცნიერებათა
აკადემიის რესული ენის ინსტა-
ტუტის მიერ გამოცემულ ერთ
სოლიდურ გამოცემაში (იხ. Словари,
изданные в СССР, библиографический
указатель, 1918—1962. Мо-
сква, 1966, გვ. 171).

გაკვრით ზემოთაც შევნიშევთ,
რომ შ. ნიუარაძე დიდი ხანია მუ-
შაობს აჭარული ლექსიკური ერ-
თეულების შეგროვებაზე. გადაჭა-
რბებაში თუ არ ჩამომართმევს

მკითხველი, სარეცენზიო წიგნის
ავტორის მისამართით მოვიტანდა
პოეტი-აკადემიკოსის გ. ლეონი-
ძის შემდეგ უკვდავ სტრიქონებს
(თუ „ქართულში“ ვიგულისხებ-
დით „აჭარულს“):

„შენ სამკურნალო ბალახებივით
მოგიკრეფია სიტყვა ქართული“
რა პრინციპებზე აქვს აგებული
შ. ნიუარაძეს აჭარული ლექსიკო-
ნი? ეს არის მეტად პრინციპულუ-
საკითხი, რომლის შესახებაც თვით
სამეცნიერო ლიტერატურაშიც კი
არ არის ერთსულოვნება. ა. შანი-
ძის აზრით, იმ ენათათვის, რომე-
ლთაც ინფინიტივი აქვთ, ჩვეულე-
ბრივ ამ ფორმას (ინფინიტივს)
იყენებენ სამეთაურო სიტყვად
ლექსიკონში. მაგრამ ქართულს,
სომხურს, სპარსულს, ოსურს,
აზერბაიჯანულს, არაბულსა და
სხვ. ინფინიტივი არ მოეპოვებათ.
ქართულში, მაგ., სულხან-საბა ორ-
ბელიანის ლექსიკონში, ზოგი ზმნა
შეტანილია პირიანი ფორმით,
ზოგიც საწყისით; არის მიმღეობე-
ბიც. ა. შანიძის სიტყვით, სულ-
ხანს ზმნები უმთავრესად შეტანი-
ლი აქვს სახელზმნის იმ ფორმით,
რომელსაც საწყისს ვეძახით (სა-
ხელისათვის სახელობითი). ეს წე-
სი სულხანმა ბუნებრივი ალლოგი-
მონახა, ინტუიციით მიაგნო და გა-
მოიყენა კარგად და უპრეტენზი-
ოდ (იხ. ა. შანიძე, ქართული ლექ-
სიკოგრაფიის საკითხები: სულხან-
საბა ორბელიანი, საიუბილეო კრე-
ბული, თბ., 1959, გვ. 247-257).

არნ. ჩიქობავა მიუთითებს,
რომ ქართული ენის ბურჯი ზმნაა.

იგი მდიდარია ფორმებით. ეს სიშ-
დაღურე კი ქართულ ლექსიკონში
არ გამოჩნდება, თუ ზმის წარმო-
მადგენლად ნაზმნარი არსებითი
სახელი (მოქმედებისა) გვექნება.
„ზმის ლექსიკურ ერთეულად კო-
მისიამ მიიღო აწმყოს (მყოფაღის)
მესამე პირისა“ (არნ. ჩიქობავა,
წინასიტყვაობა: ქართული ენის გა-
ნმარტებითი ლექსიკონი, ტ. 1, თ. 1,
1950, გვ. 011). მაშასადამე, ზმია
ლექსიკონში შეტანილია აწმყოს
მწერივის მხ. რიცხვის მე-3 პირის
ფორმით. საინტერესოა, რომელი
გზა აირჩია აჭარული ლექსიკონის
შემდგენელმა? შ. ნიუარაძე ლექ-
სიკონში სახელებს ალაგებს მხ.
რიცხვის სახ. ბრუნვის ფორმით,
ხოლო ზმნებისაგან სალექსიკონო
ერთეულად მოცემულია სახელ-
ზმია (საწყისი), რომელსაც მოს-
დევს მიმღებური ფორმები.
ზმის პირიანი ფორმა იმ შემთხვე-
ვაში შეაქვს ლექსიკონში, როცა
ზმნას მასდარი არა აქვს. ამ შემ-
თხვევაში, ვფიქრობთ, შ. ნიუარა-
ძე სწორად მოიქცა.

სალექსიკონო ერთეულთა უმრა-
ვლესობა დოკუმენტირებულია
აჭარული დიალექტური მასალე-
ბიდან; ხშირ შემთხვევაში გავლე-
ბულია პარალელები ქართული ენ-
ის სხვა დიალექტებთან; არც თუ
ისე იშვიათად მოცემულია ამა-
თუ იმ სიტყვის სინონიმური შე-
სატყვისები. ჩვენი აზრით, სწო-
რად მოიქცა ავტორი, როცა ლექ-
სიკონში შეიტანა ისეთი სიტყვე-
ბი და ტერმინები, რომლებიც

ღღეს ოპარ იხმარება აჭარულში,
მაგრამ ფიქსირებულია სათანადოობის
ლიტერატურაში (მაგ. ვარდანულა,
ვარგალა).

ლექსიკონს მეცნიერულ ორე-
ბულებას მატებს ისიც, რომ მასში
ჩვენ ვპოულობთ მითითებებს
(თურქულ) სიტყვათა სადაურობა-
წარმომავლობაზე. „აჭარულის მი-
ერ თურქულიდან ნასესხებ ლექ-
სიკაში ზოგჯერ ისეთი სიტყვებიც
გვქვეს, რომლებიც ოვით თურქუ-
ლში უცხო ენობრივი სამყაროდან
მომდინარეობენ. ასევე თურქულ-
ის მეშვეობით ნასესხები არაბუ-
ლი, სპარსული, იტალიური, ფრა-
ნგული და ბერძნული წარმოშო-
ბის სიტყვებს მიეუწერეთ უცხო-
ური შესიტყვებები — ეტიმონები
იმავე წყარო-ენათა დაწერილო-
ბით“ (გვ. 77). ესეც ლექსიკონის
დიდი პლუსია. ერთი სიტყვით, რა
შედის ლექსიკონში? რა სახით შე-
დის? რა თანმიმდევრობით ლაგ-
დება? შ. ნიუარაძეს გადაწყვეტი-
ლი აქვს თანამედროვე ენათმეც-
ნიერების მოთხოვნილებებთან
სრულ იდენტურობაში.

ჩეცენზია გაგვიგრძელდა და
ამიტომ ჩვენ მხოლოდ ლექსიკო-
ნის ერთ სიტყვაზე შევხერდებით.
კიფილ ასეა განმარტებული: 1.
„კილო-ლილის გარდასაცვამი (სა-
ბა), ლილის შესაკრავი ჭრილი, სა-
ღილა:

„თეთრი ქალი კაბას კერავს,
შავი ქალი — კიფილოს“.

ამ უჩვეულო და მსგავსი სიტყ-
ვების განალიზების შედეგად ავ-
ტორი ასეთ მოსაზრებას გვთავა-

ზობს: „თავიდურ პოზიციაში ამა თუ იმ თანხმოვნის გაჩენის საფუძველს ასიმილაცია წარმოადგენს, ხოლო ზოგჯერ ამავე გზით მარცვლის გაჩენის პროცესი (შდრ. აჭარ. კიკილო ლიტ. კილო-ს) შეიძლება დავუპირისპიროთ მარცვლის დისიმილაციურ დაქარგვას — ჰაპლოლოგიას, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „მარცვლის ასიმილაციური გაჩენა“. მსგავსი მოვლენა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ფონეტიკურ ლიტერატურაში არაა ფიქსირებული.

ამგვარად, ამ სიტყვის ლინგვისტურმა ანალიზმა აშკარაა, ავტორი მიიყვანა დღემდე უცნობი ფონეტიკური მოვლენის აღმოჩენამდე.

ანდა ავილოთ სიტყვა ზაკურ ელი. სარეცენზიონ წიგნის ძირითად ნაწილში — ლექსიკონში ეს სიტყვა ასეა ახსნილი: 1. ზაკვის მოქმედი, მზაკვარი, ცბიერი, ვერავი, მუხანათი; 2. ავი თვალის პატრონი, გამთვალავი: „ეგ ბაღანა ჩაზაკული, თვალზაცემი უნდა იყოს, რომელმა ზაკურ ელმა შეხედა ნეტა ა“ • (შდრ. საბა ზაკუა, ნ. ჩუბ. ზაკვა, მეგრ. ზაკუა — გათვალვა“).

როგორც ცნობილია, თანამედროვე სალიტერატურო ქართულ-სა და მის დიალექტებში ეს სიტყვა ამ ფორმით არსად არაა დადასტურებული. იგი არც საბას. ლექსიკონში გვხვდება. ოლონდ ეს კია, რომ საანალიზო სიტყვა დაახლოებით ამავე მნიშვნელობით ფიქსირებულია ნიკო ჩუბინაშვილის

„ქართულ ლექსიკონში“, მაგრამ არა ზაკურ ელი-ს, არამედ ზაკული-სა და ზაკვიანი-ს ფორმით. ასე რომ, აჭარული დიალექტის ლექსიკაში, დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, შემოგვინახა უძველესი ქართულთან ლექსიკური არქაიზმის სახით მ-ელ სადერივაციო აფიქსებით მ ზაკურ ელი-ს მოდელის ლექსიკური ერთეული.

სარეცენზიონ წიგნიდან არაერთი მაგალითის მოტანა შეიძლება ასეთ იშვიათ სიტყვათა „გაცოცხლებისა“.

ლექსიკონში სიტყვები განმარტებულია შესანიშნავად. ეს არც უნდა გავიყვირდეს, რადგან შ. ნიუარაძე აჭარელია და ეს კილო ბავშვობიდანვე აქვს შეთვისებული. მთავარი ის არის, რომ ჩვენს წინაშეა დიდი შრომის ნაყოფი — აჭარული დიალექტის უველაზე სრული ლექსიკონი, რომელიც დღემდე ცნობილია. მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ არც თუ ისე იშვიათად ავტორი იმოწმებს აჭარაში მომუშავე მწერალთა ნაწარმოებებს (პ. ლორია, მ. ვარშანიძე, ფ. ხალვაში, ჭ. ჯაყელი და დასხვ.).

ლექსიკონი უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით არის შედგენილი. საერთოდ წიგნს ეტყობა გამოცდილი რედაქტორის ხელი. წყაროები კეთილსინდისიერად არის გამოყენებული. მეცნიერული პასუხისმგებლობის გრძნობა და უაღრესად დიდი თავმდაბლობა წიგნის ყოველ გვერდს ატყვავა. ერთი სიტყვით, საერთოდ ეს ნაშ-

რომი ჩვენ მიგვაჩნია ქართული ენათმეცნიერული ლიტერატურის დიდ შენაძენად და ავტორის ბრწყინვალე გამარჯვებად. აკადემიკოსი არნ. ჩიქობავა წერს: „ცნობილია, რომ ლექსიკონის ყოველი ნაკლი ავ თვალს ახარებს, მაგრამ ლექსიკონში კეთილი თვალიც ჩაიხდავს ხოლმე და თავის შენიშვნებით ნაკლის გამოსწორებას, ხარვეზის ამოვსებას ხელს შეუწყობს“ (არნ. ჩიქობავა, ვაჟა, ლექსიკონისათვის: ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, თბ., 1969, გვ. 8). ჩვენც „კეთილი თვალია“ ჩავიხედეთ ამ ნაშრომში და ის ღადებითი მხარეები დავინახეთ, რაც რეცენზიაშია აღნიშნული, ბევრი უთქმელი დავტოვეთ, რადგან, როგორც ამბობენ, ზღვის სიმლაშეში

რომ დავრწმუნდეთ, საჭირო არა მთელი ზღვის შესმა. შესაძლებელია, წიგნს გააჩნდეს ზოგი ხარვეზი, მასში გვხვდებოდეს ნაკლებად დამაჯერებელი დებულებები ან ზოგი საკითხი დამატებითს მასალებს მოითხოვდეს, მაგრამ ეს კი არ არის მთავარი, მთავარი ის არის, რომ ქართული ლექსიკოლოგიური ლიტერატურა გამდიდრდა კიდევ ერთი ახალი ნაშრომით. ღმერთმა ქნას, ასეთი შრომები სხვა ქართულ დიალექტთა შესახებაც დაისტამბოს! შ. ნიუარაძეს თამამად შეუძლია გაიმეოროს ვახტანგ VI-ის შემდეგი უკვდავი სიტყვები: „თუცა დამეკლოს რამე, ნუ დამგმობთ... და თუცა ვინშე უკეთ იტყვით, არ გიშლი და კარგსა იქთ“.

6 8/10

361353-#1
202 m20004

三

ଓଡ଼ିଆ 40 ପୃଷ୍ଠା.

Литературно-художественный и общественно-политический журнал

«ЧОРОХИ»

ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ

ИНДЕКС 76118

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
ИНДЕКС 76118